ვერსია

ფასი 40 თეთრი

№3 (759) 14 - 15 იანვარი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა – ივანიშვილი უფრო დიდი დიქტატორი იქნება, ვიდრე სტალინი!“

ბიძინა ივანიშვილი: „ჩემთან თამაშები არ გავა!“ გვ. 6

გვ. 5

გორის ცენტრში მაღე სტალინის, ჩერჩილისა და რუზველტის ქანდაკება დაიდგმება?!

შეკითხვები, რომლებსაც თინა ხიდაშელი თავს არიდებს

„თუ ბიძინას „რესპუბლიკელები“ არ უნდა, საკმარისი რაოდენობის დეპუტაცია ჰყავს, რომ დათო პარლამენტის თავმჯდომარე არ იყოს!..“ გვ. 10

„ოპოზიციელები სხვანაირად ვერ მკბენენ და... ერთ ადგილას მიკბინონ!“

გვ. 9

სოსო ჯაჭვლიანის რჩევები „ვირთხებსა“ და „ნაძირლებს“

20 გვერდი

რა ქონებას ფლობს იუსტიციის „ნახალოვკელი გოიმი“ და „ჭორიკანა“ მინისტრი

თეა წულუკიანის 248-ათასევროიანი ვადი, საცხოვრებელი სახლები, კომერციული ფართები და მინის ნაკვეთები საქართველოსა და სტრასბურგში გვ. 11

სოსო მანჯავიძე პირობას დებს, რომ სააკაშვილი იანვარში „დამთავრდება“

საქართველოს პატრიოტთა ალიანსი საკონსტიტუციო სასამართლოსგან პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტას ითხოვს გვ. 4

რა კავშირი აქვს სააკაშვილს ქვემო ქართლში მომხდარ ყაჩაღობასა და მკვლელობასთან

კოპაბიტაციური საბოტაჟი – დგანან თუ არა გახშირებული კრიმინალური ფაქტების უკან „ნაციონალები“ გვ. 12

ბენდუქიძე საქართველოში საკუთარ ბიზნესს ხურავს?!

გვ. 3

სტუ-ს რექტორი არჩილ ფრანგიშვილი, შეიძლება, დაიჭირონ

გვ. 9

ჩინგაჩგუკზე დიდი გველი

დიტო გელოვანი

ამის გამგონე ურსულა ისე ტიროდა, თითქოს დიდი ხნის ნანატრსა და მოუსვლელ წერილებში კითხულობდა შვილის გმირობასა და ფათერაკებზე: „აქ კი ჩვენ არხეინად ვცხოვრობდით ამ დიდ სახლში, – ქვითინებდა ქალი, – საჭმელსაც ვერ ვერეოდით და ღორებს ვუყრიდით“. მაგრამ გულის სიღრმეში დედას არ სურდა დაეჯერებინა, რომ ეს ველური კაცი, ნახევარ გოჭს რომ უთავებდა ხელს ერთ ჭამაზე და ისე იცარიელებდა მუცელს გაზებისაგან, რომ ყვავილები მაშინვე ჭკნებოდნენ, მისი შვილი იყო, ის ბიჭი იყო, დიდი ხნის წინათ ბოშებს რომ გაეკიდა.

(გაბრიელ გარსია მარკესი, „მარტოობის ასი წელი“)

შემთხვევით, ის ბიჭი ხომ არ გაგახსენდათ, დიდი ხნის წინ კაგებეშნიკებს რომ აეკიდა?..

გასული ერთი კვირა იმ ორ კვირას იტევს, იმ წუთიდან რომ დაიწყო, რა წუთსაც ტელევიზორიდან დორბლი შემოგვეფრქვა და რა წამსაც კაი 25 წლის წინანდელი ამბავი გამახსენდა. საქმე ასე იყო: 80-იანი წლების ბოლოს, როდესაც ყველას ყველაფრის წერისა და თქმის საშუალება მიეცა, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა სტატია, რომელშიც პოეტი ხუტა ბერულავა მსუბუქი კრიტიკის საშუალო ქარ-ცეცხლში იყო გატარებული. განსაკუთრებული არაფერი, მაგრამ მაშინ ეს წარმოუდგენელი რამ გახლდათ. არ გასულა ორი კვირა და იმავე გაზეთში საპასუხო წერილი დაიბეჭდა, რომელიც რედაქციას ზუგდიდიდან მიეღო. წერილი სავსე იყო ლანძღვა-გინებით. ნაძირლებო, უზრდელებო, თავხედებო, გაუნათლებლებო, უგემოვნოებო... – აღარ მახსოვს და არც ჩამოვთვლი ყველა იმ ეპითეტს, რომელსაც წერილის ავტორი უძღვნიდა ყველას, ვინც ბერულავას მაკრიტიკებელი წერილი მიიღო (რედაქცია), გაუკეთა რედაქტირება (რედაქტორი), დაბეჭდა (სტამბა), წაიკითხა (მკითხველი) და პროტესტის გრძნობა არ გასჩენია.

ამ ამბავში მთავარი არც შინაარსი, არამედ მთავარი და სრულიად სახალისოა, როგორ აწერდა კოლექტიური ავტორი წერილს ხელს. აი ასე – „პატივისცემით, ზუგდიდელები“.

პირველ იანვარს, დილით გამახსენდა ეს ამბავი, როდესაც სააკაშვილის 5-პუნქტიანი გეგმა-შეთავაზების შესახებ მითხრეს, რომელიც მას ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე წუთით ადრე გაუხმოვანებია. არადა, თავიდან ვუსმენდი (თან ვიგინებოდი: „შენი...“) და სანამ დაასრულებდა, სხვა არხზე გადავრთე (პულტზე ღილაკს რომ ვეძებდი, მაშინაც ვიგინებოდი: „წადი, შენი...“). მხოლოდ დილით გავიგე, რომ „მოღალატეებისთვის“, „კრიმინალებისთვის“, „შევარდნაძის ნარჩენებისა“ და „ჩასარეცხებისთვის“, როგორც სააკაშვილი თავისი მისალოცი სიტყვის პირველ ნაწილში პოლიტიკურ ოპონენტებს მოიხსენიებდა, მეგობრობის, სიყვარულის, გაგებისა და ადამიანობის 5-პუნქტიანი გეგმა შეუთავაზებია.

ისევ ხუთიანი, ისევ ხუთი... კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს, მაგრამ რამ უნდა მოიყვანოს გონს გამოუსწორებელი იდიოტი? მაგრამ „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების“.

„შიგან რაცა დგას...“ – ამ სიტყვებს კიდევ დავუბრუნდები.

ჰოდა, როდესაც ხმა დაირხა, მიშა ზუგდიდში გადადის საცხოვრებლადო, კიდევ გამახსენდა „კოლექტიური ზუგდიდი“, ადამიანებს ერთდროულად, დედასაც რომ აგინებს და პატივისცემასაც უდასტურებს. „ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა“, – თავის დროზე სწორად შენიშნა დიდმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, მამუკა ხერხეულიძემ, სანამ შპს „თბილსერვისის ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოში დაიწყებდა მუშაობას. თუმცა ის „კოლექტიური ზუგდიდი“, მაშინაც და ახლაც, მხოლოდ ერთი ადამიანი მგონია და პრინციპში, ეგრეც არის – სადაც უნდა წავიდეს, სააკაშვილს მხოლოდ ერთის იმედი უნდა ჰქონდეს. ეს ის შემთხვევაა, როცა ერთიც ბევრია, ორი – წარმოუდგენლად ბევრი.

ასეთი გამოცანაა – „გარეთ ატლასი, შიგნით ათასი“, ოღონდ ატლასი ადრე იყო და ახლა არის ჩათლახი, შიგნიდან ათასი კი ისევ შიგნით დარჩა, მაგრამ გარეთაც წარმოდინდა და ასეთი ნიუსი მივიღეთ:

„...ირკვევა, რომ მერიის დაქვემდებარებაში მყოფი შპს-ებისთვის — „სინათლის ქალაქის“, „ჰერმესის“, „თბილსერვისისა“ და „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის“ შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭოები, სადაც დაინიშნენ ყოფილი პარლამენტარები, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები და მათი ოჯახის წევრები. შიხიაშვილის ინფორმაციით, სულ 36 ადამიანია დასაქმებული და ყველას ხელფასი 2 500 ლარი ექნება. შპს „სინათლის ქალაქის“ სამეთვალყურეო საბჭოში შედიან კობა ხაბაზი, ვლადიმერ ვარძელაშვილი; „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოში კი — გიორგი ასანიძე, აკაკი სეფერთელაძე, გიგა ნასარიძე, ლევან თარხნიშვილი, ხათუნა ოჩიაური, რუსუდან კერვალიშვილი; ხოლო „თბილსერვის ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოში შედიან ეკა ხერხეულიძე, ბადრი ბასიშვილი, დავით იოსელიანი“.

არქიტექტორი ვარ, ქალაქის საქმეებს კი არქიტექტორები აგვარებენო, – იგერიებდა ჟურნალისტებს ხათუნა ოჩიაური და ჯანდაბას, მაგის ხმა და ტემბრი (როგორც მალხაზ თოფურია ამბობს, ხათუნა ოჩიაურს სპარტაკ ბაღაშვილი ახმოვანებს), მაგრამ დანარჩენები რაღას წარმოადგენენ? ხაბაზი და ვარძელაშვილი მანტიორები არიან? გიგა ნასარიძე ტრამვაია, აკაკი სეფერთელაძე ტროლეიბუსი და გიორგი ასანიძე — მეტროპოლიტენი?

რუსუდან კერვალიშვილი გააკონტროლებს, რომ მძღოლი მამაკაცების რაოდენობა არ აღემატებოდეს მძღოლი ქალების რაოდენობას და გენდერული ბალანსი მგზავრებს შორისაც მკაცრად იყოს დაცული.

გენდერული ბალანსი ასევე დაცული იქნა იმ ამბავში, ერთ მშვენიერ დღეს მიშამ რომ გაიღვიძა და ქართულ მედიას უნდა დავეხმაროო, მილიონი გამოყო. შემდეგ, ერთი კვირა არჩევდა, ჩემ მიერ გამოყოფილი ვინ უნდა გაანაწილოსო. გასულ კვირაში გამოცხადდა, რომ სააკაშვილის გამოყოფილს გია ნოდია და ნინო დარასელი გაანაწილებენ, ერთი ყოფილი მინისტრია, მეორე – „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ გენდერულ საკითხებში მთავარი მრჩევლის გოგო. ერთს წვერი აქვს მოშვებული, მეორეს – არა (ბალანსისთვის სჯობდა, ან იმას გაეპარსა, ან ამას მოეშვა), ერთმა პრესკონფერენცია გამართა, მეორემ – არა.

პრესკონფერენცია ნოდიამ გამართა და განაცხადა, „ფულს პირადად არ გავანაწილებ და საზოგადოებაში მაღალი რეპუტაციის მქონე ადამიანებისგან დაკომპლექტდება დამოუკიდებელი გამგეობა, რომელთა სუვერენული გადაწყვეტილებაც იქნება, ვის გამოუყონ გრანტი და ვის არა“.ეს სიტყვები ნოდიამ მოულოდნელი სხაპასხუპით წარმოთქვა. საერთოდ, დაკვირვებული ვარ — „ენჯეოშნიკებს“, როდესაც გრანტებზე საუბრობენ, ენა არასოდეს ებმით, ჩვენს დროში კი „საზოგადოებაში მაღალი რეპუტაციის მქონე ადამიანი“, ძალიან ცოტაა – სააკაშვილი, ბიძამისი, დედამისი და ბებიამისი; გაბაშვილი და მამამისი; ოჩიაური და მამამისი; მარიამ საჯაია და დედამისი; მინაშვილი და სიდედრმისი; წკრიალაშვილი და ხაბაზი; ხაჩიძე და დოლი; ნასარიძე და ბლანჟე; ასანიძე და შტანგა. ეს არის და ეს, თან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილთაგან ყველაზე მაღალი რეპუტაციით სარგებლობენ შტანგა (სანამ ასანიძე დაეჭიდება) და დოლი (სანამ ხაჩიძე შეეხება).

ვფიქრობ, უცნაური არაფერი მითქვამს. განა ვინმესთვისაა საკამათო, რომ დოლს უფრო სასიამოვნო ხმა აქვს, ვიდრე – ოჩიაურსა და წკრიალაშვილს, ან შტანგას რომ უფრო მეტი ჭკუა და სინდისი მოეკითხება, ვიდრე წკრიალაშვილს, ნასარიძესა და მინაშვილის სიდედრს ერთად აღებულს?! მოკლედ, უცნაური არაფერი მითქვამს, გოკა კანსტანტინოვიჩი კი ამბობს: „უცნაურს ვერაფერს ვხედავ, რომ საქართველოს პრეზიდენტი გაჩერდეს ზუგდიდშიც, მესტიაშიც, იყოს თავის სახლში ყვარელში, ბობოყვათში, იყოს, სადაც გნებავთ, ეს მისი არა მხოლოდ სურვილი და უფლება, არამედ ვალდებულებაცაა, რომ არ გამოიკეტოს ერთ შენობაში და ერთ სახლში, როგორც ზოგიერთები აკეთებენ. არა მთელი საქართველო დაიბაროს თავისთან სახლში, არამედ თვითონ ჩავიდეს მაქსიმალურად ყველგან, სადაც შეუძლია“.

უცნაური ის არის, რომ ჯერ კიდევ შეუძლია და უფრო უცნაური ის იქნება, თუ მალე (რაც შეიძლება მალე!!!) იძულებით არ გაჩერდება რუსთავში, გლდანში, ქსანში, გეგუთში და რავი, სულ სასჯელაღსრულების რამდენი დაწესებულება არსებობს და რამდენი პარაშაა გადასაღვრელი.

ჯერჯერობით კი, შეუძლია წავიდეს იქ, სადაც უნდა და თუ ამ ოთხი წლის წინ, გაგანია კრიზისის დროს, სასათბურე მეურნეობას ბოდრუმში ათვალიერებდა, რამდენიმე დღის წინ დუბაიში იმყოფებოდა, როგორც თვითონ თქვა – სამეფო ოჯახის მიწვევით. მოდი და, ნუ დაიგინებ!!! დავიგინე კიდეც და ჩემი გინება–დაგინება რა მოსატანია იმასთან, რაც გიორგი დემეტრაძის, ვახო მაისაიასა და სხვათა გულსა და თავში ტრიალებს!

საერთოდ კი, ვის რას გაუგებ?

მაგალითად, ასეთი ნიუსი: „12 იანვარს „ეტალონში“ პარლამენტარები ითამაშებენ. გადაცემა 18:00 საათზე „პირველი არხის“ ეთერში გავა. ზვიად ძიძიგური, გუგული მაღრაძე, ზურაბ აბაშიძე, ირაკლი სესიაშვილი, გიორგი ცაგარეიშვილი, კობა დავითაშვილი, ზაზა პაპუაშვილი და სოსო ჯაჭვლიანი პიუპიტრებთან, მოსწავლეების ნაცვლად, დაიკავებენ ადგილს და ინტელექტუალურ ჭიდილში ჩაებმებიან. როგორც „ეტალონის“ ავტორი და წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი აცხადებს, პარლამენტარების თამაშით „ეტალონი“ სადღესასწაულო ციკლს ასრულებს და ჩაწერებს ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებს“.

ჩვეულ რეჟიმში ანუ ეს სიაფანდი გოჩა ტყეშელაშვილი ძველებურად დამიჯდება „პირველ არხზე“ და სანამ სხვა არხზე გადართვას მოვასწრებდე, სასწრაფოდ შემახსენებს, რომ „ეტალონი“ ყველაზე ეროვნული მედია-პროექტია და რომ თვითონ არის ავტორი, წამყვანი, დედა-ბოძი და მამა-მარჩენალი. გასაგებია, ტყეშელაშვილისთვის ეს „ხიზილალაა მისი არსობისა“, ასევე, კობა დავითაშვილისთვის არის „ნა ვერწელე მისი არსობისა“, გუგული მაღრაძისთვის არის ბუდე, რომლის აშენებაში წვლილი არ მიუძღვის (რავი, თუ გიულის დაქალობა წვლილს ნიშნავს და...) და ა.შ. მაგრამ ზაზა პაპუაშვილისგან გამკვირვებია, ზურა აბაშიძისგან გამკვირვებია... ყოველთვის მიკვირს როდესაც ნორმალური ადამიანები უცებ რაღაცაზე დაგოიმდებიან ხოლმე.

სწავლა სიბერემდეო, – უთქვამს ცნობილ ქართველ მოაზროვნეს, ლადო ვარძელაშვილს და მეც ვსწავლობ. გასულ კვირაში ზესტაფონში გამართულმა აქციამ და იმავე ქალაქიდან ჩემამდე მოსულმა ხმებმა მასწავლეს, რომ არაფერი უნდა გაგიკვირდეს. წარმოგიდგენიათ – ბაზრის მოვაჭრეები ზესტაფონის მაჟორიტარს ლანძღავდნენ და მის გამოჩენას მოითხოვდნენ. მერე, სხვა დროს (მალე), სხვა ამბებსაც მოვყვები და სხვებსაც მოვაყოლებ. მანამდე კი ზუსტად (სამწუხაროდ) ვიცი, მსახიობობიდან ხალხის რჩეულობამდე აღზევებული გოგი ქავთარაძე „ვერის უბნის მელოდიების“ პუსტა-პუსტა პოლიციელად დარჩა. აწუკვე ზესტაფონის რუხი კარდინალი დაბერდა, მაგრამ ვერ გაიზარდა.

ქავთარაძისგან მიკვირდა და ლუკა კურტანიძისგან ჯერ კიდევ მიკვირს, თორემ სააკაშვილი ყოველთვის კამო იყო და კამოდ დარჩება. „ერთი სამშობლო გვაქვს და არ გვინდა, ჩვენი სამშობლო და თუნდაც მთავრობა, რომელსაც არ მოვწონვართ ან ჩვენ არ მოგვწონს, ჩაფლავდეს“, – თქვა გასულ კვირაში პირველმა ქართველმა ეფრეიტორმა. არა, ბიჭო, და... ერთი კარგი წყალდიდობა, ორიოდე გრიგალი და რამდენიმე საშუალო სიმძლავრის დამანგრეველი მიწისძვრა – დარწმუნებული ვარ, ამაზე ოცნებობს მიხეილ „შიგნიდან ათასი“. ერთ დღესაც, მიწასთან რომ გასწორდეს სრულიად საქართველო, ნაცბანდის აღიარებული პილოტი ნიშნისმოგებით იკითხავს: „სად არის განახევრებული ტარიფი? რატომ არ ასრულებთ დანაპირებს?“

მიპასუხეთ: ვის რად უნდა პილოტი, რომელიც თვითმფრინავის ხმაზე შარვალს ავსებს?

„სოციალურ ქსელებში საქართველოს პრეზიდენტის მხარდასაჭერი პეტიცია გავრცელდა, რომელზეც ხელმოწერების შეგროვება მიმდინარეობს. პეტიციაში ნათქვამია – მიხეილ სააკაშვილი 2013 წლის ოქტომბრის ჩათვლით, არის საქართველოს კონსტიტუციურად არჩეული პრეზიდენტი“, – ეს ნიუსი არის პასუხი კითხვაზე, თუ ვის უნდა ჩასვრილი პილოტი.

როგორც ნიუსებიდან ირკვევა, შიბლა-პატრიოტი სულ თხუთმეტია. ერთი მათგანია ვინმე გოგი ხოჭოლავა, მეორე – რამე (რამის რამე) თეა თუთბერიძე.

„ეს არის პუტინის ოცნება და ჩვენ არ ავასრულებთ ამ ოცნებას. ახალგაზრდები ყოველთვის ვიდექით დემოკრატიის სადარაჯოზე. ჩვენ ვთვლით, რომ ეს არის ანტიდემოკრატიული ნაბიჯი, პრეზიდენტის ლეგიტიმურობა გრძელდება ოქტომბრამდე“, – აცხადებს ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფის წევრი გოგი ხოჭოლავა და... ჰოპ!!! აი, აქ კი სასწრაფოდ დავიგინე, მაგრამ მხოლოდ რაჭველებს დავასწარი.

დასწრება-დაგინებაზე გამახსენდა...

პირველი ნიუსი: „დღეს ჩვენ ამ თემასთან დაკავშირებით, მოვისმინეთ თავდაცვის სამინისტროს პოზიცია. უნდა ითქვას, კარგია, რომ შესაბამისი უწყება დაეთანხმა ამ ინიციატივას, რომლითაც გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი", — აღნიშნა მანანა მანჯგალაძემ. მისივე თქმით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ პრეზიდენტის დავალებით მოამზადა შესაბამისი კანონპროექტი და აღნიშნულ ინიციატივას პრეზიდენტი უახლოეს დღეებში გადაუგზავნის მთავრობას, ასევე, პრეზიდენტი გამოიყენებს თავის უფლებას და ინიციატივით მიმართავს საკანონმდებლო ორგანოს“.

მეორე ნიუსი: „ვაკო ავალიანის თქმით, გასული წლის 13 დეკემბერს მთავრობამ 2010 განკარგულება გამოსცა, რომელსაც ხელს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი აწერს და რომლის თანახმად, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ორგანიზებისა და ვეტერანთა სოციალური დაცვის საკითხთა სამთავრობო კომისია ჩამოყალიბდა. თავის მხრივ, კომისიის მთავარი ამოცანა, ავალიანის განმარტებით, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების, ასევე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ პირთა ოჯახების სოციალური დაცვის საკითხების მოგვარებაა. „შესაბამისად, პრეზიდენტმა ავღანეთში საქართველოს მთავრობის განკარგულება გააჟღერა. ჩვენ მივესალმებით, რომ პრეზიდენტს სამხედრო ვეტერანები რვა წლის თავზე გაახსენდა“, — აღნიშნა ავალიანმა“.

ანუ ინიციატივა თავდაცვის სამინისტროს ეკუთვნოდა, მაგრამ მანანა მანჯგალაძემ დაასწრო და თქვა, პრეზიდენტს ეკუთვნისო. დაასწრო და დაასწრო! მთავარი დასწრება არ არის, მთავარი გაგებაა, და დიდი ამბავი და გაგება არ უნდა იმას, რომ გაივლის რამდენიმე წელი (თვე! ამინ!!!) და პარაშასთან ჩამომჯდარი მიხეილ სააკაშვილი გაიხსენებს, როგორ დაავალა პოლიციას ომის ვეტერანთა აქციის დარბევა...

ვაკო ავალიანს რომ ვიცნობ, ისიც ვიცი, რომ დაგინება თავისი მოგონილი ჰგონია და იქნებ ასეც იყოს... გაივლის რამდენიმე წელი და მანანა მანჯგალაძე მიხვდება, რატომ აძაგძაგებდა მას და რატომ ნაბავდა თვალებს მას შემდეგ, რაც ვეტერანთა დახმარების საკითხის გადაწყვეტა სააკაშვილს მიაწერა.

ეგრეა – თუ მიიწერ, შეგეწერება.

თვალების ნაბვა კი იქ უნდა გენახათ, სააკაშვილის კაბინეტში, ახალ გუბერნატორებს რომ ნიშნავდა: ხათუნა ოჩიაური – მცხეთა-მთიანეთში, ანდრო ბარნოვი – შიდა ქართლში. უნდა გენახათ, როგორ ინაზებოდა ნაცი-ხათუნი და როგორ კრუსუნებდა ანდრო ბარნოვი, „ეს შეიძლება კიდევ ერთი მაგალითი იყოს განათლებული და პატრიოტი ადამიანებისათვის, რომ ამ ტიპის ადამიანების ახალი ტალღა დაიძრას იმ იდეების მხარდასაჭერად, რასაც ამდენი ხანი „ნაციონალური მოძრაობა“ წარმოადგენდა, რითიც ამ პარტიამ მთელი ეპოქა შექმნა საქართველოს ისტორიაში“.

მაგალითის რა მოგახსენოთ, მაგრამ ოჩიაურის ამბავი, ბარნოვის ამბავი, გოკას ამბავი, აკოს ამბავი, ამბავი კოკა-კოლა სეფერთელაძისა და შტანგა-ასანიძისა, გენდერული რუსუდანისა, არონია-ულუსა და საჯაია-ნარინისა და სხვათა და სხვათა, უხოთა და უჟასებისა, უნდა იყოს სტიმული არმაგედონის ზანგისთვის, რომ აღდგეს და ჩამოუაროს ყველას, ვისთვისაც ალალი და უსაყვედურო „შიგნიდან ათასი“, ოღონდ ერთი – აუცილებლად არმაგედონის ზანგისა.

და კიდევ ის – თენგიზ გუნავა სამეგრელოს გუბერნატორად...

გაიჩალიჩებს ვიღაცა რაღაცას. ასეა ეს.

ვინ არის თენგიზ გუნავა? აბა, მე რა გითხრათ: „მე მას ასევე ვიცნობ როგორც 2008 წლის ომის ერთ-ერთ მთავარ გმირს. მახსოვს მის მიერ ჩატარებული ოპერაციები. მან გადაარჩინა უძვირფასესი ტექნიკა, წაართვა რუსებს სამხედრო ოპერაციაში ორი საზღვაო კატარღა, აუფფთქა ოკუპანტებს უძვირფასესი საჰაერო დანადგარები, რომელიც გაჰქონდათ როგორც სამხედრო ნადავლი. ეს იყო ძალიან რთული და თავზეხელაღებული სამხედრო ოპერაცია. მან გადაარჩინა ჩვენი სხვა კატარღები ფოთში. როცა რუსები ჩემს დასაკავებლად გამოემართნენ ფოთში, ის თავისი მცირე შენაერთით გადაეღობა და დიდი რუსული შენაერთი ჰყავდა დაკავებული, ვიდრე არ დავამთავრე გამოსვლა. ისინი ეუბნებოდნენ, რომ გაივლიდნენ, თენგიზ გუნავა კი პასუხობდა – გაიარეთ, მაგრამ იქნება სროლები და შეტაკება“.

ოე, ბიჭო, არ დაიღალე ამ ზღაპრებით? „ხუთკუნჭულა“, „ასფურცელა“, „ლიონბერგელი ემილის თავგადასავალი“, „ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი“ მოყევი, ოღონდ ფრთხილად იყავი, კარლსონის პროპელერის ხმას რომ გაიგონებ, შარვალი გუბერნატორებით არ გაავსო.

ს.უ.ი. (სათქმელი უნდა ითქვას) „...ვფიცავ ჩემი მშობლების ძვლებს, ვფიცავ ხოსე არკადიო ბუენდიას ხსოვნას, ვფიცავ ღმერთს, სადაც უნდა იყო, გამოგათრევ და ჩემი ხელით მოგკლავ“. ვიდრე ოთხიდან გავიდოდა, პასუხს არც დაელოდა, დაუმატა: „შენ იმას აკეთებ, რასაც გააკეთებდი მაშინ, ღორისკუდიანი რომ დაბადებულიყავი“.

(გაბრიელ გარსია მარკესი, „მარტოობის ასი წელი“)

რატომ არ იბარებენ სააკაშვილს პროკურატურაში

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

ორიოდე დღის წინ, პრეზიდენტის მორიგი ექსპრესიული გადაწყვეტილების მომსწრენი გავხდით — თენგიზ გუნავა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორად დანიშნა. ამ „ღირსშესანიშნავი“ მოვლენისადმი მიძღვნილი გამოსვლისას, სააკაშვილმა გვაუწყა, რომ პატრულის თანამშრომელმა, რომლის ვინაობაც არ გაგვიმხილა, პატრულის ისტორიაში პირველად, ქრთამი აიღო: **„თანამდებობაზე დაბრუნდა წარსულის ძალიან ბევრი კადრი, გასვრილი კორუფციაში, სიგარეტისა და ჯართის კონტრაბანდასა და უამრავ სხვა საქმეში! მაგალითად, სამეგრელოში პოლიციის ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელად დანიშნეს შევარდნაძისდროინდელი კადრი, რომლის მეტსახელიც არის „ყულაბა“. სამწუხაროდ, დაფიქსირდა პატრულის მიერ ქრთამის აღების პირველი შემთხვევებიც. ეს მაშინ, როდესაც ძალიან ბევრი პროექტი შეჩერებულია. ასეთი ხალხი კი ბრუნდება სამართალდამცავ სტრუქტურებში, სახელმწიფო ორგანოებში...“**

სააკაშვილის ეს მონოლოგი შს სამინისტრომ დებატებად აქცია და პრეზიდენტს არანაკლები აღშფოთებით გამოეხმაურა. პასუხის გაცემა, რა თქმა უნდა, ცუდი არაა, მაგრამ საქმე შინაარსშია — შსს „თავდაცვის რეჟიმში“ „ჩადგა“, დარწმუნება დაგვიწყო, რომ თანამდებობაზე არავითარი „ყულაბა“ არ დაუნიშნავს და პოლიციის რიგებში არც ქრთამის ამღები პატრულია. **„სამეგრელო-ზემო სვანეთის არც ერთი რაიონის პოლიციის უფროსად არ დანიშნულა თანამშრომელი, მეტსახელად „ყულაბა“ ისევე, როგორც დღემდე პატრულის მიერ ქრთამის აღების არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა“,** — გვიხსნის შსს და პატრულის „ფაქტზე გამოჭერის“ შემთხვევაში, მოგვიწოდებს, ეს ამბავი დაუყოვნებლივ სამინისტროს ვაცნობოთ.

ისე, ჩვენში დარჩეს და, დაუყოვნებელი რეაგირებით შს სამინისტრო არ გამოირჩევა და სააკაშვილის ზემოხსენებული განცხადება, სხვა განცხადებების მსგავსად, „ყურს იქით გაატარა“. ამ ფონზე ისმის ლეგიტიმური კითხვა: თუკი ქრთამის ამღები პატრული „ბუნებაში არ არსებობს“, რატომ ცრუობს პრეზიდენტი, რატომ დუმს შს სამინისტრო და მსგავსი განცხადების საფუძველზე გამოძიებას არ იწყებს? იმის მაგივრად, რომ საგამოძიებო სტრუქტურები სააკაშვილისა და „ნაციონალთა“ მსგავსი ბრალდებებით ერთხელ მაინც დაინტერესდნენ, შს მინისტრი ღარიბაშვილი გვიხსნის, სისპეტაკის დასაბრუნებლად, პატრულის თანამშრომლებს ახალ ფორმებს ჩავაცმევ და რებრენდინგს დავიწყებო. მოკლედ, ასეთია პრეზიდენტის ბრალდებებზე შსს-ს პასუხი...

დაიწყო თუ არა გამოძიება პატრულის მიერ ქრთამის აღების ფაქტზე და ვინაა ეს „კორუმპირებული პატრული“? — ამ კითხვით „ვერსიამ“ შს სამინისტროს მიმართა, სადაც ტრადიციული პასუხი გაგვცეს: სააკაშვილის საჯარო განცხადებაზე არც გამოძიება დაწყებულა, არც პრეზიდენტს დაკითხვენ და, საერთოდ, ბუნებაში არც ქრთამის ამღები პატრული არსებობს.

„ვერსიასთან“ საუბრისას ექსპერტი, სამართალმცოდნე **ლევან ალაფიშვილი** კი აცხადებს, რომ სააკაშვილის დაკითხვა ნებისმიერ საგამოძიებო ორგანოს, ყოველგვარი კონსტიტუციური ბარიერების გარეშე შეუძლია. ალაფიშვილის თქმითვე, პრეზიდენტის ზემოხსენებული გამოსვლები, ძველი ხელისუფლების პოლიტდევნილად გამოყვანის გარდა, შეიძლება, სხვა მიზანსაც ემსახურება: **„ის, რაც პრეზიდენტს დღემდე კარგად გამოსდის, პოლიტიკური რიტორიკა და პოპულიზმია. მან იცის, რა და როგორ თქვას ისე, რომ ამავე დროს, კანონსმიღმა არ აღმოჩნდეს. ესაა მიზეზი, რომ მის განცხადებებზე რეაგირება არ ხდება და საქმის განხილვა არ იწყება. მსგავს პოლიტიკური ბრალდებებში არ არსებობს კონკრეტული ადრესატი და დანაშაულის ჩამდენი. სააკაშვილს თავისი განცხადებების ადრესატი რომ დაეკონკრეტებინა, მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, მის მიერ ნათქვამ ცრუ შეტყობინებებზე გვემსჯელა. ზოგადად, პრეზიდენტი იქნება, საჯარო პირი თუ რიგითი მოქალაქე, თუკი იგი კონკრეტული პირის მიერ ჩადენილ ქმედებაზე საუბრობს, ყველა სამართალდამცავი ორგანო ვალდებულია, საქმის შესწავლა დაიწყოს. ფაქტობრივი გარემოებების დადგენის ერთ-ერთი საშუალება სწორედ განმცხადებლის დაკითხვაა. იმუნიტეტი მოწმედ გამოძახებასთან დაკავშირებით, ერთ საჯარო პირს, მათ შორის, პრეზიდენტსაც არ იცავს! არაა გამორიცხული, პოპულიზმის გარდა, პრეზიდენტის რიტორიკას სხვა მიზანიც ჰქონდეს — სამართალდამცავები ხომ პოლიტიკის მიღმა არიან და თუ მათ სააკაშვილი ამ რიტორიკაში „წამოიკიდებს“, ნებსით თუ უნებლიედ, მხარედ აქცევს. პრემიერმა, როგორც პოლიტიკურმა ფიგურამ რომ უპასუხოს პრეზიდენტს, უფრო სწორია, მაგრამ არასწორია, თუ ამას გააკეთებს რომელიმე ძალოვანი უწყების მინისტრი. ამ დებატებში ჩართვით, პროკურატურაცა და შს სამინისტროც, შესაძლოა, მხარე აღმოჩნდეს. პოლიცია, პროკურატურა და თავდაცვა ის ინსტიტუციებია, რომლებიც მთლად მხარეებად არ არიან აღქმულნი და ხალხში ნორმალური რეპუტაციით სარგებლობენ, ამიტომ, პოლიტიკურ მხარედ ქცევა, მათ იმიჯს აზარალებს! სააკაშვილის განცხადებებს კი, ორი მიზანი აქვს — საზოგადოებაში შიშის, ნეგატივის დანერგვა და ამ ინსტიტუტების დისკრედიტაცია ანუ მხარედ ქცევა“.**

კულუარები

ბენდუქიძე საქართველოში საკუთარ ბიზნესს ხურავს?!

„ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, კახა ბენდუქიძე, შესაძლოა, საქართველოდან წავიდეს. ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა, საქართველოს საზღვრები შეიძლება, ფიზიკურად არ დატოვოს, მაგრამ კომპეტენტური წყაროს ინფორმაციით, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელი და ივანიშვილთან იდეოლოგიურ შეუსაბამობაში მყოფი ბიზნესმენი საკუთარი ბიზნეს-დივიდენდებისა თუ მასთან დაკავშირებული ინვესტიციების საქართველოდან გატანას გეგმავს. ბენდუქიძის „გავლენის სფეროებით“ მაკონტროლებლები უკვე დაინტერესდნენ. კულუარებში ამბობენ, რომ ბენდუქიძის პერსონით ახალი ხელისუფლება ახალ ტელეკომპანია „ტაბულას“ გამო დაინტერესდა — „ტაბულა“ ტელესივრცეში, სავარაუდოდ, ყოფილი ხელისუფლების ინტერესების გამტარებელი იქნება. შეგახსენებთ: ბენდუქიძისა და თანაპარტნიორთა მიერ დაარსებულ „სამოქალაქო განათლების ფონდს“ ტელეკომპანია „საქართველოს“ კუთვნილი კერძო მაუწყებლობის №21, 91 და 99 ლიცენზიები ახლახან გადაეცა. ტელეკომპანია „საქართველო“ მაუწყებლობს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, სენაკსა და საჩხერეში, ასევე — სატელიტით. სწორედ ეს არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თავისუფლების ინსტიტუტისთვის, რადგან სატელიტის გარეშე, ძველი ხელისუფლება იმავე პრობლემის წინაშე დადგებოდა, რა პრობლემაც არჩევნებამდე „მაესტროსა“ და „მე-9 არხს“ ჰქონდა.

ახლა კი, ფაქტები: განათლების სამინისტრომ აგრარული უნივერსიტეტის შემოწმება რამდენიმე დღის წინ დაიწყო — ბენდუქიძის უნივერსიტეტში ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შვიდკაციანი შემადგენლობა უკვე შევიდა. „ვერსიამ“ გაარკვია, რომ ბენდუქიძის უნივერსიტეტს მაკონტროლებელი უწყება აგრარული უნივერსიტეტის ყოფილ თანამშრომელთა საჩივრის საფუძველზე ეწვია. ამავე საჩივარში მითითებულია, რომ აგრარულ უნივერსიტეტში ირღვევა როგორც ავტორიზაციის, ასევე აკრედიტაციის სტანდარტები. ერთ-ერთი ინფორმაციით, მონიტორინგის ინტერესის საგანი, შესაძლოა, ზაჰესის დასახლებაში, რადიოლოგიის ინსტიტუტის აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტის რადიოაქტიური ნარჩენების საცავის სამსახურის გაუქმება და მისი ტერიტორიების გასხვისებაა. მონიტორინგის საბოლოო დასკვნა, რომელიც, სავარაუდოდ, ორ თვეში გახდება ცნობილი, ან შესაბამის სტრუქტურებს გადაეგზავნება ან სასამართლოს განხილვის საგანი გახდება...

პარკ-თაუნი, სახლი აუზთან, ბათუმი-პლაზა, „ლილო 1“, „გეო-ფიტნესი“, იახტ-კლუბი და სასტუმრო კვარიათში — ოფიციალურად, ეს ბენდუქიძის დის, ნინო ბენდუქიძის კომპანია „ბაგები სითი ჯგუფის“ საკუთრებაა. ბენდუქიძისა და დირექტორთა საბჭოს წევრია, თავმჯდომარე კი — ბენდუქიძის თანაკურსელი და მარჯვენა ხელი ჯუმბერ ხატიშვილი. „ბაგები სითი ჯგუფის“ ძირითადი მიმართულება დეველოპერული საქმიანობა და სასაწყობო-ლოჯისტიკური მომსახურებაა. სწორედ ამიტომაც, მსხვილ გადაზიდვებსა და სატერმინალო-სასაწყობე პროცედურებსაც არჩევნებამდე, ოპოზიცია ბენდუქიძის სახელს უკავშირებდა...

ბენდუქიძეს სხვა მომჩივანიც ჰყავს, „ეროვნულების“ ლიდერის, სანდრო ბრეგაძის შეფასებით, კახა ბენდუქიძე სისხლის სამართლის ტიპური დამნაშავეა და მისი მინისტრობისდროინდელი საქმიანობის შესწავლით პროკურატურა უნდა დაინტერესდეს. მოძრაობა „ეროვნულების“ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ბენდუქიძის მიერ ხდებოდა ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებზე მიწების, შენობებისა და სხვადასხვა საწარმოს „კაპიკებად“ მიყიდვა, თავად ბენდუქიძე კი, ჰესების, ტყეების, ენერგოობიექტებისა და სხვა ქონების ე.წ. აგრესიული პრივატიზაციის შესახებ შეკითხვებს სულელურს უწოდებს, თუმცა პრივატიზების საკითხებით, შესაძლოა, პროკურატურა მაინც დაინტერესდეს?

ეკა სეხნიაშვილი

რა პროვოკაციას ამზადებენ „ნაციონალები“ სამეგრელოში

„მიშა, სანამ დროა, გაიქეცი!“

რუსუდან შელია
პოლიტიკა

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონს ახალი გუბერნატორი ჰყავს — სამი თვის წინ, რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულად დანიშნული ზაზა გოროზია, ქვეყნის პირველი პირის ბრძანებით, შსს-ს გენერალური ინსპექციის ყოფილმა ხელმძღვანელმა, თენგიზ გუნავამ შეცვალა და პრეზიდენტმა, რომელიც მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე, პოლიტიკური „ბრძოლის ხაზი სწორედ გუბერნატორებზე გადის“, ახლადდანიშნულ რწმუნებულს „ნაცმოძრაობის“ მონაპოვრის დაცვა“ დაავალა. სამეგრელო-ზემო სვანეთის ახალი გუბერნატორი სწორედ ის თენგიზ გუნავაა, რომელიც სამართალდამცავებმა პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ორჯერ დააკავეს, სასამართლომ კი ორჯერვე, გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა, თუმცა მის წინააღმდეგ სამართალწარმოება ჯერ კიდევ გრძელდება. მიხეილ სააკაშვილის მიერ „ომის გმირად“ შერაცხულ გუნავას პროკურატურა ბრალს სვანეთის სოდ-ის უფროსის, ბაკურ გულუასა და საკუთარი მძღოლის დაჭრაში სდებს. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე კახა კოჟორიძე თენგიზ გუნავას რწმუნებულად დანიშვნას კანონდარღვევად მიიჩნევს და პრეზიდენტს საკუთარი გადაწყვეტილების შეცვლას მოუწოდებს.

— „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის თანახმად, საჯარო მოხელედ არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც გამოძიების ობიექტია ან პატიმრობაში იმყოფება. მოგეხსენებათ, თენგიზ გუნავას წინააღმდეგ სისხლის სამართლის წარმოება მიმდინარეობს, შესაბამისად, რეგიონის გუბერნატორად მისი დანიშვნა კანონთან შეუსაბამობაშია, რადგან ამავე კანონის თანახმად, აღნიშნული თანამდებობის პირი საჯარო მოხელედ მიიჩნევა. მართალია, ვიდრე გამოძიება მიმდინარეობს, დანამდვილებით ვერ ვიტყვით, გუნავამ დანაშაული ჩაიდინა თუ არა, მაგრამ ეჭვი ხომ არსებობს? პროკურატურას რომ ეთქვა, საქმეში საკმარისი მასალა არ არსებობს და ამიტომ გამოძიებას ვწყვეტო, ბუნებრივია, პრეზიდენტის გადაწყვეტილებაც კანონთან შესაბამისობაში იქნებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა — პროკურატურამ გამოძიების შედეგები სასამართლოში გადაგზავნა, რაც ზრდის ალბათობას, რომ თენგიზ გუნავა დამნაშავეა. საქმე სასამართლოში როცა იგზავნება, ეს ნიშნავს, პროკურატურამ პირის ბრალეულობის დამამტკიცებელი სამხილები მოიპოვა. ვფიქრობ, ქვეყნის პირველმა პირმა 10 იანვარს მიღებული გადაწყვეტილება, თენგიზ გუნავას გუბერნატორად დანიშვნასთან დაკავშირებით, უნდა შეცვალოს.

> 14 წლის გოგონას მიერ გადაღებული ვიდეო, რომელიც სამგერელო-ზემო სვანეთის გუბერნატორად დანიშნულ თენგიზ გუნავას წინააღმდეგ პროკურატურამ შეიძლება, ახალ მტკიცებულებად გამოიყენოს

— თუ პრეზიდენტმა ეს ნაბიჯი არ გადადგა, სხვა რა მექანიზმი არსებობს აღნიშნული უკანონო გადაწყვეტილების შესაცვლელად?

— რთული სათქმელია, ვინაა უფლებამოსილი პირი, რომელიც პრეზიდენტის გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს. დავობს ის, ვის ინტერესებსაც ზიანს აყენებენ. თუ მოქალაქე იტყვის, არ მინდა, ჩემს რეგიონს დამნაშავე რწმუნებული მართავდესო, პრეზიდენტის გადაწყვეტილების წინააღმდეგ სარჩელი, შეიძლება, განსახილველად სასამართლოში გადაიგზავნოს.

პიარსვლა, საკუთარი ბერკეტების განმტკიცება, თენგიზ გუნავას მომავალზე ზრუნვა თუ სამეგრელოს მოსახლეობის დაშინების მცდელობა — რატომ დაარღვია პრეზიდენტმა კანონი ღიად და როგორ შეხვდნენ ახალ გუბერნატორს ადგილობრივები? — „ვერსია“ „დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერს, **კახა მიქაიას** დაუკავშირდა.

— თენგიზ გუნავას სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორად დანიშვნა, ვფიქრობ, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებად არ უნდა მივიჩნიოთ, უბრალოდ, მიხეილ სააკაშვილი შეეცადა, სამეგრელო ახლო, ავადსახსენებელ წარსულში დაებრუნებინა, მაგრამ გარწმუნებთ, „ნაციონალები“ ავანსცენაზე ვეღარ მოხვდებიან, მით უმეტეს, სამეგრელოში. ზუგდიდი მიშას პროვოკაციებზე აღარ წამოეგება!

— კონკრეტულად, რა პროვოკაციაზე საუბრობთ. ფიქრობთ, თენგიზ გუნავა გუბერნატორის რანგში მოსახლეობის დაშინებას შეეცდება?

— დიახ, რა თქმა უნდა... სააკაშვილის გუნდი სხვადასხვა ღონისძიებით ცდილობს, ქვეყანაში ვითარება ხელოვნურად დაძაბოს. სააკაშვილს იმედი აქვს, გუნავა სამეგრელოში „ნაცმოძრაობის“ ნარჩენების მობილიზებას შეძლებს, რის შემდეგაც, „ნაციონალურ“ რევანშს ზუგდიდიდან დაიწყებს, მაგრამ მეგრელები დაშვებულ შეცდომას აღარ გაიმეორებენ. დღეს მთელი სამეგრელო თავისუფლებით ტკბება, არავის ეშინია საკუთარი პოზიციის ხმამაღლა გამოხატვისა და ახალაიების კლანის თარეშის შემდეგ, ხალხმა შვებით ამოისუნთქა. აქვე, მინდა, პრეზიდენტს მივმართო: მიშა, ტყუილად გგონია, მეგრელებში დასაყრდენი ჯერ კიდევ გაქვს. სანამ დროა, გაიქეცი!

— გავრცელდა ხმა, რომ პრეზიდენტი ზუგდიდის რეზიდენციაში გადასვლას აპირებს.

— კი, ბატონო, მეგრელები სტუმართმოყვარე ხალხია. დავხვდებით, პურ-მარილსაც გავუშლით და გზასაც დავულოცავთ, საქართველოდან გასაქცევად. სხვათა შორის, არჩევნების შემდეგ, რწმუნებულად მეორედ დანიშვნის დღიდან, ზაზა გოროზია სამეგრელოში არავის უნახავს და იცით, რატომ? — ზუგდიდში დაბრუნება ვეღარ გაბედა, საკუთარ კაბინეტში შესვლის შეეშინდა! რაც შეეხება თენგიზ გუნავას, მას არა მხოლოდ სამეგრელოს მოსახლეობა, მთელი საქართველო კარგად იცნობს იმ ცნობილი კადრებიდან, რომელიც სვანეთში 14 წლის გოგონამ გადაიღო. გახსოვთ ალბათ, რა მეთოდებით ცდილობდნენ გოროზია და გუნავა სვანეთში მაჟორიტარობის კანდიდატების დაშინებას. როგორც ამბობენ, მას დღეს პროკურატურისგან წაყენებული ბრალდებების გარდა, კიდევ არაერთ დანაშაულში აქვს ხელი გასვრილი, რისთვისაც, იმედს ვიტოვებ, დაისჯება... მჯერა, გუნავა სამეგრელოს მოსახლეობისთვის საშიშ ფიგურას ნამდვილად აღარ წარმოადგენს და, მიუხედავად იმისა, რომ 10 იანვარს გუბერნატორად მოგვევლინა, არა მგონია, სერიოზული ნაბიჯების გადადგმა გაბედოს, ალბათ, ფორმალური რწმუნებულის ფუნქციას შეასრულებს. არ გამოვრიცხავ, საბოტაჟის მცდელობაც ჰქონდეს, მაგრამ, როგორც გითხარით, აქ მას მხარს არავინ აუბამს. მით უმეტეს, ჩვენი ხელისუფლება საკმაოდ თანმიმდევრულად და სწორად მოქმედებს. სააკაშვილი კი გუნავას დანიშვნით პიარგათვლას აკეთებს — მოგეხსენებათ, დიდი ალბათობით, გუნავას მესამედ დაკავება ემუქრება და თუ ეს მოხდა, „ნაციონალები“ ყვირილს ატეხენ, აი, ნახეთ, ყოფილი მაღალჩინოსანი კი არა, მოქმედი თანამდებობის პირი დააკავეს, რაც ნიშნავს, რომ ჩვენ წინააღმდეგ პოლიტიკური დევნა გრძელდებაო. საბედნიეროდ, არც ქვეყნის შიგნით და არც მის ფარგლებსგარეთ, მათი ტყუილების აღარავის სჯერა.

სოსო მანჯავიძე პირობას დებს, რომ სააკაშვილი იანვარში „დამთავრდება“

საქართველოს პატრიოტთა ალიანსი საკონსტიტუციო სასამართლოსგან პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტას ითხოვს

რუსუდან შელია
პოლიტიკა

ახლადშექმნილი პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ საქართველოს პრეზიდენტისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას სამართლებრივად ითხოვს. აღნიშნულთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელიც შეიტანეს, თუმცა უცნობია, როდის დაიწყება საქმის განხილვა. „ვერსია“ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ გენერალურ მდივანსა და სარჩელის ერთ-ერთ ავტორს, სოსო მანჯავიძეს ესაუბრა. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ სარჩელს, მანჯავიძის გარდა, კიდევ ორი ავტორი — ჟურნალისტი ირმა ინაშვილი და დავით თარხან-მოურავი ჰყავს.

— სარჩელში მოყვანილი არგუმენტები ცხადყოფს, რომ სააკაშვილი უზურპატორია და ამიტომ უფლებამოსილება დაუყოვნებლივ უნდა შეუწყდეს. ირმა ჭკადუას მიერ, გერმანელი სამართალმცოდნეების რეკომენდაციებით შედგენილ სარჩელში მითითებულია, რომ საკითხი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სწრაფად უნდა განიხილონ.

— თუკი, სასამართლომ თქვენს მიერ მითითებულ ვადებში სარჩელის განხილვაზე უარი განაცხადა, რა ზომებს მიიღებთ?

— ასეთ შემთხვევაში, საინტერესოა, რა არგუმენტებით იხელმძღვანელებს საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში, კონსტიტუციაზე მუდმივი ძალადობის წინააღმდეგ ხმას არ იღებდა. იმედია, არგუმენტი სასამართლოს გადატვირთულობა არ იქნება, რადგან აღნიშნული ორგანო, წლებია, არაფრითაა დაკავებული. რაც შეეხება საპასუხო ზომებს, თუ სასამართლო საქმის განხილვას დათქმულ ვადებში არ დაიწყებს, მასშტაბურ აქციებს გავმართავთ.

— ფიქრობთ, თქვენს მიერ არჩეული გზით პრეზიდენტისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა რეალურია? მსგავსი მოთხოვნისგან ბიძინა ივანიშვილმა თავი შეიკავა, ეს დასავლეთისთვის რთული ასახსნელი იქნებაო.

— ყველაფერს გავაკეთებთ, რათა სარჩელში მოყვანილ არგუმენტებზე საერთაშორისო სტრუქტურები მაქსიმალურად იყვნენ ინფორმირებულნი. სააკაშვილსა და მის დაჯგუფებას დემაგოგიის საშუალებას ამ მიმართულებითაც მოვუსპობთ. მოკლედ, ვეცდებით, დასავლეთს ყველა დეტალი გასაგები ენით ავუხსნათ და, შესაბამისად, ბატონ ბიძინასაც დასავლეთიდან ის ზეწოლა მოეხსნება, რომელზეც ხშირად საუბრობს. გარწმუნებთ, მიზანს აუცილებლად მივაღწევთ და პრეზიდენტს იანვარში უფლებამოსილებას შევუჩერებთ! დაუშვებელია, როცა სააკაშვილი, ქართველი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი არაერთი დანაშაულის მიუხედავად, მაინც ასრულებს პრეზიდენტის უფლებამოსილებას. გამოდის, ჩვენი საზოგადოება თანახმაა, დამნაშავე და უზურპატორი, დასავლეთის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, აიტანოს?! ეს დამამცირებელია და უღირს ერად წარმოგვაჩენს. ღირსება არაფერზე უნდა გავცვალოთ, მით უმეტეს, დასავლეთის გარკვეული ძალების ვირტუალურ კეთილგანწყობაზე! ვინც ღირსებას კომფორტზე ცვლის, საბოლოო ჯამში, დისკომფორტს მიიღებს! თუ საკუთარ თავს პატივს არ სცემ, ნუ გექნება იმედი, სხვა პატივისცემით მოგეპყრობა. ისე, მოკავშირეები ევროპაშიც გვყავს და ამერიკაშიც. სიტყვა „კოჰაბიტაციის“ ზუსტი განმარტება ასეთია — ცოლ-ქმრის თანაცხოვრება განქორწინების შემდეგ. არა მგონია, ხელისუფლებაში რომელიმე მხარე თავს ყოფილ მეუღლედ განიხილავდეს და სააკაშვილის რეჟიმთან ოჯახური სიამტკბილობისთვის მზად იყოს! აქედან გამომდინარე, აბსურდამდე რომ არ მივიდეთ, რეჟიმს პოლიტიკური შეფასება უნდა მიეცეს.

— ეს ნიშნავს, რომ ყველა უნდა გასამართლდეს. თქვენი ახლადშექმნილი პარტიის პრიორიტეტი სწორედ ამ მიმართულებით ბრძოლა იქნება?

— საქართველო უნდა გახდეს ქვეყანა, სადაც ხალხს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უფლება და საშუალება ექნება. საშუალებებში სხვადასხვა მექანიზმს ვგულისხმობ, მაგალითად, ყველა დონეზე არჩევითობის დანერგვას, რაც მოსამართლის, პროკურორის, პოლიციის უფროსის, სკოლის დირექტორისა თუ სოფლის გამგებლის არჩევას გულისხმობს. მოკლედ, მმართველობის სრულიად ახალი სისტემაა ჩამოსაყალიბებელი. დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ და ამიტომ, მოდი, სახელმწიფო ინსტიტუციები ჩვენი შეხედულებისამებრ დავალაგოთ. რაც შეეხება ჩვენი პარტიის პრიორიტეტებს, მიშასა და „ნაცმოძრაობის“ გასამართლება, იმ მრავალი მიმართულებიდან, რომლის განხორციელებასაც ვგეგმავთ, ერთ-ერთია.

— საქართველოს პატრიოტთა ალიანსისგან რა აქტივობებს უნდა ველოდეთ?

— გვინდა, ისეთი ორგანიზაცია შევქმნათ, რომელიც ეროვნული სულისკვეთებით იქნება გაჟღენთილი. პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ქვეყნის მშენებლობაზე ზრუნვა მშვიდ და ნორმალურ გარემოშია შესაძლებელი, რადგან „ტყუილის მამა“ სააკაშვილი, თავის მავნებლურ ქმედებებს ვეღარ ახორციელებს. ჩვენ ვქმნით რეალურ პარტიას და არა — პარტიის იმიტაციას. საზოგადოება ჩვენი პარტიის მიმართ დიდ ინტერესს გამოხატავს, უკვე 2 500 ადამიანი გაწევრიანდა, თუმცა იუსტიციის სამინისტროსგან რეგისტრაციის დამოწმებას ველოდებით და გაწევრიანების პროცედურა დროებით შევწყვიტეთ. მოსახლეობის აქტიურობა, ვფიქრობ, იმით აიხსნება, რომ წინააღმდეგობის მოძრაობა საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა... ჩვენ გვაქვს ამბიცია, ვიყოთ პარტია, რომელიც ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს დაიცავს!

ვერსიანიუსი

„არმავიას“ თვითმფრინავში ქალმა იმშობიარა

ავიაკომპანია „არმავიას“ რეისზე, რომელიც რუსეთიდან ერევანში მიფრინავდა, ქალმა ბავშვი გააჩინა. ახალშობილს, თვითმფრინავის სტიუარდის პატივსაცემად, რომელმაც მშობიარობა მიიღო, ხასმიკი დაარქვეს.

ბავშვი და დედა თავს კარგად გრძნობენ.

სტიურადის, ხასმიკ გევდნიანის განცხადებით, მშობიარობის მიღებაში ეკიპაჟი ეხმარებოდა. მგზავრებმა ბავშვის დაბადება ოვაციებით აღნიშნეს.

„ჯი-ეიჩ-ენი“

„ვერსია“ საკონსტიტუციო სასამართლოში ირმა ინაშვილის, სოსო მანჯავიძისა და დავით თარხან-მოურავის სახელით შესული სარჩელის შემცირებულ ვარიანტს გთავაზობთ.

2006 წლის 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“ (№4133-რს), რომლის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით შევიდა ცვლილება საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-9 პუნქტში. კონსტიტუციური კანონის აღნიშნული ქვეპუნქტი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე, 2007 წლის იანვარში. საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირვანდელი რედაქციის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნების პირველი ტური უნდა გამართულიყო „წინა არჩევნების ჩატარებიდან მეხუთე წლის აპრილის მეორე კვირა დღეს“. რადგან საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდა 2004 წლის 4 იანვარს, საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-9 პუნქტში ცვლილების განუხორციელებლობის შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ჩატარდებოდა 2008 წლის აპრილში, თუმცა 2006 წლის 27 დეკემბრის საქართველოს კონსტიტუციური კანონის პირველი მუხლის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით შეიცვალა საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-9 პუნქტის რედაქცია და განისაზღვრა, რომ „პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში“. აღნიშნული ცვლილების საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნების ჩატარების დროდ, ნაცვლად 2008 წლის აპრილისა, განისაზღვრა 2009 წლის ოქტომბერი. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებით, მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა გახანგრძლივდა წელიწადითა და ექვსი თვით.

სახალხო სუვერენიტეტის პრინციპის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული ამ ფუნდამენტური პრინციპის შესაბამისად, ქართველი ამომრჩეველი აღჭურვილია საარჩევნო ხმის უფლებით და შესაძლებლობით, არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით, თავად განსაზღვროს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და განახორციელოს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ამომრჩევლის მიერ თანამდებობის პირებისა და წარმომადგენლობითი ორგანოებისათვის მინიჭებული დემოკრატიული მანდატი მოიცავს ორ ძირითად ასპექტს — უფლებამოსილების შინაარსსა და უფლებამოსილების ვადას. შესაბამისად, არჩეული წარმომადგენლებისთვის ხალხის მიერ მინიჭებული დემოკრატიული მანდატი შეზღუდულია ამ წარმომადგენლებისთვის კონსტიტუციით წინასწარ განსაზღვრული უფლებამოსილებით და უფლებამოსილების წინასწარ განსაზღვრული ვადით. დემოკრატიული მანდატის ხელშეუვალობის პრინციპის თანახმად, დაუშვებელია უკვე არჩეული თანამდებობის პირის, ან წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილების შინაარსის თვისებრივი გადასინჯვა, ან მისი უფლებამოსილების ვადის გახანგრძლივება, თუნდაც ეს განხორციელდეს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის გზით. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის წელიწადნახევრით გახანგრძლივებით, საქართველოს პარლამენტმა უხეშად ხელყო დემოკრატიის, სახალხო სუვერენიტეტისა და დემოკრატიული მანდატის ხელშეუვალობის პრინციპები. კერძოდ, საქართველოს პარლამენტმა ხალხის მიერ საქართველოს პრეზიდენტისთვის მინიჭებული მანდატი პოსტ ფაქტუმ, უკუძალით დატვირთა თვისებრივად სხვა შინაარსით, ვიდრე ის იყო დატვირთული ხალხის მიერ საქართველოს პრეზიდენტისთვის მანდატის მინიჭებისას. ამრიგად, საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წლის 27 დეკემბერს კონსტიტუციური კანონის (კერძოდ, მისი პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის) მიღებით სახელმწიფო ხელისუფლების ეს ორი ორგანო გასცდა საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებს და უხეშად შეიჭრა ხალხის, როგორც სუვერენის, სახელმწიფო ხელისუფლების წყაროს, უფლებამოსილების სფეროში... გარდა ამისა, უხეშად დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, „არავის აქვს უფლება მითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება“.

კონსტიტუციური კანონის პირველი მუხლის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და მის საფუძველზე ამოქმედებული საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-9 პუნქტის ახალი რედაქცია წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის ამავე მუხლის პირველ პუნქტთან, რომლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით. კონსტიტუციური კანონით განხორციელებული ცვლილების თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი შეიძლება არჩეულ იქნეს 4 წლისა და 10 თვიდან 5 წლისა და 10 თვემდე ვადით.

მსოფლიო მასშტაბით, არც ერთი ტრადიციული დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია არ ადგენს საპრეზიდენტო უფლებამოსილების 5 წელზე უფრო ხანგრძლივ ვადას, რასაც საფუძვლად უდევს საპრეზიდენტო ძალაუფლების დაბალანსებისა და ავტოკრატიული რეჟიმის ჩამოყალიბების პრევენციის სამართლებრივ-პოლიტიკური მიზანი. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის პირველი და მე-9 პუნქტების მოქმედ რედაქციებს შორის აღინიშნება არა მხოლოდ ტექნიკური სახის წინააღმდეგობა, არამედ, პრინციპული მნიშვნელობის შინაარსობრივ-სამართლებრივი კოლიზიაც. 5 წლით არჩეული პრეზიდენტისა და თითქმის 6 წლით არჩეული პრეზიდენტის პოლიტიკურ ძალაუფლებას შორის არის არსებითი და პრინციპული განსხვავება. შესაბამისად, შინაარსობრივ-სამართლებრივი კოლიზია 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ამოქმედებულ საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-9 პუნქტსა და ამავე მუხლის პირველ პუნქტს შორის, კონსტიტუციური კანონის ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის კიდევ ერთ მყარ საფუძვლად გვევლინება.

ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ „საქართველოს კონსტიტუციაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2006 წლის 27 დეკემბრის საქართველოს კონსტიტუციური კანონის პირველი მუხლის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი უხეშად არღვევს არა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ დემოკრატიისა და სახალხო სუვერენიტეტის პრინციპებს, არამედ, აგრეთვე, თითოეული ამომრჩევლის საარჩევნო უფლებას (საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველი პუნქტი) და ადამიანის ღირსების ძირითად უფლებას (საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი):

— საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უფლება“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხალხის მიერ საქართველოს პრეზიდენტისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ვადა გადაისინჯა უჩუმრად, ისე, რომ საქართველოს პარლამენტმა ხალხი ამასთან დაკავშირებით საქმის კურსშიც კი არ ჩააყენა. ამასთან, დაირღვა საკანონმდებლო აქტის მიღებისა და ხელმოწერის კონსტიტუციით დადგენილი წესი, რასაც საქართველოს კანონმდებლობა ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად ცნობის უპირობო საფუძვლად განიხილავს. საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის წელიწადნახევრით გახანგრძლივებით, უხეშად დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულითა და მე-5 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით განმტკიცებული დემოკრატიისა და სახალხო სუვერენიტეტის პრინციპები, 70-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ფუნდამენტური საკონსტიტუციო მნიშვნელობის ნორმა, 28-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული საარჩევნო ძირითადი უფლება და მე-17 მუხლით აღიარებული ადამიანის ღირსების ძირითადი უფლება. ამასთან, კონსტიტუციური კანონის მიღებისას, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა მოწესრიგდა არაუფლებამოსილი სუბიექტის მიერ, რითაც უხეშად დაირღვა საკანონმდებლო აქტის ფორმალური შესაბამისობის პრინციპი. გარდა ამისა, საჯარო უფლებამოსილების მომწესრიგებელ ნორმას საქართველოს პარლამენტმა მიანიჭა უკუძალა, რითაც უხეშად იქნა დარღვეული საჯარო სამართლის ელემენტარული პრინციპები. რადგან საკონსტიტუციო ცვლილებამ უშუალოდ განაპირობა ჩვენი, როგორც ამომრჩევლის ძირითადი უფლებების - საარჩევნო ძირითადი უფლებისა და ადამიანის ღირსების ძირითადი უფლების დარღვევა, მოვითხოვთ, ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი 2006 წლის 27 დეკემბრის საქართველოს კონსტიტუციური კანონის (№4133–რს) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი. ვშუამდგომლობთ, სარჩელი, მისი განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა და პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტუალობის გათვალისწინებით, განხილულ იქნეს რიგგარეშე, დაუყოვნებლივ, დაჩქარებული წესით. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ვერ იქნება უზრუნველყოფილი საარჩევნო ძირითადი უფლებისა და ღირსების ძირითადი უფლების ეფექტური დაცვა და იმ მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან აცილება, რასაც ჩვენს მიერ გასაჩივრებული არაკონსტიტუციური ნორმის შემდგომი მოქმედება გამოიწვევს.

„დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა — ივანიშვილი უფრო დიდი დიქტატორი იქნება, ვიდრე სტალინი!“

გორის ცენტრში მაღე სტალინის, ჩერჩილისა და რუზველტის ქანდაკება დაიდგმება?!

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

ვინ ჩაატარებს სტალინის გვამის ეგსჰუმაციას და აუგებს თუ არა საბჭოთა ბელადს წესს იღია II

ახმეტის რაიონის სოფელ აკურაში, თუშეთის სოფელ ალვანსა და სოფელ მარტყოფში სტალინის ძეგლები ძველ ადგილებს უბრუნდება. ასეთ დროს, ვინ უნდა გაგახსენდეს თუ არა, საზოგადოება „სტალინელის“ თავმჯდომარე, სტალინის დედის, კეკეს ცხედრის მთაწმინდიდან გადასვენების თავგადაკლული მოწინააღმდეგე, სტალინის გამო ე.წ. სამხრეთ ოსეთში პოლიტიკურ დევნილად გადაბარგების მსურველი გრიშა ონიანი. რატომ მიაკითხა შინ და რა აღიარა მის წინაშე გია ბარამიძემ, რატომაა პატრიარქი ილია მეორე ნომერპირველი სტალინელი, დაიდგმება თუ არა გორის ცენტრში „დიდი სამეულის“ — სტალინის, ჩერჩილისა და რუზველტის უზარმაზარი ძეგლები და რით ჰგავს ბიძინა ივანიშვილი იოსებ სტალინს? — გთავაზობთ სკანდალურ ინტერვიუს გრიშა ონიანთან.

— მოვიდა თქვენი დრო, ბატონო გრიშა — სტალინის ძეგლებს აბრუნებენ!

— ის, რასაც კრძალავ, უკან უფრო დიდი ძალით ბრუნდება! ბუნების კანონია, ქმედება უკუქმედებას იწვევს! ძველმა ხელისუფლებამ ისე მკაცრად ჩაატარა სტალინის ამოძირკვის ოპერაცია, რომ თვით ქართველთყლაპია ხრუშჩოვის ეპოქასაც გაუსწრო. შურისმაძიებელი კაცი არ ვარ, მაგრამ ერთი, ის გორელები დამანახა, ვინც სტალინის ძეგლის გორის ცენტრიდან ჩამოგდებას ტაშს უკრავდა და წაქცეულ სტალინს თავში ხელებს უტყაპუნებდა! ისე, ამბობენ, ეს ხალხი თბილისიდან იყო ჩაყვანილიო. ეს აშშ-ს შიშველი პროპაგანდაა და ვერ ვხვდები, რით ვერ დაასრულეს მასონებმა სტალინთან ბრძოლა?! არავის უთქვამს კომკავშირელებისთვის, ეკლესიებში შეცვივდითო, მაგრამ ისინი ამ გზით ბოლშევიკური სისტემის მხარდაჭერას გამოხატავდნენ. სტალინმა ამის შესახებ რომ შეიტყო, განაცხადა, ეს რა მომავალი თაობა გვყოლია, ეკლესიებისა და კულტურის ნგრევით იწყებს მოღვაწეობასო. ამ სიტყვების მერე კი, ეკლესიებზე თავდასხმა შეწყდა! როცა „ნაციონალების“ აქტივისტები სტალინის ძეგლებს მასობრივად იღებდნენ და არბევდნენ, „ნაცკულტურაში“ ერთი ისეთი ლიდერი არ გამოჩნდა, ვინც იტყოდა, ძეგლებთან რა გინდათ, სტალინს ცხოვრების უკეთესი პირობებით ებრძოლეთო. რითი სჯობდა „ნაციონალების“ ეპოქა სტალინისას, როცა პირდაპირ კანონში ეწერა, რომ „პოლიტიკური ლაყბობისთვის“ სასჯელი 1-დან 3 წლამდე ციხე, ან იძულებითი სამუშაო უნდა ყოფილიყო!

— როცა სტალინის დედის ცხედრის გადასვენება იგეგმებოდა მთაწმინდის პანთეონიდან და სტალინის ძეგლი გორის ცენტრიდან აიღეს, ე.წ. სამხრეთ ოსეთში პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვდით. მახსოვს, ჩემთან ინტერვიუში პრეზიდენტსაც მიმართეთ, მაგრამ ფაქტია: არსად წასულხართ, რატომ?

— მზადყოფნა გამოვთქვი, დამეტოვებინა საქართველო და სამხრეთ ოსეთში პოლიტიკური თავშესაფარი მომეთხოვა, მაგრამ ამას ხმამაღლა ახლა პირველად ვამბობ — ჩემთან, სახლში, გია ბარამიძე მოვიდა.

— რატომ მაინცდამაინც, ბარამიძე და რა გითხრათ ასეთი, წასვლა რომ გადაგაფიქრებინათ?

— ბარამიძემ მითხრა, არავის უნდა, გორში სტალინის ძეგლი არ იყოს, მაგრამ ჩვენს ქვეყანაზე იმდენად დიდია ევროკავშირისა და აშშ-ს ზეწოლა, არ შეიძლება, ნატო-სა და ევროკავშირში დიქტატორი სტალინის ძეგლითურთ მიგვიღონო ანუ „ნაცხელისუფლების“ ინტერესებში არ შედის სტალინის ძეგლის ჩამოგდება და „დესტალინიზაცია“ და ეს სულ სხვა მხრიდან იმართებაო!

— ახლა ამბობთ, რომ გია ბარამიძის პირით, საქართველოს ხელისუფლებამ თქვენს წინაშე თავი იმით იმართლა, ძეგლი თუ არ ავიღეთ, ნატო-ში არ შეგვიშვებენო?

— მითხრა, ამ ძეგლებს მაინც ავიღებთ, მაგრამ არ გვინდა, ნაწყენი დაგვრჩეთო. მთხოვა, ხელი ამეღო ჩემს განზრახვაზე. ეს რომ გააკეთო, შენთვისვე იქნება ცუდი, გამასხარავდები, რად გინდა ასეთი საქციელიო. ბარამიძეს დიდი ხანია ვიცნობ, მან ეს მეგობრული რჩევა სიყვარულით მომცა. მეც მიყვარს ბარამიძე და ახლაც შემიძლია მასთან ურთიერთობა. რაც შეეხება ჩემს აქ დარჩენას, ორივე პრეზიდენტს მივწერე, მაგრამ თანხმობა არც ერთი მხრიდან არ მიმიღია, მე კი პატარა ბიჭი აღარ ვარ, საზღვარზე გადავიპარო, თან ჩემი პატივმოყვარეობა დაკმაყოფილებულად ჩავთვალე, რაკი ხელისუფლებიდან ამხელა კაცი მოვიდა და ყველაფერი აღიარა. ამ საქციელმა მიმტევებლობის გრძნობა გამიჩინა. არასოდეს ვყოფილვარ სააკაშვილის დამცველი, მაგრამ სააკაშვილს ქვეყანა ამერიკის გარეშე რომ ემართა, ხალხის უსაყვარლესი ხელმძღვანელი იქნებოდა და არა — სხვისი ხელისმოსამსახურე! მან 9 წელი სხვის დაკრულზე იცეკვა და სხვის საამებლად ტანჯა საკუთარი ხალხი!

— მახსოვს, იმასაც ამბობდით, ბიძინა ივანიშვილი რუსული ინტერესების გამტარებელიაო, ე.ი. ახალი პრემიერიც სხვის დაკრულზე ცეკვავს?

— რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, თუ მის დიდ ავტორიტეტს ისიც დაემატება, რომ თავის რუსულ ორიენტაციას აღიარებს, უთუოდ, მეტი მხარდამჭერი ეყოლება. რუსეთთან საუკუნო მეგობრობის მომხრე ვარ. ამ გიგანტ ქვეყანას, რომელსაც ამერიკაც ვერაფერს უბედავს, კოღოსავით ცხვირზე არ უნდა აჯდებოდე, თორემ დააღებს პირს და გადაგყლაპავს!

— პირველი ოქტომბრის შემდეგ, ქვეყნის საგარეო კურსი არ შეცვლილა და ივანიშვილის რუსულ ორიენტაციაზე სტალინის ძეგლების დაბრუნება მიგანიშნებთ?

— ივანიშვილი სტალინის ძეგლების დაბრუნებასთან კავშირში არაა. იცით, რა?! ვისაც ძალიან უყვარს მიშა, ადგეს და, მისი ძეგლი დადგას, სტალინს თავი დაანებოს და ვნახოთ, ვინმე თუ მივა და ხელს ახლებს მიშას ძეგლს.

— ძველი მთავრობის წევრების გასაშვებად საკრებულოებს ლეწავენ და წარმოიდგინეთ, სააკაშვილის ძეგლს რას უზამენ მისი მოწინააღმდეგეები!

— „ნაციონალები“ რომ ანგრევდნენ და ლეწდნენ, კარგი იყო? 2003 წლის მერე, როცა ხმა მიშას მივეცი, არჩევნებზე აღარ ვყოფილვარ, ახლა კი წავედი, რიგშიც ვიდექი, ხმა ბიძინას მივეცი და ჩემი მოვალეობა მოვიხადე. ბიძინას მიმართ შიში მიჩნდებოდა, ვაითუ, თავი ვერ გაართვას სახელმწიფოს მართვას-მეთქი. ამ თემაზე ვფიქრობდი და მივხვდი — ბიძინამ კეთილმოწყობილი აუზი ააშენა თავისთვის, ახლა კი, ოკეანეში გადავიდა საცურაოდ, ქვეყანა უნდა მართოს. იქ სხვა მდგომარეობაა, წყალქვეშა დინებებია, ზღვის მტაცებლები და შხამიანი წყალმცენარეები არიან, მაგრამ იმდენად კარგად აქვს გამომუშავებული თავდაცვის ინსტინქტი, ოკეანეშიც დიდხანს იცურებს. ზღვაში ისეთი თევზებიც არიან, რომლებიც ცუდად ცურავენ და გემებს ეკვრიან გადასაადგილებლად. მათ ტმასნია თევზებს უწოდებენ და შეგვიძლია, სააკაშვილიც ამ ტიპის ტმასნიებს მივაკუთვნოთ. ემოციური კაცი ვარ და ვიცი, სახელმწიფოს ვერ ავაშენებ. სხვათა შორის, კომუნისტების დროს ანკეტაში იწერებოდა, ეს კაცი ემოციურიაო და მას თანამდებობაზე არ ნიშნავდნენ!

— პოლიტიკური ლაყბობისთვის დაჭერისა და ემოციურობისთვის თანამდებობაზე არდანიშვნის კანონი ახლაც რომ მოქმედებდეს, ნახევარი საქართველო ციხეში, მეორე ნახევარი კი, ალბათ, უმუშევარი იქნებოდა, არა?

— საბჭოთა კავშირის სურსათით მომარაგების მინისტრს, სიტყვით გამოსვლისას, შიმშილისგან გული წაუვიდა. რა გვიშავს, ახლაც ასეთი მინისტრები რომ გვყავდეს! ანდა, სტალინის შინელი ნახეთ, რამდენჯერაა დაკემსილი?! ასე რომ ეცხოვრა სააკაშვილს, ნაციონალური მოძრაობა არ დაინგრეოდა. ბიძინამ კი, ყველაზე მეტი იცის საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. ის შეცდომებს სპეციალურად უშვებს, რათა მეორე დღეს მოიბოდიშოს და ამით თავი გაგვიტოლოს, გვაგრძნობინოს, რომ ჩვენგან არაფრით განსხვავდება.

— ამ პარალელებით ერთმანეთს სტალინსა და ივანიშვილს ადარებთ?

— ხომ იცით, სტალინს ვერავის შევადარებ, მაგრამ რიგ შემთხვევაში, ერთმანეთს ნამდვილად ჰგვანან. არავინ იცის, რას გადაწყვეტს ბიძინა ხვალ. როგორც სტალინი, ბიძინაც არავის ენდობა, ის ნამდვილად მიმსგავსებულია სტალინთან, მაგრამ მას მაინც აკონტროლებს ევროკავშირი, სტალინს კი, ღმერთიც ვერ აკონტროლებდა! ჩერჩილი სტალინზე ამბობდა, მისი სიდიადე იმაში იყო, საკუთარი მტრები მათივე ხელით რომ გაანადგურაო. ჰოდა, იცოდეთ, ძალიან კარგად იცის ბიძინამ, რომელი პარტიაა საქართველოს ეროვნული ინტერესების მტერი, ისინი თავისთან ჰყავს და მათივე ხელით მოუღებს ბოლოს!

— თქვენი აზრით, ივანიშვილი ბოლოს მოღებას ვის უპირებს?

— საუბარია იმ პარტიებზე, ვინც წამოროშა, არჩევნებში მარტო უნდა მივიღოთ მონაწილეობაო. მერე, მეორე პარტია გაჩნდა და ახლა ესენი დაეტაკებიან ერთმანეთს. ეს ორი დამარცხდება და ბიძინა დარჩება, გამარჯვებულ საქართველოსთან ერთად. ახლა რომ იჭერს და უშვებს ვიღაცებს, ასე აღარ იქნება — ვინც დაამავებს, იმას დაიჭერს და აღარ გამოუშვებს, რადგან სახელმწიფო ყველგან სადამსჯელო აპარატია! არ მოგატყუოთ ბიძინას მოჭარბებულმა სირბილემ, თუ მას ოპოზიცია საფუძველს შეუქმნის, ის უფრო დიდი დიქტატორი იქნება, ვიდრე — სტალინი!

— სტალინმა ვერ დაამთავრა კარგად... რაც შეეხება პატრიარქთან ერთად მოსკოვში თქვენს ვიზიტს, ბატონო გრიშა, ამ ჯგუფში როგორ აღმოჩნდით და რა არის ვიზიტის მიზანი?

— 20 იანვარს, პატრიარქი მოსკოვში მიემგზავრება, სადაც დააჯილდოვებენ და შემდეგ, ჯგუფი წმინდა ადგილებს მოილოცავს. მეგობარს ვთხოვე, ამ ჯგუფში მეც ჩავერთე. დიდი მლოცველი არ ვარ, მაგრამ იქ ჩემი ინტერესებიდან გამომდინარე მივდივარ — ზურაბ წერეთელს უნდა შევხვდე და ვთხოვო, დიდი სამეულის ძეგლი, უნიკალური ქანდაკება, რომელიც სამამულო ომში გამარჯვების აღსანიშნავად, ყირიმში უნდა დადგმულიყო, საქართველოში გამომატანოს. მინდა, საქართველოს მოსახლეობას ღიად მივმართო — ამ ძეგლის ჩამოტანა გრიშა ონიანს, გორის მუნიციპალიტეტს, ან ბიძინა ივანიშვილს რომ არ დაბრალდეს, უნდა შევქმნა ფონდი, სადაც თითო ზარის ღირებულება ერთი ლარი იქნება. სატელევიზიო რეკლამასაც „დავატრიალებ“ და ვნახოთ, რამდენი მოქალაქე დარეკავს, რათა ამ ძეგლის ჩამოსატანად საჭირო თანხა მოგროვდეს და გორში დავდგა! ხალხი არ დარეკავს, ე.ი. არ ნდომებია ეს ძეგლი და მაშინ არ ჩამოვიტან.

— რომც ჩამოიტანოთ, ერთი სტალინი ვერ აიტანეს გორში და ახლა ერთდროულად, სამს ვინ დაგადგმევინებთ?

— რეიგანის ძეგლი თუ დგას, ჩერჩილი, რუზველტი და სტალინი რატომ არ უნდა იდგეს?!

— პატრიარქის ვიზიტი ამასთან რა შუაშია?

— ჯერ იმას გაგიმხელთ, რომ პატრიარქს რამდენჯერმე ვესაუბრე სტალინზე და თუ ვინმე მყავს სტალინისტი ჩემს ორგანიზაციაში, მათ შორის უპირველესი, ილია მეორეა! სხვათა შორის, სტალინის ცხედრის საქართველოში გადმოსვენებაზე რომ იყო საუბარი, პატრიარქს ვთხოვე წერილობით, ჩემთვის ნება მოეცა, სტალინის გვამის ეგსჰუმაციის შემთხვევაში, რუსეთის პატრიარქისთვის მისთვის წესის აგება მეთხოვა. როცა ილია მეორესთან ოთახში შევედი, ჩემი წერილი ხელში ეკავა და მითხრა, კარგი საქმე დაგიწყია, მაგრამ იმედი არ მაქვს, რომ გვამს გამოგატანენო, თუმცა თუ გამოგატანეს, იმათ რატომ ავაგებინო წესი, მე თვითონ ჩამოვალ მოსკოვში, გვამს სპეციალური თვითმფრინავით ჩამოვასვენებ, ყველა მღვდელმსახურს აეროპორტში მოვიყვან და კუბოს მიწაზედაუდგმელად ჩავატანინებ გორშიო.

— ამით იმის თქმა გინდათ, რომ პატრიარქი „სტალინისტია“?

— ის სტალინის პიროვნების პატივისმცემელია. იმდენი რამ იცის მასზე და ისე აფასებს სტალინის დამსახურებას მართლმადიდებლობის წინაშე, მისმა ცოდნამ პირდაპირ გამაგიჟა. არ მწამს ზეციური ძალების, მაგრამ ამას რომ მიყვებოდა, რაღაცამ მტაცა ხელი, წამოვხტი, დავეცი მის ფეხებთან, მის ანაფორას კოცნა დავუწყე და ცრემლი ღვარად ჩამომდიოდა. წამომაყენა და მითხრა, ახლა შემოვიდა ღმერთი შენშიო. ისეთ ეიფორიაში ვიყავი, პასუხს ვერ ვცემდი.

— პატრიარქთან თუ გისაუბრიათ ამ ძეგლის ჩამოტანაზე, გაქვთ მისგან მხარდაჭერა?

— ზურაბ წერეთელთან შეხვედრა ისედაც დაგეგმილია. მე კი ორივეს კარგად ვიცნობ — ზურაბსაც და პატრიარქსაც, ამიტომ ვფიქრობ, საუბარს მოვახერხებთ. ვიცი, ნამდვილად მექნება პატრიარქის მხარდაჭერა ამ საქმეში!

ვერსიანიუსი

ყოფილი ჯაშუში სააკაშვილს მონანიებისკენ მოუწოდებს

დეველოპერული კომპანია „ნიბა ინვესტის“ გენერალური დირექტორი, ბიზნესმენი ბაკურ კიღურაძე, რომელიც ჯაშუშობის ბრალდებით იყო დაკავებული და სასჯელს №6 დაწესებულებაში იხდიდა, პოლიტპატიმრის სტატუსით ციხიდან გათავისუფლდა. კიღურაძემ, ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ახალ მთავრობას მადლობა გადაუხადა და ყველას ახალი წელი მიულოცა, მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსაც და მას მონანიებისკენ მოუწოდა: **„ახალ წელს ვულოცავ ჩვენს პრეზიდენტსაც. ახალგაზრდა კაცია, ბევრს მიაღწია ცხოვრებაში, ბევრი შეცდომაც დაუშვა, ამდენ ხალხს ცილი დაგვწამა, გაგვამწარა, ბევრი ტყუილიც გვითხრა. ახალგაზრდაა, ახალგაზრდობით შეცდომები ბევრს მოსდის, მაგრამ მთავარია მონანიება. მთავარია, კაცი მიხვდეს და იგრძნოს ეს. ხალხი კიდევ მოყვასია, თუ მოინანიებ, ის აუცილებლად შეგინდობს“.**

„ინტერპრესნიუსი“

პოლიტპატიმრების უმრავლესობა საქმეების გასაჩივრებას აპირებს

„უსუსური ბრალდება იყო შეთითხნილი, შელამაზებული, თეთრი ძაფით ნაკერი. როგორ შეიძლება ვყოფილიყავი ჯაშუშობის გამო ბრალდებული, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე?!“ — განაცხადა გოჩა დიასამიძემ, რომელმაც ციხეში 2 წელი და 3 თვე გაატარა.

მისივე ინფორმაციით, არჩევნების შემდეგ გლდანის №8 დაწესებულებაში მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდა, მანამდე კი, პატიმრებზე ფსიქოლოგიური ზეწოლა ხორციელდებოდა, ლაპარაკს უკრძალავდნენ და ა.შ.

„ენვერის“ საქმეში ბრალდებული ტარიელ აბაშიძე კი აცხადებს, რომ პირველ რიგში, მისი მიზანია, აღნიშნულ საქმეს ნათელი მოეფინოს და გრიფი „საიდუმლო“ მოეხსნას: **„მინდა, ყველასთვის ნათელი გახდეს, რომ ჩვენ ამ საქმეში უდანაშაულოდ ვართ ჩათრეულები. ვიღაცის შავი პიარის გამო გაგვწირეს – სამსახური, კარიერა, ოჯახები დაგვატოვებინეს და ახლა თავიდან უნდა დავიწყოთ ყველაფერი. პირველ რიგში, უნდა დავიწყოთ სიმართლის მოძიება, რომ ეს ლაქა მოვიშოროთ. „ენვერის“ სახელით, მგონი, ბავშვებსაც აშინებენ. ძალიან მრცხვენია, რომ ამ საქმის მიღმა ჩემი სახელია და მინდა, ამ საქმეს ნათელი მოეფინოს“.**

გელა კაკაბაძე კი აღნიშნავს: **„როგორ შეიძლებოდა ასეთი რამ, სხვისი ოჯახების გაუბედურებით თავისი ბედნიერება აეგო იმ ხალხს, ვინც ჩვენზე ასეთი საქმე შეკერა?! სულ მალე, საქმე გაიხსნება და მერე ვნახავთ, როგორ იჭიკჭიკებენ ისინი, ვინც ჩვენზე ამბობდა, ჯაშუშები არიანო. თვითონ რომ მოვლენ აქ, მერე ვნახავთ, ვინ არის ჯაშუში და ვინ — არა“.**

„პირველი“

საპატიმრო კობა ოთანაძემაც დატოვა

ეს რეჟიმი იყო ანტიქართული და მისი დამხობის შემდეგ, გათავისუფლებას ველოდებოდი, — აღნიშნული განცხადება რუსთავის №6 მკაცრი რეჟიმის დაწესებულებიდან გათავისუფლებულმა კობა ოთანაძემ გააკეთა, რომელიც მუხროვანის ამბოხის ბრალდებით იყო დაკავებული.

ოთანაძის თქმით, მუხროვანის ამბოხი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მოწყობილია: **„ამბოხით ჰქონდა სააკაშვილს წლების განმავლობაში ხელისუფლება შენარჩუნებული, მაგრამ ვერ გაიმარჯვა და ხალხთან დამარცხდა“.**

„ინტერპრესნიუსი“

გაურიგდა თუ არა „ნაციონალებს“, მართავს თუ არა გია ხუხაშვილი და აპირებს თუ არა სააკაშვილის, მერაბიშვილისა და ადეიშვილის შენყალებას პრემიერ-მინისტრი

ბიძინა ივანიშვილი: „ჩემთან თამაშები არ გავა!“

ჯერ კიდევ ახალ წლამდე დიდი ხნით ადრე, „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში დაადასტურა, რომ „რუხი კარდინალია“, რადგან ვიღაცებმა „ქართული ოცნების“ სისტემაში ვერ ჩასვეს და ყველაზე გავლენიან ადამიანად მიიჩნიეს. მოკლედ, მიიჩნევა, რომ ბიძინა ივანიშვილის გუნდში ყველაზე გავლენიანი ადამიანია, რომელიც თვით პრემიერსაც მართავს. მეტიც, გია ხუხაშვილი „ახალ კეზერაშვილადაც“ შერაცხეს, რომელიც ბიზნესმენებს საკუთარ კაბინეტში იბარებს... ეს არის მცირე „მარგალიტები“ თანამედროვე ქართული პრესის „მითოლოგიიდან“. გია ხუხაშვილის ფაქტორსა და გავლენაზე პირველად მაშინ ალაპარაკდნენ, როცა არჩევნების წინ გამოქვეყნებულ ფარულ ჩანაწერებში ნათქვამი და არჩევნების შემდეგ, „მე-9 არხზე“ განვითარებული მოვლენები ერთმანეთს ერთი ერთში დაემთხვა... გია ხუხაშვილის პერსონა იმდენად აქტუალურია, რომ ამ თემაზე თვით პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილიც ალაპარაკდა. მედიაკავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელის, ირმა ინაშვილისთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში, რომელიც „ობიექტივის“ ეთერში 10 იანვარს გავიდა, პრემიერი სხვა მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ თემებზეც საუბრობს. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, „ვერსია“ ამ ინტერვიუს მცირედი შემოკლებით გთავაზობთ:

— ბატონო ბიძინა, საკონსტიტუციო ცვლილებებს საკონსტიტუციო უმრავლესობა სჭირდება. მიგვანიშნეთ, რომ მუშაობთ ნაციონალური მოძრაობის დეპუტაციასთან, რომლის ნაწილიც მხარს გიჭერთ. პირველი შეკითხვა ასეთია: ეყოლება თუ არა ბიძინა ივანიშვილს საკონსტიტუციო უმრავლესობა პარლამენტში, მაგრამ ერთჯერადი კი არა, მუდმივი?

— გააჩნია, საკითხებს. ყველაზე აქტუალური საკითხი, ის საკონსტიტუციო ცვლილებაა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს დიქტატორულ უფლებებს ჩამოართმევს, მაგრამ, ამავდროულად, განუსაზღვრელ და შეუზღუდავ უფლებებს ანიჭებს — როდესაც სურვილი ექნება, პრეზიდენტი მაშინ დაითხოვს მთავრობასა და პარლამენტს, რაც არც ერთი დემოკრატიული ქვეყნის კონსტიტუციაში არ დევს. რამდენადაც ეს ბოლო პრეზიდენტია ამ უფლებებით, უმრავლესობამ, თავს უფლება მივეცით, ასეთი ცვლილება მიგვეღო. პრეზიდენტს არ მოსწონს პარლამენტი, მთავრობა და გვაკრიტიკებს? — მზად ვართ, როცა სურვილი ექნება, მაშინ დაითხოვოს, მაგრამ ვართმევთ დიქტატორულ უფლებებს — თვითონ, ერთპიროვნულად დანიშნოს მთავრობა ისე, რომ არ ჰკითხოს პარლამენტს. არ ვთვლი, რომ ხმების პრობლემა გვექნება ამ შემთხვევაში, რადგან ეს არის პრინციპული საკითხი, რამდენადაც ვერც ერთი დეპუტატი, უმცირესობიდანაც კი, ვერ გაბედავს ამ ცვლილების წინააღმდეგ ხმის მიცემას. იმდენად აშკარაა, რომ ეს არის დიქტატურაზე აგებული კონსტიტუცია, ვერც ერთი წინააღმდეგი ვერ იქნება, შესაძლოა, ორისამი თავგანწირული კრიტიკოსი გამოდგეს. ჩემი აზრით, ამ ცვლილების წინააღმდეგობა თითოეულ დეპუტატს მომავალს გაუნადგურებს. სხვათა შორის, პირველ რეაქციას თუ ნახავთ, საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვას ხმა უკვე 104-მა დეპუტატმა მისცა, ჩვენ კი, 100 ხმა გვჭირდება. ისეთი განცდა მაქვს, წინააღმდეგი არავინ იქნება, რამდენადაც ეს აშკარად დემოკრატიული კანონია. რაც შეეხება სხვა საკონსტიტუციო ცვლილებებს, ბევრი ცვლილებაა გასატარებელი საარჩევნო და შრომის კოდექსებში, ასევე, სასამართლოსთან დაკავშირებით და არც აქ გვექნება საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღების პრობლემა, რამეთუ ეს გამჭვირვალე პროცესია, რაც ქვეყნის მომავალსა და სტრატეგიაზეა დაფუძნებული.

— ანუ ნაციონალური მოძრაობის დეპუტატებს აძლევთ სრულ თავისუფლებას, გააკეთონ არჩევანი და დადგნენ მარჯვენა ან მარცხენა მხარეს?

— რა თქმა უნდა, ამ საკონსტიტუციო ცვლილებებით, რომელიც ახლა შეგვაქვს, ვათავისუფლებთ იმ დიდი გავლენისგან, რაც სააკაშვილს ჰქონდა ჩადებული კონსტიტუციაში და რომელი სისტემის აგებაშიც, ბევრმა მათგანმა მიიღო მონაწილეობა. ისინი ამ სისტემის ტყვეები არიან და სწორედ ამ ტყვეობისგან გავათავისუფლებთ. ვფიქრობ, საპარლამენტო უმცირესობის დიდმა ნაწილმა შვებით ამოისუნთქა ასეთი კანონპროექტის შეტანით. კონსტრუქციული ოპონირების არ გვეშინია, ეს ძალიან სასარგებლოა და თუ მოახერხებენ, კარგი იქნება. თუ ამ ყველაფერს სააკაშვილიც გააცნობიერებს, მიხვდება, რომ ეს საკონსტიტუციო ცვლილებები ყველაზე დიდი შეღავათია მისთვის. პრეზიდენტი ზუსტად იმით გვემუქრებოდა, რაც კონსტიტუციაში ჰქონდა ჩადებული, მაგრამ ამის გამოყენება, სწორედ მისთვის იქნება საშინელება, ბოლომდე გაანადგურებდა მასაც და მის პერსპექტივასაც.

— ვის და რა კატეგორიას ეხება პოლიტიკური ამნისტია... საზოგადოების მოთხოვნაა, რომ დამნაშავეები, ბოროტების რეჟიმის შემქმნელები დაისაჯონ, მაგრამ ცხადია, ვერ მოგიწოდებთ, 50 000 კაცი დავაპატიმროთ, ეს ხომ ძველი რეჟიმი არ არის. როგორ აპირებს ახალი მთავრობა პოლიტიკური ამნისტიის გამოცხადებას, რა კრიტერიუმები იქნება მთავარი?

— საკმაოდ რთული კითხვაა, რამდენადაც ეს ბოლომდე გააზრებული არ მაქვს და არც ვცდილობ, გავიაზრო. ამას სპეციალისტები სჭირდება, მათ უნდა ჩამოაყალიბონ სტრუქტურა და ამის შემდეგ, მეც მივიღებ მონაწილეობას, თუმცა თავიდანვე, ეს ჩემი იდეა იყო, მე ვთხოვე უსუფაშვილს, ამ კანონის ცვლილებასთან ერთად, ეს დიდი ომი და არა — პოლიტიკური ოპონირება დასრულდებოდა. მორალურად, ვალდებულნიც ვართ, პატიება შევძლოთ, მაგრამ ამას აბსოლუტურად გამჭვირვალე ფორმა უნდა ჰქონდეს. პირობითად, ამნისტიის სტრუქტურის პროექტის განხილვისას, რომელსაც სულ სხვა სახელი ერქმევა და რომელიც პარლამენტს წარედგინება, საბოლოო სიტყვა საზოგადოებისგან უნდა წამოვიდეს. ჩვენი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა და მეც, დავიჯერე, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, როდესაც ხელისუფლებაში გამარჯვებული ძალა მოვიდა, დანაშაულებრივი სისტემა ერთ დღეში კი არა, თანდათანობით, ნაბიჯნაბიჯ აიგო. ამის შესახებ ზოგმა ადრე გაიგო, ზოგმა — გვიან, ზოგმა გაიგო და ვერ მოახერხა ამ სისტემიდან გამოსვლა, საბოლოოდ კი, ამ სისტემის შემქმნელები, თვითონვე იქცნენ იდეოლოგიის მსხვერპლად.

— კი, მაგრამ, დღეს რატომ არავინაა დაპატიმრებული. ამ ადამიანებს დანაშაულს ვერ უმტკიცებთ?

— რაღაც ნაწილს პასუხი უკვე მოეთხოვა, რაღაც ნაწილზე გამოძიება მიმდინარეობს და ჩემი ბოლო პოლიტიკური განცხადების შემდეგ, ძალოვან მინისტრებს მათივე სურვილით შევხვდი, სადაც დამისვეს შეკითხვა — ჩვენ როგორ უნდა მოვიქცეთ? თქვენ უნდა მოიქცეთ ისე, როგორც კანონი გავალებთ, ოღონდ არ იჩქაროთ, მაქსიმალურად კარგად გამოიკვლიეთ და პარალელურ რეჟიმში დაველოდოთ, როგორი ფორმის ამნისტია იქნება. უნდა მოვახერხოთ, ხალხის დიდი რაოდენობა, რომელიც ამ სისტემის მსხვერპლია, გავათავისუფლოთ, რათა ჩვენი საზოგადოების სრულფასოვან წევრებად დარჩნენ. ერთ-ერთ ტელეინტერვიუში ვთქვი, ამნისტიის ფორმა ისეთი უნდა იყოს, რომ თუ ვინმეზე საჩივარი შედის, ან ცნობილია, რომ მასზე გამოძიება მიმდინარეობს, ამნისტიის მიუხედავად, ძიების პროცესი ვერ გაჩერდება, მაგრამ ამნისტიამ უნდა დაასწროს და ამ ადამიანზე სისხლის სამართლის დევნა უნდა შეწყდეს. თუ ფინანსური დანაშაული აქვს ჩადენილი და რამე არასწორად წაიღო, უნდა დააბრუნოს, მაგრამ არ უნდა დაისაჯოს. თვითონ ამნისტია საჩივრების შეტანის პროცესს ვერ შეწყვეტს, მაგრამ პროკურატურაში რიგებს შეაჩერებს. სადაც არ შემცირდება, იქ გამოძიებას ვერ შევწყვეტთ, მაგრამ პატიების ფორმები იქნება, ვის და რა შემთხვევაში ეპატიება დანაშაული. რა თქმა უნდა, მკვლელობები, ან სხვა მძიმე დანაშაული ამნისტიას ვერ დაექვემდებარება, მაგრამ ის, რაც მასობრივია, მაგალითად, სამსახურებრივი თანამდებობის ბოროტად გამოყენება, ასევე, ფინანსური დარღვევები დაექვემდებარება ამნისტიას და საზოგადოებაც დაწყნარდება. ჩემი და ჩვენი გუნდის დიდი სურვილია, ჩაწყნარდეს ეს სიტუაცია და ქვეყნის აღმშენებლობა დავიწყოთ. ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ უნდა მოვახერხოთ და სამუშაო ადგილები შევქმნათ, რათა თითოეულ ოჯახს ჩვენს ქვეყანაში, ღირსეული ცხოვრების პირობები შევუქმნათ.

— საზოგადოების გარკვეულ წრეებში იმაზეც მსჯელობდნენ, რომ შესაძლოა, ამნისტია შეთქმულებაა, ბიძინა ივანიშვილი პატიობს ნაციონალურ მოძრაობას, რათა დასავლეთის თვალში ისე გამოჩნდეს, თითქოს საქართველოში ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. დავაკონკრეტოთ, პოლიტიკური ამნისტია შეეხება თუ არა მიხეილ სააკაშვილს, ვანო მერაბიშვილსა და ზურაბ ადეიშვილს?

— არავითარ შეთქმულებაზე საზოგადოებამ არ უნდა იფიქროს, არასდროს ვიკადრებ, რომ საზოგადოების ზურგსუკან, ვინმეს, რამეზე მოველაპარაკო და ამის მტკიცებულებაა განვლილი პერიოდი, რაც ხელისუფლებაში მოვედით. მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატებისა თუ ევროპელი პოლიტიკოსების დიდი ძალისხმევისა, მოვახერხეთ და ერთი ნაბიჯით უკან არ დაგვიხევია, ახალი სიტყვა — კოჰაბიტაცია იმ ფორმით, რა ფორმითაც მათ სურვილი ჰქონდათ, მიუღებელი იყო. ჩვენ დავიცავით სამართალი და ყველაფერი ისე გავაკეთეთ, როგორც საქართველოს მოსახლეობას შევპირდით. რაც შეეხება გვარებს, რომლებიც თქვენ დაასახელეთ, დაექვემდებარებიან თუ არა ამნისტიას, ნუ დავასწრებთ მოვლენებს, ყველაფერი გამჭვირვალე და გასაგები იქნება საზოგადოებისთვის. გარწმუნებთ, პარლამენტი კი არა, ამას საზოგადოება გადაწყვეტს. საზოგადოების ზურგსუკან არავითარი შეთანხმება არ იქნება, არ მოხდება ის, რაც თქვენ ისტორიულად იცით და ამის შიში ნურავის ექნება.

— ბევრი შეკითხვა დაგროვდა საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებით, არის პრეტენზიები კონკრეტული თანამდებობის პირების მიმართ.

დასასრული მე-7 გვერდზე

მე-6 გვერდიდან

ვიცით, რომ თანამდებობებზე დანიშნეს ისინი, ვინც უახლოეს წარსულში აწამებდა, აპატიმრებდა და ნარკოტიკებს უდებდა ადამიანებს, პრესაში ამ გვარებს ასახელებენ... აკონტროლებს თუ არა პრემიერ-მინისტრი საკადრო პოლიტიკას?

— ამ შეკითხვას ვუპასუხებ და პარალელურად, თქვენს მიერ, პრესაში ღიად დასმულ შეკითხვასაც პასუხს გავცემ, როდესაც ეჭვი გამოთქვით, რომ გია ხუხაშვილს გადავეცი თანამდებობა და ის მართავს საქართველოს. ამიტომ, თქვენთან შეხვედრის დიდი სურვილი მქონდა, რადგან ღიად დასვით მძიმე შეკითხვები და შევეცდები, საზოგადოებას კარგად ავუხსნა, როგორია ჩვენი საკადრო პოლიტიკა, ვინ არის გია ხუხაშვილი და რა ადგილი უჭირავს ჩვენს გუნდში, ან რა გავლენა აქვს. გია ხუხაშვილიც და სხვებიც, ერთი წლის წინ გავიცანი, როდესაც პოლიტიკაში შემოვედი. იქამდე რაღაც წარმატებები მქონდა და ეს ყველაფერი, მათ გარეშე გავაკეთე. არა მარტო თქვენ, ბევრ ჟურნალისტს და საზოგადოებასაც ეჭვი აქვს, რომ ვიღაცები მმართავენ, ვინც მიცნობს, კარგად იცის, რომ ძალიან რთულია ჩემი მართვა. ჩემი წარმატებული წარსულის გარდა, ერთსაც გეტყვით, სანამ პოლიტიკაში მოვიდოდი, ეს ადამიანები მანამდეც აქტიური პოლიტიკოსები იყვნენ, მათ შორის, გია ხუხაშვილიც. თუ გახსოვთ, რა მდგომარეობა იყო ერთი წლის წინ და არ დაგავიწყდათ, არავის სჯეროდა, რომ ხელისუფლების შეცვლა შეიძლებოდა. არ სჯეროდა არც ხელისუფლებას, არც — ოპოზიციას, არც — ამერიკას, არც — ევროპას და დღესაც ვერ გაუგია ძალიან ბევრს. არც ერთი კაცი არ არის ერთის გარდა, ვინც იცის, რა მოხდა თავიდან ბოლომდე და როგორ განვითარდა პროცესები. ეს პოლიტიკოსები არსებობდნენ, მაგრამ სიტუაცია, პრაქტიკულად, მკვდარი იყო, როგორ წარმოგიდგენიათ, მე მოვედი ამ ხალხის გამოყენებით, თან მოვახერხე და ყველა გამოვიყენე, ისეთი შეურიგებელი ხალხიც კი, რომელიც ერთადაც კი არ სხდებოდა. მათ შორის იყო შიდა და გარე კონფლიქტები, რის გამოც ერთმანეთში ვერ თანხმდებოდნენ, მაგრამ მოვახერხე, ეს ხალხი გამოვიყენე და ეს ყველაფერი დავალაგე. საკუთარ თავზე ამდენი საუბარი უხერხულია, მაგრამ რადგან ამას სხვა ვერ ან არ ახერხებს, მინდა, ბოლომდე ვთქვა. რაკი ეს შევძელი, ესე იგი, მეც რაღაცას წარმოვადგენ, ხომ? რაკი ეს ხალხი შევადუღაბე, ეს წინააღმდეგობები დავძლიე, ასეთ შედეგს მივაღწიე, რაღაც მეც შემძლებია და აი, ამ ფაქტორს კარგავენ. სიმართლე გითხრათ, არაფრის დამტკიცება მჭირდება, მაგრამ სხვა ვერ ახერხებს და მე მიხდება განმარტება, რომ არ ვარ ისეთი მარტივი, ვიღაცამ მმართოს, თუმცა პირველივე დღიდან, რაც პოლიტიკაში მოვედი, სულ იყო ინტრიგები, ყველაზე ყველაფერს ყრიდნენ, მათ შორის, გია ხუხაშვილზეც.

— ვინ აკეთებდა ამას?

— ასეთი სისტემა იყო, სიცრუის მანქანა ჰქონდათ აგებული და ამას „სეთურის სამსახურს“ ვუწოდებ. ბევრი ჩვენი პოლიტიკოსი გასვრილი იყო და ამ ინტრიგების გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. ბევრი ვერ ახერხებდა გაეგო, საიდან ან რა ჭორი მოდიოდა, მაგრამ ვერც ერთ შემთხვევაში, შეცდომაში ვერ შემიყვანეს. პოლიტიკაში შემოსვლის პირველივე დღიდან, გუნდის თითოეულ წევრზე დღეში 10 ინფორმაცია მაინც შემოდიოდა მყარი არგუმენტებით, რომ ის იყო მოღალატე, ის მართავს ივანიშვილის ჯგუფებს, ან თვითონ ივანიშვილს, მაგრამ შეცდომაში მაინც ვერ შემიყვანეს. ყველა დაბნეული იყო და გუნდის წევრების წაკიდებას ხშირად ახერხებდნენ, მაგრამ ამას ისევ მე ვაბალანსებდი. არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა და ჩემი გუნდის ვერცერთი წევრი ვერ დამაკარგვინეს ამ ინტრიგებით. კარგად ვერკვევი, კაცს რომ ერთი-ორი კვირა ვიცნობ, ვიცი, რისი შემქმნელია, თითოეული პიროვნების მოდელი ზუსტად მაქვს ჩამოყალიბებული, რისი გამკეთებელია ჯერ პოზიტივში და ნეგატიურ ასპექტშიც რა შეუძლია. ყველა, ვისაც რა შეეძლო, მაქსიმალურად გამოვიყენე და მათი შესატყვისი შესაძლებლობები მივეცი. ვფიქრობ, საკადრო პოლიტიკა ასე განისაზღვრება. კრიტიკა ნორმალურია, აუცილებელია და ახლა ცოტა მოდაშიცაა, ზოგს ჰგონია, რომ თუ ხელისუფლებას არ გააკრიტიკებს, „დაგოიმდება“ და, უნდა თუ არა, ჩემდა სამწუხაროდ, ხშირად, კარგი ჟურნალისტებიც ვერ ახერხებენ კონსტრუქციულ კრიტიკას. კონსტრუქციული და სასარგებლო კრიტიკის არ გვეშინია, მაგრამ ვფიქრობ, იმ რეალობიდან, რაც საქართველოში იყო, ოპტიმალური გუნდი მოვიყვანეთ, საუკეთესო არ არსებობს. ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, კარგი გუნდი მოვიყვანეთ, კარგი საკადრო პოლიტიკა გვაქვს, კარგი მთავრობა და კარგი პარლამენტია. ცხადია, პრობლემები გვაქვს, არ არსებობს იდეალური მთავრობა და პარლამენტი, არც ჟურნალისტიკაა იდეალური, არც — საზოგადოების სხვა ნაწილი, სამოქალაქო სექტორიც სუსტია, მაგრამ არსებული რეალობიდან ვთვლი, რომ სერიოზული შეცდომა არ დაგვიშვია. მცირეოდენი შეცდომები თუ დავუშვით, სახეზე გაქვთ მაგალითები, რომ შევეცადეთ და გამოვასწორეთ კიდეც, მაგრამ სერიოზული საკადრო შეცდომა არ დაგვიშვია.

ისევ გია ხუხაშვილის როლს დავუბრუნდები. ჩვენს გუნდში ყველას აქვს თავისი ფუნქცია, მათ მაქსიმალურ თავისუფლებას ვაძლევ, მაგრამ ყველამ კარგად გააცნობიერა, რომ მოთხოვნაც ვიცი. მაქსიმალურ თავისუფლებას ვაძლევ, მინიმალურად ვერევი, თუ ვხედავ, რომ უჭირს, ვაძლევ დროს, გამოასწოროს სიტუაცია, ასეთია ჩვენი გუნდი, მთავრობაც ასეთია და ვფიქრობ, ეფექტური მთავრობა გვყავს. გია ხუხაშვილი ამ პროცესში ჩვენი გუნდის აქტიური წევრი იყო, გვეხმარებოდა, მისი დასახელება ჩვენი გუნდის წევრად ახლა უხერხულია, რამდენადაც „საქართველოს განვითარების ინსტიტუტის“ დირექტორია, ეს ინსტიტუტი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელსაც დასაწყისშივე, გრანტი გამოვუყავი. ადრეც ვფიქრობდი და ახლაც მიმაჩნია, რომ ამ ინსტიტუტის არსებობა საჭიროა. გარდა იმისა, რომ გია ხუხაშვილი ნიჭიერი კაცია, საკმაოდ კრეატიულია, კარგი გამოცდილება და პრაქტიკა აქვს, მაგრამ გიას სურვილი იყო, ამ ინსტიტუტში დარჩენა, პოლიტიკაში წამოსვლა არ უნდოდა და ესეც მისი არჩევანია. გიას კარგი გამოცდილება აქვს, ოდესღაც ის „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორი იყო, თანაც უწესიერესი კაცია, არ არსებობს, გიამ მოგატყუოს კორუფციაზე, ფულის აღებაზე, რაც თქვენს შეკითხვებში ისმოდა. მინდა გიპასუხოთ, გია აბსოლუტურად წესიერი კაცია და ერთი გრამი ეჭვი არ მაქვს, რომ როდესაც საქმეზე გავუშვებ, ზურგსუკან მოლაპარაკებებს წარმართავს, ან თავის საქმეს გააკეთებს. საზოგადოება ეჭვობს, რომ ივანიშვილს ხუხაშვილი მართავს, მაგრამ გიმეორებთ, ჩემი მართვა ადვილი საქმე არ არის და არ ვარ მარტივი ადამიანი, თუმცა გია ნიჭიერი კაცია. გარდა ამისა, მას პიარშიც კარგი გამოცდილება აქვს, რადგან „სოკარში“ პიარის მიმართულებით მუშაობდა. კარგად იცის ტრანზიტების თემა, რამდენადაც ამ პროცესებში მონაწილეობდა და შესაბამისად, ამ საკითხებში კონსულტაციებს ვღებულობ. კონკრეტულად გეტყვით, რა ევალება გია ხუხაშვილს, მას ევალება აზერბაიჯანთან, ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან, ურთიერთობების დამყარება, მეგობრობდა „სოკარის“ საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელებთან, მის ამ ცოდნას კარგად ვიყენებ და ხშირად კონსულტაციებს ვიღებ აზერბაიჯანთან, „სოკართან“, რკინიგზასა და ტრანზიტებთან დაკავშირებით.

„მე მოვედი ამ ხალხის გამოყენებით, თან მოვახერხე და ყველა გამოვიყენე, ისეთი შეურიგებელი ხალხიც კი, რომელიც ერთადაც კი არ სხდებოდა. მათ შორის იყო შიდა და გარე კონფლიქტები, რის გამოც, ერთმანეთში ვერ თანხმდებოდნენ, მაგრამ მოვახერხე, ეს ხალხი გამოვიყენე და ყველაფერი დავალაგე. საკუთარ თავზე ამდენი საუბარი უხერხულია, მაგრამ რადგან ამას სხვა ვერ ან არ ახერხებს, მინდა, ბოლომდე ვთქვა. რაკი ეს შევძელი, ესე იგი, მეც რაღაცას წარმოვადგენ, ხომ?“

იმასაც ამბობენ, ხუხაშვილი ბიზნესმენებთან გარიგებაში შევიდა, კეზერაშვილი ჩაანაცვლა და ასე, შემდეგ. პირველ რიგში, საზოგადოებას მინდა განვუმარტო, მოერიდეთ ჩვენი მეზობელი, მეგობარი და სტრატეგიული პარტნიორი სახელმწიფოს კრიტიკას და მისი მართვის პრინციპებს, მხედველობაში მაქვს აზერბაიჯანი. თვითონ ვნახე, რომ ეფექტურად განვითარდა ეს სახელმწიფო და მისი მმართველიც ეფექტური მენეჯერია. ხშირად პრესაში ისმის, რომ აზერბაიჯანში კორუფციაა, ჩვენ მივხედოთ ჩვენს კორუფციას, ჯერ ისეთი დემოკრატიული სახელმწიფოც არ გვაქვს, რომ სხვა სახელმწიფოების კრიტიკას გადავყვეთ. რაც შეეხება ტრანზიტსა და ბიზნესის კონტროლს, ასეთი რამ არ არსებობს, როგორ წარმოგიდგენიათ, ან მე ვიკადრო, ან ვინმეს მივცე უფლება, რასაც ვებრძოდით, იგივე დავაფუძნოთ?! ჩვენ არ ვეხებით თავისუფალ ბიზნესს.

რაც შეეხება ტრანზიტებს, ეს ქვეყნის საკუთრებაა, რომელიც ყველას ეკუთვნის, თქვენც გეკუთვნით, ამიტომ ყველა მოქალაქემ უნდა მიიღოს მისგან შედეგი და არა — ბიზნესმენების ერთმა ჯგუფმა. აი, აქ, ჩემი თხოვნით, რადგან კონსტრუქციული კრიტიკის, ტრანზიტი ძირითადად, სარკინიგზო ტვირთია, რომელიც დაკავშირებულია აზერბაიჯანთან, ჩაერია გია ხუხაშვილი. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ბიზნესმენები, არ დავასახელებ მათ გვარებს, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ბიზნესს აკეთებდნენ, ტრანზიტულ ტვირთებს აკონტროლებდნენ. ეს სახელმწიფოს საკუთრებაა და აი, ამას ვარეგულირებთ, ამ საკითხებში ვთხოვე გიას დახმარება, რადგან მან ეს სფერო კარგად იცოდა. ახლა ვადგენთ, რომ ის, რაც სახელმწიფოს ეკუთვნის, არც ერთმა ბიზნესმენმა არ მიისაკუთროს.

— პრაქტიკულად, მონოპოლიებს შლით?

— რა თქმა უნდა. ტრანზიტული ტვირთები სახელმწიფოს საკუთრებაა, რომელიც სახელმწიფომ უნდა განკარგოს და ეს შედეგი სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა შევიდეს. თუ პირდაპირი გზით ვერ მოვახერხებთ, ამასაც გეტყვით და ყველა, ყველაფერს გაიგებს. რაღაც შეიძლება ვერ შევიდეს ბიუჯეტში, მაგრამ ირიბად მაინც მოვახმართ სოფლის მეურნეობას, ან სხვა, რომელიმე მიმართულებას, მაგრამ აქ ვერ იქნება და ვერ იბოგინებს ბიზნესი, რადგან ტრანზიტი ბიზნესი არ არის. გარწმუნებთ, ყველაფერი მოხმარდება სახელმწიფოს, გიამ უკვე ბევრი იცის და მე მას ვენდობი, რამდენადაც ის წესიერი და პრინციპული კაცია, თანაც ეს გიას სფეროა. ამავდროულად, გია ხუხაშვილი სოციოლოგიურ კვლევებს ატარებს თავისივე ინსტიტუტში და პიარ-სამსახური, რომელიც ძალიან სუსტი გვაქვს, ხშირად მის მონაცემებს იყენებს, რის გამოც, შეხვედრები აქვს მასთან. აი, ეს არის გიას გავლენებიც და მისი სფეროც, ტყუილად აგებენ ჭორებს მასზე. ეტყობა, ჩვენს ჯგუფშიც დარჩა ერთი-ორი ადამიანი, რომელიც ისევ ამ პატარა ბავშვების მიერ აგებული „სეთურის სამსახურის“ გავლენის ქვეშ არის. დაახლოებით ვიცი, საიდან და როგორ მოდის ეს ინფორმაციები, მაგრამ არ ვეხები, არ მინდა, ჭორებით ვიმუშაო, ან ჭორებით მივუთითო. ისეთი სისტემის აგება დავიწყეთ, რომ ამგვარ ქმედებას ნელ-ნელა გამორიცხავს, ასეთი ჭორებით ჩემზე გავლენას ვერ ახდენენ. რამდენიმე კაცია ჩვენს ჯგუფში, რომელიც თავისი ნიჭით, ახალი რეალობის აღქმას ვერ ახერხებს, ამიტომ გამუდმებით ამბობს, ეს სააკაშვილზე მუშაობს, ის მერაბიშვილზე, მაგრამ ყველამ უნდა შეიმეცნოს და გაიგოს, ჩემთან ეს თამაშები არ გავა! იმედი მაქვს, გარკვეულ დროში მოახერხებენ და რეალობას გაითავისებენ, თუ არადა, საკუთარ საქმეს გაიფუჭებენ, სისტემას კი ვერავინ გაანადგურებს.

— საზოგადოებას მოლოდინი აქვს, რომ შესაძლოა, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს, ექნებათ თუ არა სხვა პარტიებს საშუალება, ახალი საპარლამენტო არჩევნების პირობებში, საპარლამენტო სივრცეში მოხვდნენ?

— ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები პრეზიდენტმა უნდა დანიშნოს. ვიდრე საბოლოო განცხადებას გავაკეთებდი, მივანიშნებდი, რომ თუ გაქვს სურვილი და არ მოგწონს, შეგიძლია, დაითხოვო პარლამენტი და ვადამდელი არჩევნები ჩავატაროთ. პრეზიდენტს სწორედ ამ მექანიზმს ვაძლევთ საკონსტიტუციო ცვლილებით, რომ მას შეუძლია, ნებისმიერ დროს დაითხოვოს მთავრობაცა და პარლამენტიც, ოღონდ ძველი მთავრობა შეასრულებს ფუნქციას. ყველა სახელმწიფოს კონსტიტუციაში ასეა, რომ ახალმა პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს ახალი მთავრობა და აი, ეს უკუღმართობა იყო ჩადებული კონსტიტუციაში. ამ უკუღმართობას ვაშორებთ, მაგრამ ვუზრდით შესაძლებლობებს, როცა უნდა, მაშინ დაითხოვოს პარლამენტი, რასაც ალბათ, ვერ გააკეთებენ, რადგან, დიდი ალბათობით, შესაძლებელია, ნაციონალური მოძრაობა საერთოდ ვერ მოხვდეს პარლამენტში. რაც შეეხება სხვა პარტიებს და კოალიციას, მასში შემავალ პარტიებს მცდელობა ჰქონდათ გაერთიანებისა, მაგრამ მე პრინციპული პოზიცია მიჭირავს და თვითონაც კარგად გაიგეს, რომ არ შეიძლება, ახალი უბედურება მივიღოთ. როგორც კი კოალიციას გარეოპოზიცია არ ეყოლება, აუცილებლად მოხდება ბუნებრივი პროცესი და ყველა პარტია მოახერხებს დამოუკიდებლობას კოალიციის გარეშეც, მაგრამ შიგნითაც უფრო გააქტიურდებიან, თუკი განსხვავებული აზრი აქვთ. თქვენ, ალბათ, კოალიციის გარეთ დარჩენილ პარტიებზე მკითხეთ, გასულ კვირასაც მქონდა შეხვედრა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერთან და ვუთხარი, რა გჭირდება იმისთვის, რომ ეს პარტია ერთ-ერთ ძლიერ პარტიად ჩამოყალიბდეს. რა თქმა უნდა, ახალ პარტიასაც, ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო, განვითარება სჭირდება, მათაც ამბიციური გეგმები ჰქონდათ, მაგრამ დავუწუნე და ცოტა გამინაწყენდნენ კიდეც. ამ პარტიასაც რაღაც დონეზე წამოვწევთ, მაგრამ საზოგადოება დარწმუნდება, რომ ეს არ იქნება მხოლოდ ერთი პარტიის გასაძლიერებელი პროცესი. მათ შორის, თქვენს პარტიას (საქართველოს პატრიოტთა ალიანსი) იგივეს ვთავაზობ, რადგან იმისთვის, რომ განვითარებული საზოგადოება მივიღოთ, მრავალპარტიული სისტემა აუცილებელია, სადაც ყველა პარტიას უნდა ჰქონდეს განვითარების საშუალება. მცდელობა მაქვს, კანონის დარღვევის გარეშე, ისე დავეხმარო დამოუკიდებელ პარტიებს, რომ პლურალური საზოგადოება ჩამოყალიბდეს.

„შს კრიმინოგენული ვითარების გაუარესებას არ დაუშვებს“

შს სამინისტრო სრულად აკონტროლებს სიტუაციას და კრიმინოგენული ვითარების გაუარესებას არ დაუშვებს, — ამის შესახებ შს მინისტრმა, ღარიბაშვილმა სამების საკათედრო ტაძარში განაცხადა, სადაც პატრიარქის იუბილისადმი მიძღვნილ საზეიმო წირვაზე პოლიტპატიმრების ნაწილიც მივიდა:

„ამნისტიის კანონი მკვეთრად გაცხადებული ჰუმანური ჟესტია ჩვენი ახალი მთავრობისა. ამავდროულად, არსებობდა გარკვეული საუბარი იმის შესახებ, რომ შესაძლოა გაზრდილიყო კრიმინალი, დაძაბულიყო სიტუაცია, მაგრამ მინდა განვაცხადო, რომ ჩვენი სამინისტრო, მთლიანად პოლიცია, აბსოლუტურად მობილიზებულია, სრულად ვაკონტროლებთ ვითარებას და არ დავუშვებთ კრიმინოგენული სიტუაციის გაუარესებას. ეს უნიკალური შანსია ამ ადამიანებისთვის, რათა მოხდეს მათი სრული ინტეგრაცია საზოგადოებაში“.

13 იანვარს სასჯელაღსრულების დაწესებულებები პარლამენტის მიერ პოლიტპატიმრად აღიარებულმა, 190-მა მსჯავრდებულმა დატოვა.

„პირველი“

გიორგი დემეტრაძე: „ყველა ბრალდება აბსურდული იყო!“

ყოფილი ფეხბურთელის, გიორგი დემეტრაძის განცხადებით, მის მიმართ წაყენებული ბრალდება აბსურდული იყო.

ამის შესახებ დემეტრაძემ თბილისის №12 სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების შემდეგ განაცხადა:

„რა თქმა უნდა, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ვიცოდით, რომ გამოვიდოდით. ეს გადაწყვეტილება სამართლიანია და იმედია, დანარჩენებსაც გაათავისუფლებენ. როგორ უნდა ვაღიარო ფეხბურთელმა კაცმა ქურდული ტრადიციები?! აბსურდული ბრალდება იყო და როგორ მეღიარებინა?“

საქართველოს პარლამენტმა გიორგი დემეტრაძე პოლიტპატიმრების სიაში შეიყვანა.

„პირველი“

facebook NEWS

ლელა გაფრინდაშვილი

პოლიტიკური ქვეწოლა ცდილობს, დაეწიოს და გაუსწროს პოლიტიკურ ზეწოლას.

facebook NEWS

ნინო ზურიაშვილი

„ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩვენ არასდროს ჩავრეულვართ“, — სააკაშვილმა თქვა. აბა, გუბაზს და ღარიბაშვილს მე ვუსმენდი და მე ვავრცელებდი?

facebook NEWS

ლაშა მეგონია

იმის მაგივრად, ამდენი ადამიანის უკანონო დაპატიმრებაზე ბოდიში მოიხადონ და დანაშაულის ჩადენის გამო თავი დახარონ, გამოდის მათი პრეზიდენტი და კიდევ უტიფრად ცრუობს. ერთ საკითხზე მაინც გამოეხატა სინანული...

facebook NEWS

ნინო ჯღარკავა

„გარეკილას“ ამოვაცვათ რკინის ტრუსი, ხელში მოწნული მათრახი დავაჭერინოთ და მივაჯაჭვოთ არარატის მთას.

facebook NEWS

ირაკლი ირაკლი

....დათესეს და იმკიან...
დაღრეჯილი აქვთ სახენი,
კაცებს ისედაც არ გავდნენ,
გულში მათ უდევთ ფეკალი,
თავიდან თითქოს არ ყარდნენ.
და ამოირტყეს წიხლები,
სადღაც გაიქცნენ, გავარდნენ,
კურდღლებს ჰგონიათ, ვერ ვნახავთ,
მართლა მარსზე ხომ არ წავლენ?
თქვენი დედები, „ნაცებო“,
ასლოკინებენ ,,ლოცვებით“,
ისე უყვარხართ ქართველებს,
დაგეწევიან ცოცხებით.
ფარშავანგივით იჯდებით, ციხე,
„ზონაში“, ორმოში,
ბოროტი თესეთ ცხრა წელი,
მოგეთხოვებათ ბოლოში!

facebook NEWS

ნანა ნ. გაგუა

მანჯურიის აგენტი ცხოვრობს, ცოლთან ერთად, ჩემს „პლაშადკაზე“!
გამოვიძახე პატრული და არ მოდის: ქრთამი გვაქვს მაგისგან აღებული და ხელს ვერ ვახლებთო. რა ვქენი? შიშველი ხელებით თავად უნდა გავანეიტრალო?!

სპეციალური რეპორტაჟი ომის ვეტერანთა ჰოსპიტლიდან

თემურ სირაძე

ჩამტვრეული ლოგინები, მონჯღრეული ტუმბოები, გაქუცული სავარძლები, „ინვალიდი“ მაგიდები და სკამები, ჩამოცვენილი ბათქაში, დამსკდარი ბიაზი, უფარდო და ფიცარაკრული, ცივი პალატები, უანტენო ტელევიზორი და ანტისანიტარია ომის ვეტერანებისთვის.

შოთა იამანიძის 5 — ამ მისამართზე საქართველოში ერთადერთი ჰოსპიტალი ფუნქციონირებს, რომელიც, სამამულო ომის ვეტერანების გარდა, ავღანეთის, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომების მონაწილეებსაც ემსახურება.

აღნიშნულ ჰოსპიტალს, პირადი საჭიროებისამებრ, პირველად მაშინ მივაკითხე, როცა ხელისუფლებაში ჯერ კიდევ „ნაციონალები“ იყვნენ. ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. გაკვირვებულთან ერთად, შეურაცხყოფილიც დავრჩი. ყველაფერი რეგისტრატურიდან დაიწყო. ანკეტის გახსნის შემდეგ, პერსონალს ვთხოვე, ფსიქოლოგის კაბინეტი მიესწავლებინათ. პასუხად მივიღე, რომ ჰოსპიტალს არ ჰყავდა ფსიქოლოგი, მაგრამ შემეძლო, ფსიქიატრის მომსახურებით მესარგებლა (როგორც ამიხსნეს, თურმე, ფსიქიატრი და ფსიქოლოგი თითქმის ერთი და იგივე ყოფილა?!). იქვე დაინტერესდნენ, ხომ არ მსურდა სხვა სახის გამოკვლევების ჩატარებაც. დავეთანხმე, რის შემდგომაც, მიმღები განყოფილების ხელმძღვანელ ლალი ბარათაშვილთან გადამამისამართეს. მან ყურადღებით მომისმინა, გულდასმით გამსინჯა და ჯერ ანალიზების ასაღებად, მერე კი, ექოსკოპისტთან, ქირურგსა და რენტგენოლოგთან გამგზავნა.

რენტგენის კაბინეტი შენობის პირველ სართულზე მდებარეობს. იქ განთავსებულ აპარატურას კი, როგორც ერთ-ერთი ქართული ფილმის პერსონაჟი იტყოდა (ოღონდ ლიფტის შესახებ), „რომ მოიტანეს, უკვე გასული ჰქონდა ექსპლუატაციის ვადა“. დანადგარები იქით იყოს, როგორც აქაურები ირწმუნებიან, ტექნიკის სიძველე, მედიკოსების პროფესიონალიზმს ვერ ჩრდილავს, ვინაიდან, „მათ, მაინც შეუძლიათ უტყუარი დიაგნოზის დასმა“.

„პროფესიონალი“ რენტგენოლოგის კარს ორ ეგზემპლარად „ამშვენებს“ წარწერა: „გთხოვთ, დაიბანოთ, წაისვათ ანტიპრესპირანტი და ისე გამოცხადდით ექიმთან!“

დამეთანხმებით, ამ ტექსტის ხილვის შემდეგ, ვეტერანს კი არა, თავმოყვარე კოდალას აღარ მოუნდება იქ მისვლა, სადაც დაუბანელი და სუნიანი ჰგონიათ. ეს ყოველივე, ვფიქრობ, შინაგანი ეთიკისა და პირადი ჰიგიენის საკითხია და თუ ადამიანს ეს არ გააჩნია, მას მსგავსი მოწოდებები ვერ უშველის.

ჩემი მორიგი გაოცება „პროფესიონალმა“ ქირურგმა, ცისმარი ლაღიძემ შეძლო. მას მოვახსენე, რომ მარჯვენა მხარეს, საზარდულის არეში, ვუჩიოდი ტკივილსა და უცხო შეგრძნებებს. დასმული დიაგნოზი უცვლელად „მოვიპარე“ ჩემი ანკეტიდან, დასკვნა კი თავად გააკეთეთ:

„ავადმყოფი უჩივის მარჯვენა საზარდულის არეში სიმსივნური წარმონაქმნის არსებობას, რომელიც შეამჩნია 2 წლის წინ. ზომაში თანდათან გაიზარდა ობიექტურად. მარჯვენა საზარდულის არეში აღინიშნება სიმსივნური წარმონაქმნი ზომით 6X5X3 სმ. რბილი კონსისტენციის, უმტკივნეულო კომპრესიით ბრუნდება მუცლის ღრუში. საზარდულის გარეთა რგოლი გაფართოებულია. ხველითი ბიძგი დადებითი.

დასკვნა: მარჯვენამხრივი საზარდულის თიაქარი კ-40. რეკომენდირებულია გეგმიურ-ოპერაციული მკურნალობა. ც. ლაღიძე“.

ერთი შეხედვით, თითქოს, არაფერია გასაკვირი, მაგრამ... ეს „ვერდიქტი“ ისე გამომიტანა ქირურგმა, არც გაუსინჯივარ. თავიდან მეამა, ასე რომ მენდო „პროფესიონალი“. გავოცდი კიდეც, ისე ზუსტად მიასაბუთა ჩემი ნაამბობი, მაგრამ ციფრებმა (6X5X3) მაინც დამაეჭვა და თუ ჩემი ეჭვი უსაფუძვლოა, რაღა საჭიროა რენტგენი და ექოსკოპია, როცა ჩვეულებრივ მოკვდავს (თუნდაც ექიმს) ასეთი სიზუსტით შეუძლია დაზიანებული ამა თუ იმ ორგანოს ზომების გამოთვლა?!

როგორც მოგახსენეთ, ეს ამბავი მოხდა წინა ხელისუფლების ზეობის ხანაში, რომელსაც ვეტერანების ღირსება და თავად ვეტერანებიც, მაპატიეთ და, „ფეხებზე ეკიდა“. შეუწყვიტეს ყველანაირი პრივილეგიები (გარდა საქალაქო ტრანსპორტზე შეღავათისა) და სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, სასტიკად დაარბიეს „გმირთა მოედანზე“ თავიანთივე თანამებრძოლების „დიდების მემორიალთან“...

ახლა სხვა დროა — „საოცნებო“ სიომ დაჰბერა. შეიცვალა მთავრობა, რომელიც, ჯერ კიდევ არჩევნებამდე აკეთებდა აქცენტებს ვეტერანებზე, მათ უფლებებსა და სოციალურ თუ სხვა სახის უზრუნველყოფაზე. მეტიც, ირაკლი ალასანიამ, რომელიც პირველი ვეტერანი მინისტრია უკანასკნელი წლების განმავლობაში, 2013 ვეტერანთა წლად გამოაცხადა.

იმის გასარკვევად, რა შეიცვალა ამ მოკლე პერიოდში ვეტერანთა ჯანდაცვაზე ზრუნვის კუთხით, კვლავ ვეწვიე ჰოსპიტალს. სურათი იგივე დამხვდა. თვალში მომხვდა ახალი მოწოდება საპირფარეშოში – „უნიტაზზე ფეხებით ნუ დადგებით!“ ვერაფერს იტყვი...

სანამ მადლიერ, უმადურ, თუ ჩემსავით ინტრიგან (ასე მიწოდა მოგვიანებით, ერთ-ერთმა ექიმმა) პაციენტებს გავესაუბრებოდე, გადავწყვიტე, დაწესებულების დირექტორ გიორგი მაცაბერიძისთვის მიმემართა.

„ჰოსპიტალი 1978 წლიდან ფუნქციონირებს. 70 000-მდე სხვადასხვა კატეგორიის ვეტერანს, მათთან გათანაბრებულ პირსა და მარჩენალდაკარგულს ვემსახურებით, ომის ვეტერანთა დახმარების პროგრამის ფარგლებში, რომელსაც თავდაცვის სამინისტრო ახორციელებს და მედეა ბეთაშვილი კურირებს. შარშანდელი მონაცემებით, სტაციონარული მკურნალობა 1700, ამბულატორიული კი — 7 000-მდე პაციენტს ჩავუტარეთ. სამწუხაროდ, სიკვდილიანობის კოეფიციენტი 4-5%-ს შეადგენს“.

ბატონი გიორგი ვეტერანთა ჰოსპიტალს მერვე წელია, უდგას სათავეში და, როგორც ამბობს, 15 წელია, სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებულა.

„შევარდნაძის დრო გაგვიხდა სანატრელი!.. აქ მკურნალობას რა მადი აქვს?!“

არადა, სიტუაცია საგანგაშოა. შენობა გრუნტში ჯდება. დაბზარულია კედლები.

„ორიოდე წლის წინ, დიღომში, ჟვანიას კლინიკაში გამოგვიყვეს ხუთსართულიანი ფლიგელი, რომელიც, საბოლოოდ, სხვას გადაეცა. ჩვენ კვლავ სირთულეების ფონზე გვიწევს მუშაობა. ჰოსპიტლის ერთ-ერთ ბლოკში, 20 წელია, დევნილები არიან. გაქირავებული გვქონდა ფართი. ფუნქციონირებს კომერციული სექტორიც, მაგრამ ეს ვერაფერი შეღავათია. მოგეხსენებათ, ვეტერანები, განსაკუთრებულ და გარკვეულწილად, რთულ პაციენტთა რიცხვს განეკუთვნებიან. რომ არა თანამშრომელთა სტაჟი, გამოცდილება და პროფესიონალიზმი, ვერაფერს გავხდებოდით (ჰოსპიტლის პერსონალი 200 კაცისგან შედგება და ექიმის საშუალო ხელფასი 200 ლარია, — ავტ.). **არ გვყავს ტოქსიკოლოგი, ფსიქოლოგი. ფსიქიატრიც მხოლოდ კონსულტანტის სტატუსით მოვიწვიეთ** (სამაგიეროდ, ჰყავთ გინეკოლოგი, — ავტ.). **ვერ ვახორციელებთ ტრავმატოლოგიურ, ნეირო და კარდიოქირურგიულ ოპერაციებს. რეანიმაციაში, რომელიც ექვს სულზეა გათვლილი, ხელოვნური სუნთქვის მხოლოდ ერთი აპარატი გვაქვს. 2012 წლამდე, ჯანდაცვის სამინისტროს ვექვემდებარებოდით, იმავე წლის ივლისში კი, თავდაცვის სამინისტროს გადასცეს ჰოსპიტალი. დღეს, ვეტერანთა საკითხი აქტუალურია და იმედია, არსებული პრობლემებიც მოგვარდება“,** — ოპტიმიზმს ინარჩუნებს მაცაბერიძე.

ამ ფონზე დავემშვიდობე დირექტორს და შემდეგ, ჩემი მეგზურობა ჰოსპიტლის დამფუძნებლის, ვლადიმერ სანიკიძის ქალიშვილმა და მთავარმა ექიმმა, ეკა სანიკიძემ ითავა. გეზი სამზარეულოსკენ ავიღეთ, რათა იმ დღის მენიუში ჩამეჭყიტა. გზად, პაციენტებსაც გავესაუბრე.

ამირან გოგიჩაიშვილი, აფხაზეთის ომის ვეტერანი ხაშურიდან, მე-2 ჯგუფის ინვალიდი: **„მერვე წელია, ამ ჰოსპიტალში ვმკურნალობ. ორჯერ მაქვს ინფარქტი გადატანილი. შევარდნაძის დრო გაგვიხდა სანატრელი. მაშინ, 40 დღე შეგვეძლო სტაციონარში გაჩერება. წინა მთავრობამ კი 15 დღემდე შეამცირა ეს ვადა, ამიტომ პაციენტი ისე ეწერება სახლში, ხშირად, ვერ ახერხებს მკურნალობის კურსის გავლას. მორიგ ვიზიტამდე კი თვენახევარი უნდა იყოს გასული. რომ არა პერსონალის თბილი მიდგომა და ყურადღება, აქ არაფერია, რაც ავადმყოფს სრული რეაბილიტაციისთვის სჭირდება. ეს შპალერი ენთუზიაზმით, პაციენტებისა და ახლობლების ძალისხმევით, ჩვენვე გავაკარით. გამათბობლებიც სახლიდან მოგვაქვს, რომ არ გავიყინოთ. ანტისანიტარიასაც ვუჩივით. თერაპიის განყოფილებაში კი არის აბაზანა, მაგრამ — უფუნქციო** (აქ ის ანეკდოტი გამახსენდა, ფსიქიატრიულში აუზს რომ გააკეთებენ და ჭკვიანად მოქცევის შემთხვევაში, წყლის ჩასხმასაც დაპირდებიან გიჟებს, — ავტ.). **არ არის ცხელი წყალი და სხვა პირობები. ტუალეტში გვიწევს ჭურჭლის გარეცხვა. არც წამლებია საკმარისი და საკუთარი სახსრებით გვიწევს მათი შეძენა. ერთი ტელევიზორიც გვაქვს, პაციენტის დატოვებული, მაგრამ, ანტენა არ აქვს. რაც შეეხება მენიუს, სამჯერადი კვებაა. დილა-საღამოს ჩაი, ბრინჯის, ან მანანის ფაფა. წიწიბურა. კარაქის მცირე ულუფაც** (პრინციპში, ჩემთვის მეტი ცხიმიც არ შეიძლება, ნაინფარქტალი ვარო, თითქოს, თავი იმართლა ბატონმა ამირანმა, — ავტ.). **სადილზე პირველი და მეორე, პერიოდულად კვერცხიცაა. შეძლებისდაგვარად, ხორცის ნაჭრებსაც გვაძლევენ“.**

დამშვიდობებისას კი, ღიმილით მითხრა რესპონდენტმა, ბურჯანაძის პარტიიდან იყვნენ მოსულები. ერთი ტელევიზორი მოიტანეს და ჩვიდმეტი ტელევიზია მოიყოლეს ამ ფაქტის გასაშუქებლადო...

ჰოსპიტალში ასაკოვანი ქალბატონებიც მკურნალობენ. მარჩენალდაკარგული ფაციკო ზაქარაია და ოჩამჩირიდან დევნილი, ცხრა შვილის (მათ შორის 5 ომის მონაწილეა, — ავტ.) დედა რაისა ჩერქეზია. მათთან ხანგრძლივი საუბარი არ შედგა, მაგრამ ჩავარდნილ ლოგინებზე მიმითითეს და, აქ მკურნალობას რა მადლი აქვსო, — დაიჩივლეს.

ლოგინები მართლაც, ჩაზნექილია. ზოგადად, ინვენტარია სამარცხვინო. მონჯღრეული ტუმბოები, დერეფანში, გაქუცული სავარძლები და ინვალიდთათვის განკუთვნილი, თავად „ინვალიდი“ მაგიდები და სკამები, ჩამოცვენილი ბათქაში და დამსკდარი ბიაზი, უფარდო და კარზე სიცივის შესაკავებლად ფიცარაკრული პალატები — ეს ყველაფერი 21-ე საუკუნეში, თანაც იმ ადამიანებისთვის, ვინც საკუთარი სისხლი და ხორცი არ დაინანა სამშობლოსთვის...

ამასობაში, სადილობის ჟამიც დადგა და სამზარეულოს ერთ-ერთმა მუშაკმა დერეფანშივე გვამცნო, რომ იმ დღეს, 37 პაციენტზე დამზადდა საკვები — ბორშჩი და ჩახოხბილი. თან, დასძინა, რომ სადღესასწაულოდ, „პეჩენია“ და კამფეტიც დაურიგდათ ვეტერანებს.

დასასრულს, ეკა სანიკიძემაც გამოთქვა გულისტკივილი: „შენობა 1921 წელსაა აშენებული და ამჟამად, ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე ირიცხება. ჰოსპიტლის ბიუჯეტი 800 000 ლარია, რაც არანაირად არაა საკმარისი. ავადმყოფებს ტენდერით მოგებული წამლებით ვმკურნალობთ. ყველაფერი თანხებთანაა დაკავშირებული. დაფინანსების თუნდაც გაორმაგების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მომსახურების ხარისხი და პირობები. ნელ-ნელა ინვენტარსაც მივხედავთ. ჩვენ, სპეციფიკური კონტინგენტი გვყავს, რომელსაც, ტრადიციული მკურნალობის გარდა, განსაკუთრებული ყურადღება და დაყვავება სჭირდება. ვეტერანები ის პოლიტიკური პლატფორმა და ბურჯია, რომელზეც სახელმწიფოს პრესტიჟი და სიძლიერეა დამოკიდებული“.

„ოპონენტები სხვანაირად ვერ მკბენენ და... ერთ ადგილას მიკბინონ!“

სოსო ჯაჭვლიანის რჩევები „ვირთხებსა“ და „ნაძირლებს“

ეკა სეხნიაშვილი

რა სახსრებით შეიძინა უმრავლესობის დეპუტატმა სოსო ჯაჭვლიანმა ახალი ჯიპი, რეალურად აქვს თუ არა თეა წულუკიანთან დაპირისპირება არჩილ კბილაშვილს, რა ელის მიშას და კიდევ რომელი დეპუტატები გადავლენ „ნაციონალებიდან“ „ქართულ ოცნებაში“? — ამ და სხვა თემებზე „ვერსიას“ დეპუტატი სოსო ჯაჭვლიანი ესაუბრება.

— ბატონო სოსო, ციხეებიდან ამდენი პატიმარი რომ გამოუშვით, ეს, როგორც სააკაშვილი ამბობს, ქვეყანას ავნებს, რადგან გარეთ ГРУ-ს ბევრი ჯაშუში გამოვიდა...

— სააკაშვილმა ხომ თქვა, ავნოსო. ჰოდა, ამაზე გამახსენდა, ევგენი გაბრიელოვიჩი და ევგენი ევტუშენკო რაღაცაზე წაკამათდნენ და დაუწერა ევტუშენკომ ასეთი ლექსი: „ია ევგენი, ტი ევგენი, ია გავნო, ტი ტოჟე გავნო, ია ნე დავნო, ა ტი დავნო“... და მიშას ვეუბნები, ვის „ავნოს“ მაგ „გავნოს“?! თვითონ არ შეიწყალა „პრისტუპნიკები“?! ზუსტად ახლა მოვდივარ რუსთავის საპყრობილედან, იქიდან უამრავი გათავისუფლდა, მათ შორის, ჩემი უახლოესი მეგობარი ბესო ხვინთელიანი, რომელიც მოსკოვში ცხოვრობდა და აქ თაღლითობისთვის დაიჭირეს, თუმცა თვითონაც ვერ ხვდებოდა, რატომ. მიშას, ამ მანიაკის ძმა და მარიკა ვერულაშვილი ბესოს ორი თვე ჰყავდა კიპრში, საკუთარ სახლში, დაასვენა, „აგულავა“... ამ კაცს უნდოდა, ინვესტიციები შემოეტანა. კარგად შეისწავლეს, დაათვალიერეს მისი ქონება, ინვესტორების თვალწინ დააპატიმრეს და საქმე „შეუკერეს“. მაშინ არ იყო დამნაშავე, კიპრში, ორი თვე, მაგის ვილაში რომ ჭამდნენ და თქვლეფდნენ?!

— სააკაშვილმა ისიც განაცხადა, პროკურატურა მარიკა ვერულაშვილის ოჯახის წევრებს აშანტაჟებს და მის ბიზნესმენ მეუღლეზე ზეწოლას ახორციელებს, რათა მარიკა „ქართულ ოცნებაში“ გადავიდესო. თქვენც იგივეს ხომ არ აკეთებთ, რაც სააკაშვილის ხელისუფლების არ მოგწონდათ?

— თუ აშანტაჟებენ, ეგ ძალიან ცუდია და გამოსაძიებელია. მარიკა კარგი გოგოა, ჰოდა, ეტყობა, შეანუხა რაღაცებმა და ამას პლუსში ჩავუთვლი, თუ არჩევანს აკეთებს. პარლამენტში რომ შემხვდება, უზარმაზარ მადლობას ვეტყვი. საერთოდ, რომ იცოდეთ, „ნაციონალებიდანაც“ ბევრი გრძნობს სინდისის ქენჯნას და აპირებს კიდეც გადმოსვლას.

— ბატონო სოსო, „ნაციონალები“ ამბობენ, „ქართულ ოცნებაში“ ამნისტიით დიდი ფული გაკეთდაო. განსაკუთრებით, ეკა ბესელიაზე მიანიშნებენ, რომ მისი „ადვოკატურის კლიენტურაა“ ციხიდან გამოშვებულთა სიაში...

— ასე დაწერე: თქვე ვირთხებო, თქვე ნაძირლებო, ვისზე ლაპარაკობთ ფულის გაკეთებაზე?! თვითონ რომ უშვებს მიშა ასობით კრიმინალს, იქ არ კეთდება ფული? იმდენად გაუფასურებულია მიშას ლაპარაკი, რომ სასაცილოა მიშა, თავიდან ბოლომდე!

— პრეზიდენტი პარლამენტს დაითხოვს?

— ნეტა, დაითხოვოს — ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ იქნება და მაშინ საბოლოოდ „გაფარჩაკდებიან“ „ნაციონალები“, ნახავენ, რა რეიტინგიც აქვთ. მიშასაც ჰყავს ოჯახი და შვილები, ისინი კარგად უმყოფოს ღმერთმა და, თუ ყველაფერი დაუმტკიცდა, მაშინ პასუხი უნდა აგოს... მას გისოსებში ვხედავ. ოღონდ ყველაფერი სამართლითა და კანონით უნდა იყოს. დაველოდოთ მოვლენებს, რა იქნება, ნუ უსწრებთ კანონებს. ვინმე საზღვრებზე დაპატიმრდა ახალი ხელისუფლების მიერ? — არავინ!

— ბატონო სოსო, პროკურატურაში აცხადებდნენ, რომ ჟვანიას, გირგვლიანის, რობაქიძის, ვაზაგაშვილის საქმეები მალე გაიხსნებოდა... ოქრუაშვილი გამოუშვეს, ვაზაგაშვილის საქმესთან დაკავშირებული სხვა ყოფილი ჩინოვნიკებიც მშვენივრად დაიარებიან. სამაგიეროდ, „ქართუ ბანკის“ გაკოტრების საქმე მალე გაიხსნა...

— ნელა უნდა იჩქარო. გამოკითხვა რომ ჩატარებულიყო პარლამენტის პირველივე სხდომაზე, „ნაცებს“ რა ვუყოთო, ვცემეთო, 100-დან ასივე მისცემდა ხმას, მაგრამ ხომ არავის უცემია?

— არჩილ კბილაშვილი გაუჩინარდა... მართალია, რომ მასა და წულუკიანს შორის ინტრიგებია?

— არაფერი ვიცი... რა სჭირს კბილაშვილს გასაუჩინარებელი?

— ბატონო სოსო, ერთხელ განაცხადეთ, არ შეიძლება, ბიზნესმენი დაატერორო, მაგრამ საგადასახადო სტრუქტურები „ნაციონალთა“ ახლობლების ბიზნეს-კომპანიებში შევიდნენ, ქონება დაუყადაღეს, ანაკლიაში სასტუმროს მფლობელი დააკავეს... კომპანია „ალგორითმს“, ბენდუქიძის უნივერსიტეტსაც ამოწმებენ...

— ჯერ უნდა გავიგოთ მოტივი, რატომ შევიდნენ..

— მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებასაც ჰქონდა მოტივი, როცა ბიზნესმენებთან საგადასახადო შედიოდა...

— სააკაშვილი ამას, იცით, როგორ აკეთებდა?! — ტელე-დაჭერებით, ბავშვების თვალწინ დედამამას ნამუსს ხდიდა, ამას ქვეყანას აჩვენებდა და უდანაშაულობის პრეზუმპციას არღვევდა. მსოფლიო და ოლიმპიურ ჩემპიონებს ნამუსს კამერების წინ ხდიდნენ. ნამუსის ახდა არაა, შეურაცხყოფას რომ მოგაყენებენ?

— სხვათა შორის, ექსპერტმა ია ანთაძემ იკითხა, თუ ადრე ბიზნესმენები მერაბიშვილთან დაიარებოდნენ, ახლა ხუხაშვილთან რატომ უნდა დადიოდნენო...

— კარგი, რა... ეს იწვევს ღიმილს. მივესალმები მხოლოდ კანონის უზენაესობას, თუ კანონით არ იქნება დაცული ბიზნესმენის უფლებები, ჯვარი არავისზე მაქვს დაწერილი, გამოვალ და მათ პირველი მე დავიცავ! კანონია მისთვის უპირველესი. როცა იცი, თუ რამე შეგეშლება, ადამიანი არ დაგინდობს, მისდამი პატივისცემის გრძნობა გაგიჩნდება. არავის ინდობს და თვითონაც არ იყენებს თავის პრივილეგირებულ მდგომარეობას ბატონი ბიძინა. ამხელა ფინანსური იმპერია აქვს და, კარგი, რა, იმისთვის მოვიდა, რომ... სისულელეა!

— პრივილეგირებული მდგომარეობა ახსენეთ და, ახლადდანიშნულმა მინისტრებმა უკვე მაღალი პრემიები გამოიწერეს, მაგალითად, ხადურმა...

— ხუთნიშნა ციფრებით რომ ჰქონდათ წინა მთავრობას პრემიები გამოწერილი, ის შეადარეთ...

— ბატონო სოსო, ჯიპებიც ახალი შეიძინეს. ისე, თქვენს ჯიპზეც მინდა გკითხოთ, ამ მხრივ, „პირველი მერცხალი“ იყავით...

— რა კარგია, რომ მკითხეთ — განმარტების საშუალება მომეცა. მთელი ჩემი ცხოვრება მაგარი ჯიპებით დავდივარ, ბოლო „ლექსუსის“ ჯიპიც კარგი მყავდა, ველოსიპედით არასოდეს მივლია. არავისთვის არაფერი მომიპარავს, ფილმებს ვიღებდი, მხოლოდ „სვანის“ გადაღებით რამხელა ინვესტიცია შემოვიტანე, იცით? გრანტი რომ მივიღე 2003 წელს და უკან დავუბრუნე მთავრობას, ამას რატომ არ ამბობენ? „ქართული ფილმის“ საარქციო საზოგადოების თავმჯდომარე ვიყავი. ახლა, „ვერსიიდან“, გამოძიებას მივმართავ, რომ ჩემი ავტოფარეხიდან სააკაშვილის ხელისუფლების მიერ გატაცებული ძვირადღირებული „ტოიტა ლენდ კრუიზერის“ საქმის გამოძიება დაიწყოს! მალე ამოვარდება, როგორ აკეთებდნენ ფულს ძვირადღირებული მანქანების გატაცებითა და ცხინვალში გადაყვანით ეს რეკეტიორები. ესენი არ იყვნენ, ასლან აბაშიძის დატოვებულ მანქანებს რომ მოასხდნენ და დასრიალებდნენ, ეს ვირთხები?! ჩემს ყველა კოლეგა-დეპუტატს ვურჩევ, თუ რამის ყიდვა უნდა, ჯიპი იქნება თუ სახლი, ახლავე იყიდოს. ისე, იცით? — მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული მანქანა 5 წლის ასაკში მყავდა, ყველგან დადიოდა (იცინის). ეს ხუმრობით... ისე, ვფიქრობ, სააკაშვილის ხელისუფლებას ჩემთვის და ლუკა კურტანიძისთვის ბოდიში აქვს მოსახდელი. მე რომ მკითხოთ, ლუკა ისეთი ადამიანია, უფრო მაღალი პოსტი შეეფერება, ვიდრე პრორექტორობაა. წესით, მე და ლუკა სააკაშვილსა და მის ხროვას ცოტა სხვანაირად უნდა მოვქცეოდით, მაგრამ ჩვენ, ბატონო, მიმტევებლები ვართ!

— ნინო ბურჯანაძის ადგილს სად ხედავთ, რაიმე თანამდებობაზე ხომ არ ვიხილავთ მას?

— ნინოს დიდ პატივს ვცემ და პოლიტიკაში ყველაფერი წინ აქვს, დიდი კალო გვაქვს გასალეწი.

— ბატონო სოსო, სოციალურ ქსელში ვრცელდება ინფორმაცია, რომ ჯაბა იოსელიანის მთაწმინდაზე გადასვენების მომხრე და ინიციატორი ხართ. ჯაბა თქვენი შორეული ნათესავიც ყოფილა...

— ჰო, სოციალურ ქსელში ჭორებს მივრცელებენ... იოსელიანებთან ნათესაური კავშირი შეიძლება, უმლახიდან იყოს, მაგრამ სააკაშვილის ხროვა მიგორებს ჭორს... როგორ შეიძლება, ჯაბა იოსელიანის მთაწმინდაზე გადასვენების მომხრე ვიყო? — სისულელეა. ოპონენტები სხვანაირად ვერ მკბენენ და... ერთ ადგილას მიკბინონ, ასე დაწერეთ ზუსტად!

სტუ-ს რექტორი არჩილ ფრანგიშვილი, შეიძლება, დაიჭიროს

„გიული ალასანიამ ტექნიკური უნივერსიტეტი ცალკე სახელმწიფოდ აქცია, რომელზეც კანონები არ მოქმედებს!“

ნელი თორდია

ტექნიკური უნივერსიტეტის ფერადი ლითონების კათედრის ყოფილი გამგე ავთანდილ წილოსანი არჩილ ფრანგიშვილს არაუფლებამოსილი აკადემიური საბჭოს მიერ კანონდარღვევით არჩეულ რექტორად მიიჩნევს და გენერალურ პროკურატურაში განცხადების შესატანად ემზადება.

— ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებით, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო უნივერსიტეტის მართვის ორგანოა, რომელიც რექტორს თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე ირჩევს. აკადემიური საბჭოს წევრი კი, ოთხი წლითაა არჩეული. ამ ფონზე, საყურადღებოა ერთი პარადოქსული სიტუაცია, რომელიც რატომღაც, ახალი ხელისუფლების ყურადღების მიღმა რჩება. მოგეხსენებათ, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს 4 წლის ვადით ვირჩევთ და ამ ვადის გასვლის შემდეგ, ახალ საპარლამენტო არჩევნებს ვატარებთ. ბავშვმაც კი იცის, რომ ძველ წევრს ახალ პარლამენტში გადაწყვეტილებების მიღების უფლება აღარ აქვს. ეს პრინციპი ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოსა და რექტორის არჩევაზეც ვრცელდება, მაგრამ იმის გამო, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტს პრეზიდენტის დედა კურირებს, რექტორს მარადიული მმართველობა გარანტირებული აქვს.

— ბატონო ავთანდილ, რომელ „მარადიულობაზე“ ლაპარაკობთ, როცა დებულებით, აკადემიურ საბჭოს 4-წლიანი უფლებამოსილება აქვს?

— დებულებით, ასეა, მაგრამ მოდით, ამ მოვლენას ჩავუღრმავდეთ: 2006 წლის 17 მაისს, ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი პირველი კონკურსი ჩატარდა და აკადემიურ პერსონალთან 3-წლიანი ხელშეკრულება გაფორმდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლები 2009 წლის 17 მაისამდე ვიქნებოდით. იმავე წელს, რექტორის არჩევნებში, განათლების მაშინდელი მინისტრის, კახა ლომაიას ფავორიტმა არჩილ მოწონელიძემ გიული ალასანიას ფავორიტ ნუგზარ წერეთელს სძლია, თუმცა 2008 წლის ნოემბერში, მოწონელიძე თანამდებობიდან ვადაზე ადრე წავიდა, რის შემდეგაც არჩილ ფრანგიშვილმა აკადემიურ საბჭოს თავი ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაამტკიცებინა. 2009 წლის 14 თებერვალს ამავე საბჭომ ფრანგიშვილი რექტორად უვადოდ აირჩია. ყველაზე საინტერესო ისაა, რექტორი ვადაგასულმა აკადემიურმა საბჭომ აირჩია, თან — დარღვევებით. თუკი 2006 წლის მაისში ჩატარებული კონკურსის შედეგად შერჩეულ, უნივერსიტეტის პერსონალს კონტრაქტის ვადა 2009 წლის 17 მაისს ამოეწურა და უფლებამოსილება შეუწყდა, 4 წლით არჩეულ აკადემიურ საბჭოსა და რექტორს ვადა რატომ გაუგრძელდა? 2009 წლის აგვისტოში როგორ ფუნქციონირებდა უნივერსიტეტი და აკადემიური საბჭო, როგორ მუშაობდნენ დეკანები, როგორ აწერდა ხელს რექტორი ჩარიცხვა-გარიცხვის აქტებს?

— სხვათა შორის, 2012 წლის 14 თებერვალს არჩილ ფრანგიშვილი ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორად მეორედ აირჩიეს...

— დიახ, მაგრამ 2009 წლის 14 თებერვალს რექტორად ხომ 4 წლის ვადით აირჩიეს და ახალი კონკურსი 2012 წლის 14 თებერვალს, 3 წლის შემდეგ რატომ ჩატარდა? რატომ დაამტკიცა ფრანგიშვილი პირველი კონკურსის დროს არჩეულმა აკადემიურმა საბჭომ, რომელსაც უფლებამოსილების ვადა გასული ჰქონდა? დებულების მოთხოვნის მიუხედავად, 2006 წლის შემდეგ, აკადემიური საბჭოს არჩევნები აღარ ჩატარებულა. ერთი-ორი ადამიანი შეცვალეს, დანარჩენი წევრები კი — თამაზ ბაციკაძე, ლალი ღოღელიანი, ბორის ბოქოლიშვილი და სხვები დარჩნენ. საერთოდ, გიული ალასანიამ ტექნიკური უნივერსიტეტი ცალკე სახელმწიფოდ აქცია, რომელზეც კანონები არ მოქმედებს.

— ბატონო ავთანდილ, ვიდრე დიქტოფონს ჩავრთავდი, მითხარით, რომ პროკურატურაში არჩილ ფრანგიშვილის წინააღმდეგ განცხადების შეტანას გეგმავთ. მახსოვს, ტექნიკური უნივერსიტეტის ფართების მიტაცების გამო, აპირებდით, პრეზიდენტის დედისთვისაც გეჩივლათ. რატომ გადაიფიქრეთ?

— არ გადამიფიქრებია, მაგრამ ქალბატონი გიული სამსახურში არ დადის, რომ შევხვდე და ამის შესახებ ვაცნობო. მიტაცებული 300 კვადრატული მეტრია და ამის უყურადღებოდ დატოვებას ნამდვილად არ ვაპირებ. რაც შეეხება ფრანგიშვილის წინააღმდეგ პროკურატურაში შეტანილ განცხადებას, ვადასტურებ, იგი რექტორად ორივეჯერ ვადაგასული აკადემიური საბჭოს მიერაა არჩეული, ამიტომ დღეს ტექნიკურ უნივერსიტეტს, რეალურად, არც რექტორი ჰყავს, არც — აკადემიური საბჭო, არც — პატრონი და გამკითხავი.

ფრანგიშვილი ვადაგასულ აკადემიურ საბჭოს ისე ატრიალებს, როგორც უნდა და რექტორად თავი კანონის დარღვევით აარჩევინა. რექტორისა და აკადემიური საბჭოს მიერ კანონის დარღვევა კი, სისხლის სამართლის დანაშაულია!

„ვერსია“, ყოფილი კოლეგის ბრალდებებზე, კომენტარისთვის ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მდივანს, ავთანდილ სალუქვაძეს დაუკავშირდა, რომელმაც ავთანდილ წილოსანის ბრალდებები უარყო და განაცხადა, რომ უფლებამოსილების ვადებთან მიმართებაში, სტუ-ს აკადემიური საბჭო საკანონმდებლო სივრციდან არ გასულა.

— ბატონ ავთო წილოსანს ვიცნობ, თუმცა არ ვიცი, მის განცხადებებს საფუძვლად რა უდევს. რაც შეეხება აკადემიური საბჭოს ვადას, მისი უფლებამოსილება კანონიერია, არჩევნებიც დებულების შესაბამისად ჩატარდა და დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

— ფაქტია, რომ 2006 წლის შემდეგ, სტუ-ს აკადემიური საბჭოს არჩევნები აღარ ჩატარებულა...

— დიახ, აკადემიური საბჭოს პირველი არჩევნები 2006 წელს ჩატარდა და მის შემდეგ აღარ ჩატარებულა, მაგრამ საბჭოს განახლება დებულების შესაბამისად ხდებოდა. ჩვენ საქართველოს კანონით, ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებითა და ტექნიკური უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების დებულების შესაბამისად ვმოქმედებთ.

— ამ დებულებაში, თუ არ ვცდები, წერია, რომ აკადემიურ საბჭოს, რომელმაც, თავის მხრივ, რექტორი უნდა აირჩიოს, 4 წლით ირჩევენ...

— მთლიანი შემადგენლობა ერთიანად არ იცვლება. ზოგი გარდაიცვალა და მის ნაცვლად, სხვისი არჩევნები ჩატარდა, ზოგი საბჭოდან თავისი სურვილით იმიტომ გავიდა, რომ უნდოდა, წარმომადგენლობით საბჭოში ყოფილიყო. ეს დინამიური პროცესია. ვიმეორებ: დებულების მოთხოვნების შესაბამისად ვმოქმედებთ და საკანონმდებლო სივრციდან არ გავსულვართ!

შეკითხვები, რომლებსაც თინა ხიდაშელი თავს არიდებს

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

როდის შეიქმნება დროებითი საგამოძიებო კომისია? რატომ არ აპირებს თინა ხიდაშელი გიგი უგულავას წინააღმდეგ არსებული საქმეების შესწავლას? რატომ საუბრობენ „რესპუბლიკელები“ ადგილობრივ არჩევნებში კოალიციიდან გამოყოფაზე? არის თუ არა ვახტანგ ხმალაძე პრემიერ ბიძინა ივანიშვილისთვის პრეზიდენტობის უალტერნატივო კანდიდატი? მიაწოდა თუ არა პოლიტიკური ამნისტიის შესახებ იდეა ბიძინა ივანიშვილს „რესპუბლიკურმა პარტიამ“? — „ოცნებისა“ და „რესპუბლიკელების“ ურთიერთობაზე არჩევნების შემდეგ დაგროვილ კითხვებს საგარეჯოს მაჟორიტარი თინა ხიდაშელი პასუხობს.

„თუ ბიძინას „რესპუბლიკელები“ არ უნდა, საკმარისი რაოდენობის დეპუტაცია ჰყავს, რომ დათო პარლამენტის თავმჯდომარე არ იყოს!..“

რატომ არ აპირებს გიგი უგულავას საქმეების გამოძიებას და სინამდვილეში, რითაა დაკავებული არჩევნების შემდეგ, საგარეჯოს მაჟორიტარი

— ქალბატონო თინა, ყველას აინტერესებს, პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისია რატომ არ იქმნება და რას ნიშნავს ვახტანგ ხმალაძის განცხადება, არ ვიცით, გამოძიება რომელი საქმით დავიწყოთო?

— ხმალაძის განცხადება მთლად ამ შინაარსის არ ყოფილა, მაგრამ ამ შეკითხვას მოკლე პასუხი აქვს — ყველაფერი ერთ დღეში არ ხდება!

— არჩევნებიდან ერთი კი არა, უკვე 100 დღე გავიდა. საგამოძიები კომისიის შექმნა კი, „ოცნებამ“ არჩევნებამდე დააანონსა. ახლა კომისიის შექმნა „სასწრაფო“ რატომ აღარ არის?

— ჯერ წმინდა პოლიტიკური საკითხები უნდა მოგვარდეს, თორემ ამდენი პარალელური პროცესის დაწყება შეუძლებელია. ეს მოვლენათა განვითარების ლოგიკაა. გაცილებით სასწრაფო ისაა, რითიც ახლა ვართ დაკავებულები — სოფელ-სოფელ დავდივართ და სოფლის პროგრამაზე ვმუშაობთ. ხალხს ყველაზე მეტად, მგონი, ეს სჭირდება.

— ეს გასაგებია, მაგრამ პარლამენტში რიგით მაჟორიტარად კი არა, საგამოძიებო კომისიის წინასწარმოაზრებულ თავმჯდომარედ შეხვედით და, მგონი, ხალხი თქვენს მუშაობას სწორედ ამ კომისიაში ელის...

— ყველაზე მთავარი ისაა, რომ ათასობით ადამიანს შევხვდი და კონკრეტული დაპირებები მივეცი. საგარეჯოში გლეხებს საგამოძიებო კომისია არ აინტერესებთ, რადგან ამით მათთვის არაფერი შეიცვლება. ახლა იმას ვაკეთებ, რისი კეთებაც სულ მინდოდა: ჩემი არაქუთაისური ცხოვრების ყველა დღეს საგარეჯოში ვატარებ, რადგან დაუსაქმებელთა და გაჭირვებულთა გრძელი რიგი შემცირდეს.

— ხალხთან შეხვედრა ძალიან კარგია, მაგრამ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გიგი უგულავაზე უამრავი კომპრომატი გქონდათ ტენდერებთან, საბიუჯეტო სახსრებისა და ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნოდ გამოყენებასთან დაკავშირებით. ეს თემები თქვენთვის აქტუალური აღარაა, თუ უგულავას კომპრომატები კოჰაბიტაციამ შეინირა?

— ეს პასუხისმგებლობის რეჟიმია... ცხადია, ვიცი, როდის შეიქმნება საგამოძიებო კომისია და იმ თემების მონახაზიც მაქვს, რომლებზეც კომისიაში ვიმუშავებ, თუმცა გიგი უგულავას საქმე პირველი არ იქნება, რადგან მთავარი ფიგურა არაა — ის ამ სტატუსს არ იმსახურებს. გამორიცხულია, კომისიის შექმნამდე ამ პასუხს რამე დავამატო.

— „უკვდავ თემაზე“ — „რესპუბლიკელები“ და კოალიცია — გადავიდეთ. თქვენსა და კოალიციის სხვა წევრებს შორის, ამჯერად, რაღა ხდება?

— ეს თემა არ არსებობს!

— იმის შესახებ, თუ ვინ იქნება კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატი, ძმები ბერძენიშვილები და ვახტანგ ხმალაძე დამოუკიდებელ განცხადებებს აკეთებენ. იმასაც აცხადებენ, რომ ადგილობრივ არჩევნებში კოალიციის წევრები დამოუკიდებლად მიიღებენ მონაწილეობას და ამაზე ამბობთ, ეს თემა არ არსებობსო?

— ეს თქვენი, ჟურნალისტების მოგონილი ამბავია, ხმალაძე ამაზე კი არ საუბრობს, კითხვებს პასუხობს, წესიერი კაცია და ჩემგან განსხვავებით, არავის ეუბნება, სხვა შეკითხვაზე გადადიო. ბიძინასგან ხმალაძის ორჯერ დასახელება კი, ძალიან კონკრეტულ, მიზანმიმართულ პასუხს ნიშნავდა, როგორი უნდა იყოს საქართველოს შემდეგი პრეზიდენტი. დღეს მთავარი ესაა და არა — ვინაობის დაკონკრეტება.

— თქვენი თანაკოალიციელები კი ამბობენ, პრეზიდენტობის კანდიდატი ირაკლი ალასანია უნდა იყოსო...

— ალასანია პრეზიდენტი უნდა იყოს — ეს პირველად „რესპუბლიკელებმა“, პოლიტიკაში ივანიშვილის გამოჩენამდე ვთქვით. ბევრი რამ კონსტიტუციის მოდელზე იქნება დამოკიდებული, რადგან სისტემას სწორად მორგებული ადამიანი უნდა. საპარლამენტო რესპუბლიკას არ სჭირდება ორი მეთაური, რა აბსურდშიც ახლა ვართ. პოლიტიკური კრიზისის საფრთხის წინაშე ვდგავართ და იმაზე ვართ დამოკიდებულნი, როგორ ხასიათზე გაიღვიძებს მიშა და უცებ გადაწყვეტს თუ არა, მთავრობის რომელიმე წევრი შინ გაუშვას.

რაც შეეხება ადგილობრივ არჩევნებს, არც ესაა საინტერესო თემა, მაგრამ იმას გეტყვით, რომ „ოცნება“ ან ერთად გაიმარჯვებს, ან ერთად დამარცხდება! შესაბამისად, გაიმარჯვებს სახელმწიფო, ან მას სერიოზული პრობლემები შეექმნება. ცალკე არც ერთ პარტიას, არც პიროვნული და არც პარტიული გამარჯვებისა და დამარცხების შანსი არ აქვს, რადგან ხმა ივანიშვილისა და კოლექტიური „ოცნების“ გამო მოგვცეს. 3 თვეა, არც ერთ ჟურნალისტთან არ ვკონტაქტობ, რადგან სულ ეს თემა ტრიალებს, მე კი, არ მაინტერესებს. ვერასოდეს ვიფიქრებდი, საგარეჯოს დეპუტატი თუ გავხდებოდი, რადგან აქ ოპოზიციონერ კანდიდატს არასოდეს მოუგია და მინდა, ყველამ იცოდეს, რომ სხვა თემები არ მაინტერესებს!

— არც სააკაშვილის ხუთპუნქტიანი გეგმა და მისი განცხადება გაინტერესებთ, მთავრობის დათხოვნას არ ვაპირებო?

— მიშას ერთი გეგმაც არ არსებობს. მიშა და გეგმა — ერთმანეთთან შეუთავსებელი ორი სიტყვაა!

— აბა, პირველ ოქტომბრამდე არჩევნებს სულ გეგმის გარეშე გიგებდათ ხოლმე?

— აქამდე ამას ტყუილით, შანტაჟით, მუქარით აკეთებდა, გეგმა რა საჭიროა, მოვალ, დაგადებ იარაღს და, დიდი ალბათობით, რასაც მინდა, იმას გაგაკეთებინებთო. მიშას მთავარი პრობლემა ისაა, რომ „ხუთიანში“ დარჩა! ეს „ხუთის“ პრობლემაა. ეს 5 პუნქტი არ მაინტერესებს, უბრალოდ, ახალი წლის ღამეს ორი მძიმე ამბავი მოხდა: ერთი — სააკაშვილმა მთელი ქვეყანა დაწყევლა და მეორე — ქვეყანაზე მზრუნველ პრეზიდენტს ეს 5 პუნქტი კი არ უნდა შემოეთავაზებინა, კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანის გეგმაზე უნდა ესაუბრა, რაც საკონსტიტუციო ცვლილების პროექტის სახით დევს პარლამენტში. პარლამენტში ყველამ ვთქვით, რომ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია და მიშას თავი რომ დავანებოთ, კონსტიტუციურადაც ასეა. ამიტომ, დღეს ახალი არჩევნები არაფერში გვჭირდება. ეს კოალიციის ინტერესში შედის, მაგრამ ქვეყნისაში — არა, რადგან არჩევნებს ყოველთვის მოაქვს 2-3-თვიანი „ამოვარდნა“. მიშას მარტივად ამიტომ ვუპასუხეთ, ნუ თამაშობ და თუ ჩვენი გაშვება გინდა, დაგვითხოვეო.

— მარტივად უპასუხეთ, თუ თქვენი საკონსტიტუციო ცვლილების პროექტით წააქეზეთ?

— ვუთხარით, მოეშვას შანტაჟსა და ხალხის გამწარებას. ყველა სტრესშია, რადგან მუდმივად იმუქრება დაბრუნებით და ხალხს განცდა აქვს, აბარგება მოგვიწევსო.

— ყბადაღებული თემაა, მაგრამ იქნებ, „ოცნების“ პოზიცია განმარტოთ — რატომ ხართ დარწმუნებული, რომ ცვლილებას მხარს საკონსტიტუციო უმრავლესობა, ანუ მინიმუმ, 9 „ნაციონალი“ დეპუტატი დაუჭერს?

— ეს 9 ადამიანი არ არსებობს — ცვლილება გაცილებით მეტ ხმას მიიღებს, რადგან ის, ვინც ხმას არ მისცემს, ვალდებულია, დადოს კრიზის განმუხტვის ალტერნატიული გეგმა! „ნაციონალები“ დაბნეულები არიან. საუბარია პოლიტიკურ პრაგმატიზმზე და არა — რომელიმე „ნაციონალის“ მორალზე.

— ეს პრაგმატიზმი, შეიძლება, ითარგმნოს როგორც გარიგება, რაც ყველაზე მეტად „რესპუბლიკელებს“ აწყობთ — არც თქვენ გაძლევთ ხელს განმეორებითი არჩევნები, შესაბამისად, საჭირო ხმების სანაცვლოდ, დეპუტატები პოლიტამნისტირებულნი იქნებიან. ეს კოალიციის კიდევ ერთი შეთავაზებაა...

— ჯერ ერთი, პოლიტიკური ამნისტია იქნებაო, ბიძინამ თქვა და არა — „რესპუბლიკელებმა“. მეორეც, თუ ბიძინას „რესპუბლიკელები“ არ უნდა, საკმარისი რაოდენობის დეპუტაცია ჰყავს, რომ დათო პარლამენტის თავმჯდომარე არ იყოს!.. საკონსტიტუციო ცვლილებას ხმას ბევრი დეპუტატი მისცემს და ნახავთ, რომ ეს რიცხვი 100-ზე გაცილებით მეტი იქნება. ამას ის ხალხი გააკეთებს, ვისაც საკმარისი პოლიტიკური პრაგმატიზმი აქვს.

— საკუთარი თავის გადასარჩენად?

— პოლიტიკურად, მათ რაღა გადაარჩენს, უბრალოდ, როცა პარლამენტის წევრი ხარ, პარტიულობის მიუხედავად, სხვა ტიპის პასუხისმგებლობა მაინც გაქვს. ეს ყველაზე კარგად მათ იციან და ამას ძალიან განიცდიან — ისტერიკაში არიან, ეს როგორ მოიფიქრეთო.

— სააკაშვილი „ნაციონალების“ „პოლიტიკურ პრაგმატიზმს“ მოიწონებს?

— სააკაშვილისგან მსგავსს არაფერს ველი. მასთან მიმართებაში არგუმენტები და რაციონალური აზროვნება აქტუალური არაა. ჰოდა, ირაციონალურ ნაბიჯებს რომ ველით მისგან, ზუსტად ამიტომ გვჭირდება ეს ცვლილება. ხვალ რომ გამოვიდეს მიხეილ სააკაშვილი და განაცხადოს, ივანიშვილი და მთელი მთავრობა გავათავისუფლეო, წარმოგიდგენიათ, ამას რა მოჰყვება?! ღიად ვისაუბროთ — შედეგები ხომ წინასწარ იცის „ნაციონალი“ დეპუტატების დიდმა ნაწილმა?

— ღიად თქვით მაშინ, რა შედეგზე საუბრობთ?

— მათ იციან, რა პასუხსაც მიიღებენ, ოღონდ ეს არ იქნება ჩვენი პასუხი — „ნაციონალებს“ პასუხს ხალხი გასცემს და ჩვენ ხალხს ვერ შევაჩერებთ! არ ვამბობ, რომ სამოქალაქო დაპირისპირება იქნება, მაგრამ ქვეყანაში უმძიმესი კრიზისი ნამდვილად შეიქმნება: როცა იმის კეთება უნდა დაიწყოს, რასაც არჩევნებში გამარჯვებულმა ხალხმა ხმა მისცა და აღმოაჩენს, რომ მისი მთავრობა დათხოვნილია, ესაა სწორედ, ყველაზე დიდი საფრთხე! ეს „ნაციონალების“ უმრავლესობას კარგად აქვს გაცნობიერებული და მჯერა, შესაბამის გადაწყვეტილებასაც მიიღებს. ამიტომ, არაა საინტერესო, ისინი რას ამბობენ. საინტერესოა, რას ფიქრობს ხალხი, რომელიც იმის მოლოდინში ვერ იქნება, მიშა როდის, რას გადაწყვეტს, ან გადაიფიქრებს! არ ვჭორაობ პოლიტიკაზე, რადგან პოლიტიკის ნაწილი ვარ, მოვლენების შუაგულში ვტრიალებ და ზუსტად ვიცი, იქ რაც ხდება.

— მაშინ, ბოლო მოუღეთ ამ თეორიებს და თქვით, რეალურად, რა თამაშის წესებზე მიდის საუბარი ორ ხელისუფლებას შორის?

— ჯერ ერთი, საუბარია არა „ნაციონალების“, არამედ ჩინოვნიკების ამნისტირებაზე. ხელისუფლებაში იმისთვის არ მოვსულვართ, ძველი პატიმრები ციხიდან გავუშვათ და 30 ათასი ახალი პატიმარი გავაჩინოთ! სულ იმას ვამბობდი, რომ 9-წლიან რეჟიმს ორი ტიპის მსხვერპლი ჰყავდა — მსხვერპლი, კლასიკური გაგებით და მსხვერპლი, რომელსაც არჩევანს არ უტოვებდა. ეს შუა და საშუალო რგოლი, ვისაც პოლიტიკური ამნისტია შეეხება, არის, მაგალითად, პოლიციელი, რომელმაც იცოდა, თუ უკანონო ბრძანებას არ შეასრულებდა, თავად აღმოჩნდებოდა ციხეში... ეს არის საგადასახადოს ჩინოვნიკი, რომელიც დადოდა და წვრილ ბიზნესმენებს ატერორებდა, რათა „ნაციონალებისთვის“ ფული მიეტანა... ამნისტია შეეხება ყველას, ვისაც აიძულებდნენ, სააკაშვილის რეჟიმის მსახური ყოფილიყო.

— გააკეთეთ პოლიტიკური განცხადება, რომ დანაშაულის დადგენის შემთხვევაში, ამნისტია არ შეეხება ყოფილ საჯარო მოხელეებსა და დეპუტატებს, ვთქვათ, გიორგი ვაშაძეს, ლევან ბეჟაშვილს...

— მე ამ კითხვაზე არ გიპასუხებთ.

— ასე გაჩნდება ეჭვი, რომ „ნაციონალებთან“, მართლაც, გარიგდით!

— ამას ნახავთ კანონში, სადაც შესაბამისი ფორმულირება ჩაიწერება.

— ამ ფორმულირების შესახებ ჯერ ბესელიას კომიტეტმაც არ იცის, ვინც ეს კანონპროექტი უნდა შეიმუშაოს.

— მე ვიცი და ეს მხოლოდ ერთი მიზეზის გამო ხდება — ჩემი ცხოვრების ერთი ნაწილი ამ საქმეების შესწავლასა და მათზე მუშაობაში გავატარე. ჩვენ ხომ ახალს არაფერს ვიგონებთ, მსოფლიოში ეს პროცესი 77-მა ქვეყანამ გაიარა. ეს გარიგება კი არა, შეთავაზებაა მთელი საქართველოსთვის: ხალხის ნაწილი ფიქრობს, მიშა თუ დაბრუნდა, რა მეშველება, რას მიზამს ჩემი ჩინოვნიკი მეზობელიო... ის მეზობელსაც ეშინია, ნეტა, ხვალ დამიჭერენ თუ ზეგო. ეს დაძაბულობა რომ მოვხსნათ, ხალხი უნდა შერიგდეს, რაღაც უნდა ვქნათ, თორემ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება! ამ წუთას სხვა დეტალებზე საუბარი ჩემი მხრიდან არასწორია, თუმცა ამ თემაზე კოალიციაში იყო საუბარი, გვქონდა დიდი შეხვედრა, რომელსაც, თავისთავად, ბიძინაც ესწრებოდა. ეს თემა კარგად გავიარეთ, მოვთელეთ, ვისაუბრეთ და ყველამ რაღაც დავივალეთ. იქნება კიდევ ერთი შეხვედრა, სადაც ყველაფერი დაზუსტდება. უბრალოდ, შესაძლოა, ამაზე საუბარი კოალიციიდან ჩემთვის ყველაზე მარტივია, რადგან ამ თემას პროფესიულად ვსწავლობდი.

— ანუ ეს იდეა ივანიშვილს თქვენ მიაწოდეთ?

— ასეც ვერ ვიტყვით. მარტო მე არ ვსაუბრობდი და იდეას ერთი ავტორი არ ჰყავს.

ვერსიანიუსი

კახი კალაძემ 15 სტუდენტს 200-ლარიანი სტიპენდია დაუნიშნა

ენერგეტიკის ფაკულტეტის 15 სტუდენტს, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრიმა 200-ლარიანი სტიპენდია დაუნიშნა. კალაძე ტექნიკური უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტებს სამინისტროში შეხვდა, სტიპენდიის დანიშვნის შესახებ პირადად აცნობა და შესაბამისი სერტიფიკატები გადასცა. კალაძემ სტუდენტებს პრაქტიკული გამოცდილების მიღებაც შესთავაზა და სურვილის შემთხვევაში, შესაძლებლობა მიეცემათ, ენერგეტიკის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში ჩაერთონ.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, წახალისებას მომავალშიც განაგრძობს და სტიპენდიანტების რაოდენობა სტუდენტების აქტიურობისა და რეიტინგების გაუმჯობესების შესაბამისად გაიზრდება.

სტუდენტების წახალისებისთვის საჭირო თანხებს „კალა ფონდი“ გამოყოფს.

„ინტერპრესნიუსი“

მაია მიშელაძე
ეკონომიკა

რა ქონებას ფლობს იუსტიციის „ნახალოვკელი გოიმი“ და „ჭორიკანა“ მინისტრი

თეა წულუკიანის 248-ათასევროიანი ვადი, საცხოვრებელი სახლები, კომერციული ფართები და მიწის ნაკვეთები საქართველოსა და სტრასბურგში

რამდენიმე დღეა, სოციალურ ქსელში „ფეისბუქი“ თეა თუთბერიძე და ძველი ხელისუფლების სხვა „ფეისბუქგულშემატკივრები“ იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს, როგორც იტყვიან, შვიდივე ბრუნვაში ატრიალებენ. წულუკიანის „ინტერნეტ-გაშავების კამპანია“ მას შემდეგ დაიწყო, რაც იუსტიციის სამინისტრომ და მთავარმა პროკურატურამ ყოფილი ხელისუფლების საკმაოდ ცნობილი და სკანდალური „ფეისების“ დაპატიმრებას მიჰყო ხელი. წულუკიანის „დასამარების“ კულმინაციად იუსტიციის ერთ-ერთ მოადგილედ ალექსანდრე ბურჭულაძის წარდგენა იქცა, რომელიც წულუკიანს დახმარებას ფინანსურ და სამართლებრივ სფეროში გაუწევს. წულუკიანმა ბურჭულაძე იუსტიციაში თავდაცვის სამინისტროდან წაიყვანა და წარდგენისას მის დამსახურებად ბაჩო ახალაიას მიერ გაფლანგული 113 000 000 ლარის გამოძიება დაასახელა. ამ კონტექსტში ბაჩო ახალაიას ხსენება, ცხადია, თეა თუთბერიძემ ვერ აიტანა, სოციალურ ქსელში იუსტიციის მინისტრს „ბაზრის ჭორიკანა დედაკაცი“ უწოდა და ახალაიას ბრალეულობის დასამტკიცებლად, კონკრეტული ფაქტების წარდგენა მოსთხოვა. თუთბერიძეს სხვა „ნაციონალი“ „ბლოგერებიც“ აჰყვნენ და იუსტიციის მინისტრი არცთუ სასიამოვნო ეპითეტების კასკადით შეამკეს: „მათხოვარი“, „გოიმი ნახალოვკელი“. ცნობისთვის: წულუკიანმა კენჭი ნამდვილად ნაძალადევში იყარა, მაგრამ იქ ნამდვილად არ ცხოვრობს. ასეც რომ იყოს, მერე, რა?! „ნაციონალებისთვის“ „ნახალოვკელობა“ „გოიმობა“ რატომაა?! მოკლედ, „ვერსია“ იუსტიციის „მათხოვარი, გოიმი და ჭორიკანა“ მინისტრ თეა წულუკიანის ქონებრივ დეკლარაციას გთავაზობთ. საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე წულუკიანის ქონებრივი დეკლარაცია 2012 წლის 21 დეკემბერსაა ატვირთული და საზოგადოებისთვის ბევრ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს.

იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის დეკლარაცია სტანდარტული, 11-გვერდიანი დოკუმენტია. მისი ოჯახის წევრები არიან: დედა — გიული შანიძე, მამა — ავთანდილ წულუკიანი და ძმა — ბათუ წულუკიანი. დეკლარაციაში ყველაზე შთამბეჭდავი მინისტრისა და მისი ოჯახის წევრების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალია.

თეა წულუკიანი თბილისში, სოფელ დიღომში, ვაჟა ფშაველას ქუჩაზე ფლობს 900 კვმ ფართობის მიწის ნაკვეთს. მის საკუთრებაში ირიცხება ამავე ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლი, რომლის ფართობი 400 კვ/მ-ია და 30 კვ/მ ფართობის ავტოფარეხი. წულუკიანის საკუთრებაშია 120 კვ/მ ფართობის საცხოვრებელი ბინა, რომელიც საფრანგეთში, სტრასბურგში, დრაგონის ქუჩა 4-ში მდებარეობს. ამავე მისამართზეა რეგისტრირებული 6 კვ/მ ფართობის არასაცხოვრებელი ფართი, რომელიც მის საკუთრებაშია.

მინისტრის ძმა, ბათუ წულუკიანი საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავში 1 990 კვ/მ ფართობის მიწის ნაკვეთს ფლობს. მამის, ავთანდილ წულუკიანის საკუთრებაშია დუშეთის რაიონის სოფელ ანანურში, 1 090 კვ/მ საცხოვრებელი სახლი და 300 კვ/მ ფართობის მიწის ნაკვეთი. რაც შეეხება დედას, გიული შანიძეს, მის სახელზეა გაფორმებული თბილისში, უზნაძის ქუჩა 4-ში მდებარე 120 კვმ ფართობის საცხოვრებელი სახლი, ამავე მისამართზე რეგისტრირებული 36 კვმ ფართობის არასაცხოვრებელი ფართი და სამტრედიის რაიონის სოფელ ნოღაში 1 297 კვ მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთი.

თეა წულუკიანი მართავს 2003 წელს გამოშვებულ მსუბუქ ავტომანქანა მინი **Cooper**-ს, სახელმწიფო ნომრით — **RER** 09. მინისტრის ძმა კი, 2000 წელს გამოშვებულ **BMW**-ს ფლობს, რომლის სახელმწიფო ნომერია — **KVK** 393. იუსტიციის მინისტრის სახელფასო ანგარიში „საქართველოს ბანკში“ 3 779 ლარია. გარდა ამისა, მის საკუთრებაშია 6 000 აშშ დოლარი.

გრაფაში — „სამსახური, რომელშიც პირს 2011 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით უკავია თანამდებობა, ან ასრულებს სამუშაოს საქართველოში ან სხვა ქვეყანაში“, თეა წულუკიანს მითითებული აქვს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში ადამიანის უფლებების სამართლის ლექტორის პოზიცია, საიდანაც 5 396 ლარის შემოსავალი მიიღო. ბათუ წულუკიანი კი, ამ პერიოდში ევროპის საბჭოს საქართველოს წარმომადგენლობაში პროექტის მენეჯერი იყო და მისმა შემოსავალმა 26 000 ლარი შეადგინა.

თეა წულუკიანი საფრანგეთში 16 წლიდან ცხოვრობდა, იქ მიიღო განათლება და, ბოლოს, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში იურისტადაც მუშაობდა და მისი ყოველთვიური ხელფასი 10 000 ევროს შეადგენდა. მას უფლება ჰქონდა, ეს პოზიცია 62 წლის ასაკამდე შეენარჩუნებინა... მიუხედავად ამისა, მაინც, საინტერესოა, როგორ შეიძინა 120 კვმ ფართობის ბინა სტრასბურგში? — დეკლარაციაში მითითებულია, რომ ამისათვის თეა წულუკიანმა ბანკ „კრედი ლიონედან“ აიღო სესხი, რომლის სახელშეკრულებო ვადაა 01/01/2009-03/05/2029 წლები. ამ სესხის ამჟამინდელი ნაშთი 248 500 ევროს შეადგენს. მეტიც, დეკლარაციის მიხედვით, ცნობილია, რომ სტრასბურგში, მინისტრს საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინა თვეში 1 100 ევროდ აქვს გაქირავებული, საიდანაც 2011 წლის 1 იანვრიდან, 31 დეკემბრის ჩათვლით, 13 200 ევროს შემოსავალი მიიღო.

დენის ტარიფი კახეთშიც შემცირდება

ენერგეტიკით ნაშოვნი კორუფციული მილიონები და „ნაციონალებისგან“ „გადაგდებული“ ბალტიისპირელი ბიზნესმენები

2013 წლის 1 იანვრიდან, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გადაწყვეტილებით, ელექტროენერგიის ტარიფი 3.5 თეთრით შემცირდა. სამინისტრომ „თელასსა“ და „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“ გარდამავალი მემორანდუმი უკვე გააფორმა და, შესაბამისად, დენის შემცირებული ტარიფით, კახეთის გარდა, თბილისისა და საქართველოს სხვა რეგიონების აბონენტები ისარგებლებენ. შეგახსენებთ: კახეთის მოსახლეობას ელექტროენერგიას კახეთის სადისტრიბუციო კომპანია აწვდის, რომელიც ამ მოლაპარაკებებში არ მონაწილეობდა.

ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და კომპანიებს — „ინტერ-რაოსა“ და „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შორის დროებითი, სამთვიანი მემორანდუმი გაფორმდა, რომლის მიხედვითაც, 2013 წლის 1 იანვრიდან, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, ელექტროენერგიის ტარიფი 3.5 თეთრით შემცირდა — დენის გადასახადი იმ მომხმარებლებს შეუმცირდათ, რომლებიც 0-დან 300 კვ/სთ ელექტროენერგიას მოიხმარენ, ეს კატეგორია კი, აბონენტების 90%-ს მოიცავს. შედეგად, კომპანია „თელასის“ ის აბონენტები, რომლებიც 101 კვ/სთ ელექტროენერგიას მოიხმარენ, ამიერიდან, 1კვ/სთ-ში, 13.48-ის ნაცვლად, 9.94 თეთრს, აბონენტები კი, რომლებიც 101-დან 301 კვ/სთ ელექტროენერგიას მოიხმარენ, 1კვ/სთ-ში 16.0-ის ნაცვლად, 12.46 თეთრს გადაიხდიან. 301 კვ/სთ-ს ზემოთ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური არ შემცირებულა და ის კვლავ 17.70 თეთრია. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ის აბონენტები, რომლებიც 101 კვ/სთ ელექტროენერგიას მოიხმარენ, 1კვ/სთ-ში 12.98-ის ნაცვლად, 9.44 თეთრს, აბონენტები კი, რომლებიც 101-დან 301კვ/სთ ელექტროენერგიას გახარჯავენ, 1კვ/სთ-ში 16.52-ის ნაცვლად, 12.98 თეთრს გადაიხდიან. 301კვ/სთ-ს ზემოთ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური არც „ენერგო-პრო ჯორჯიას“ აბონენტებისთვის შემცირებულა და კვლავ 17.50 თეთრია.

როგორც აღვნიშნეთ, ოფიციალურ მოლაპარაკებებში კახეთის სადისტრიბუციო კომპანია ჩართული არ ყოფილა. შესაბამისად, კახელებისთვის ელექტროენერგიის ტარიფი არ შემცირებულა. მოლაპარაკებებში, რომელსაც ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი კახა კალაძე უძღვებოდა, აქტიურად იყო ჩართული საქართველოს ენერგეტიკოსთა საზოგადოება. რა ხდება კახეთში? — სიტუაციაში უკეთ გარკვევის მიზნით, „ვერსია“ ენერგეტიკოსთა საზოგადოების თავმჯდომარეს, **მირონ ფირცხელანს** დაუკავშირდა:

„კახეთში ელექტროენერგიის ტარიფი ისედაც მცირეა. ვერ გეტყვით, რომ რეგიონის მოსახლეობის შესაძლებლობებთან მიმართებაში, დენის ტარიფი ძალიან იაფია, მაგრამ იმის ნახევარია, რასაც თბილისელები იხდიდნენ. როგორც იცით, „თელასმა“ და „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ მარტამდე შეამცირეს დენის ტარიფი, მაგრამ სამი თვის შემდეგ, შესაძლებელია, იგივე ტარიფი დარჩეს, ან კიდევ შემცირდეს. ჩვენი მოთხოვნა ისევ ძალაშია — სამსაფეხურიანი ტარიფი აუცილებლად უნდა მოიშალოს, თორემ ისე გამოდის, რაც მეტს ყიდულობ, საქონელი უფრო გიძვირდება, რაც მეტ ელექტროენერგიას მოიხმარ, მით მეტ გადასახადს იხდი, ეს კი, საბაზრო პრინციპებს ეწინააღმდეგება. გარდა ამისა, სამსაფეხურიან ტარიფში კორუფციული ელემენტია ჩადებული. მაგალითად, სამსაფეხურიანი ტარიფის მიხედვით, ყველაზე ნაკლებს ის აბონენტი იხდის, რომელიც 101 კვ/სთ-მდე ელექტროენერგიას მოიხმარს, მაგრამ სამწუხაროდ, მრიცხველი ისეა მოწყობილი, რომ 101-ს კი არა, სხვადასხვა დროს, შესაძლოა, 102 კვ/სთ აჩვენოს. ეს იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელი იმაზე ძვირს იხდის, ვიდრე რეალურად ხარჯავს. აი, სწორედ ამ პრინციპით იგებს სადისტრიბუციო კომპანია დიდ ფულს“.

მირონ ფირცხელანმა, „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ კახეთის სადისტრიბუციო კომპანია, ამჟამად, გაკოტრების რეჟიმშია — ამ კომპანიას, წლების განმავლობაში, სახელმწიფოს მიმართ დიდი დავალიანება დაუგროვდა:

„კახეთის სადისტრიბუციო კომპანიას ადრე, ბალტიისპირელი ბიზნესმენები მართავდნენ, რომელთაც წინა ხელისუფლების წინააღმდეგ პროკურატურაში სარჩელი უკვე შეიტანეს. ისინი ამბობენ, რომ სხვადასხვა დარღვევის გამო, კახეთის სადისტრიბუციო კომპანიიდან განდევნეს და ახლა კომპანიის დაბრუნებას ცდილობენ. ძიების პროცესი ჯერ არ დასრულებულა და ამაზე მეტს ვერაფერს გეტყვით“.

ტარიფის შემცირებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობამ ნაახალწლევს უფრო კარგად გაიაზრა და ძველით ახალი წლისთვის კახელებს ენერგოსაჩუქარი მოუმზადა, რაც იმას ნიშნავს, რომ დენის ტარიფი კახეთშიც შემცირდება და საამისოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 875 000 ლარი გამოიყოფა. მართალია, კახა კალაძის უწყებამ მოლაპარაკება მხოლოდ „თელასსა“ და „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“ გამართა, მაგრამ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სუბსიდირების მეთოდით, 875 000 ლარი გამოიყო.

კახა კალაძის განმარტებით, ამ ტიპის შეღავათით კახეთის რეგიონის ის აბონენტები ისარგებლებენ, რომლებიც 301 კვ/სთ-მდე ელექტროენერგიას მოიხმარენ. იმ შემთხვევაში, თუკი ტარიფის შემცირებასთან დაკავშირებული მემორანდუმი ძალაში სამი თვის შემდეგაც დარჩება, რეგიონის სუბსიდირება მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდება.

მაია მიშელაძე

„საქართველოს ევრაზიული კავშირი არ აინტერესებს“

„რუსეთის ხელისუფლების ინიციატივა ახალი ალიანსის, ევრაზიული კავშირის შექმნის შესახებ, გაწევრიანების თვალსაზრისით, საქართველოს არ აინტერესებს“, — ეს განცხადება ლიტვურ გამოცემა „დელფისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, მაია ფანჯიკიძემ გააკეთა.

„ჩვენი პრიორიტეტია ევრო და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, ამიტომ, არ ვფიქრობთ არც ერთ სხვა ალიანსზე. ევროკავშირი და ნატო — მხოლოდ ამ ალიანსებში გვსურს გაწევრიანება“, — დასძინა მინისტრმა.

„მედიანიუსი“

ერთ თვეში პოლიციის რებრენდინგი განხორციელდება

შინაგან საქმეთა მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, პოლიციის რებრენდინგი ერთ თვეში განხორციელდება, ცვლილებები კი საპატრულო და კრიმინალურ პოლიციას, ასევე უბნის ინსპექციასა და დაცვის პოლიციას შეეხება. ამ ორგანოების სიმბოლოების ცვლილება ფორმებსა და ატრიბუტებს შეეხება.

მინისტრმა შეხვედრაზე ახალგაზრდების კითხვებსაც უპასუხა და სტუდენტების დასაქმების პროგრამაზეც გაამახვილა ყურადღება.

„პირველი“

რა კავშირი აქვს სააკაშვილს ქვემო ქართლში მომხდარ ყაჩაღობასა და მკვლელობასთან

მერაბ ბერიძე

საახალწლოდ, ქვემო ქართლში ორი გახმაურებული მძიმე დანაშაული მოხდა და ორივე შემთხვევაში, სამართალდამცავებმა ეჭვმიტანილები ცხელ კვალზე დააკავეს. ამ ფონზე, არასათანადოდ „კოჰაბიტირებულმა“ სააკაშვილმა პოლიციაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება მოითხოვა, თუმცა ახალი მთავრობა ამ მოწოდებას ენთუზიაზმით არ შეხვდა... აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ნაწილი, სააკაშვილის ბოლოდროინდელ განცხადებებში, ერთგვარი საბოტაჟის ნიშნებს ამჩნევს.

ყაჩაღობა ჯანდარაში

შს სამინისტროს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, გარდაბნის რაიონის სოფელ ჯანდარაში მცხოვრები მამედოვების ოჯახზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის ხუთივე მონაწილე დააკავეს. შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ 1989 წელს დაბადებული ირაკლი მ-ა (წარსულში ნასამართლევი), 1987 წელს დაბადებული დავით ვ-ი, 1989 წელს დაბადებული გიორგი ლ-ი (წარსულში ნასამართლევი), 1990 წელს დაბადებული იაგო ქ-ი (წარსულში ნასამართლევი) და 1981 წელს დაბადებული ჯამბულ ა-ი, გამთენიისას, დაახლოებით, 03:00 საათზე მამედოვების ოჯახში შეიჭრნენ და ფული და ოქრო მოითხოვეს. სამინისტროს ცნობითვე, ცეცხლსასროლი და ცივი იარაღით შეიარაღებულმა, ნიღბიანმა თავდამსხმელებმა ოჯახის ყველა წევრი წებოვანი ლენტით შეკრეს და პირიც აუკრეს, ბაბექ მამედოვს კი, თითის მოჭრით დაემუქრნენ. არსებული ინფორმაციით, ბოროტმოქმედებმა მამედოვების ოჯახიდან 16 ათას ლარამდე და დიდი რაოდენობით ოქროს სამკაული წაიღეს. სამართალდამცავებმა ყაჩაღური დაჯგუფების ხუთივე წევრი, როგორც აღვნიშნეთ, ყაჩაღობიდან რამდენიმე საათში დააკავეს. მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის, მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტითა (6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს) და ამავე მუხლის, მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტითაა დაწყებული, რომლის თანახმადაც, დამნაშავეებს 8-დან 12 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

ოჯახის უფროსი ამბობს, თავდამსხმელებს წინასწარ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ხარები გაყიდა და თანხას შინ ინახავდა. ოჯახის წევრთა თქმით კი, როცა თავდამსხმელებმა სახლი დატოვეს, ბავშვმა კართან მისვლა მოახერხა და საშველად, მეზობლებს უხმო. ბავშვის ყვირილი თემურ მამედოვმა გაიგო, — ცოტაც რომ დამეგვიანა, ოჯახის დიასახლისი გაიგუდებოდა, რადგან მას მთელი სახე აკრული ჰქონდაო, — ამბობს.

პრეზიდენტი სააკაშვილი გარდაბანში მცხოვრებ მამედოვებს ესტუმრა, ყაჩაღობის დეტალები გამოჰკითხა, ფაქტით დაინტერესებას, ზარალის ანაზღაურებასა და რეგიონის პირად კონტროლზე აყვანას დაჰპირდა. მიხეილ სააკაშვილმა პოლიციაში საყოველთაო საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების აუცილებლობაზე სწორედ მამედოვების ოჯახში ისაუბრა:

„ახლა იყო ამნისტიის დრო?! ამ ყველაფრის ფონზე, რომელი ქვეყანა ახორციელებს ფართომასშტაბიან ამნისტიას?! 1992-ში, ჯაბას ამნისტიით გამოშვებული ხალხი ასე, შემოგვიცვივდა სახლში, ბაბუაჩემს ავტომატი ჩაარტყეს, ბებიაჩემს ემუქრებოდნენ დაუთოებით... წაიღეს ფული, ოქროულობა და ყველაფერი. ჩემთვის გასაგებია, რაც ხდება. ჩვენ უნდა დავეხმაროთ ამ ოჯახს, რათა ამოიღონ ის, რაც დაკარგეს. პოლიციაში საგანგებო მდგომარეობა უნდა გამოცხადდეს. საუბრობენ, ყველაფერს მოვუვლითო, ვერაფერსაც ვერ უვლიან. რატომ ვერ მოუარეს, თუ მოვლა შეუძლიათ?!

ახლა, ეს ბანდიტები გამოვლენ. ბევრი მათგანი ციხეში შევიდა „ჟიგულებიან“ საქართველოში და გამოდის „მერსედესებიან“ საქართველოში, სადაც ხალხმა დააგროვა დოვლათი, სადაც ეკონომიკა 4-ჯერ გაიზარდა. მარტო კი არ ქურდობენ, მოდიან და ადამიანს თითს ჭრიან, აუთოებენ, თუმცა მთავარია, კლიმატის გავლენა — როცა მოგვიწოდებენ, გაგებით შევხვდეთ, საზოგადოება ვერ შეხვდება გაგებით იმას, რომ წლების ნაგროვებს ნაძირალა, მუქთახორა ყაჩაღი წაართმევს და წაიღებს. ვერ შეხვდები გაგებით იმას, რომ შვილს დაგისახიჩრებენ და მოგიკლავენ. პოლიციას ტელევიზორში ყელყელაობა კი არ სჭირდება, ყოველ კუთხეში უნდა იყოს პატრული. საყოველთაო საგანგებო მდგომარეობა უნდა გამოცხადდეს მთელ საქართველოში ამ კუთხით, რადგან რამდენიმე ათასი საშიში დამნაშავე გადის გარეთ“.

ქვემო ქართლის გუბერნატორ **დავით კირკიტაძის** განცხადებით, რეგიონში, ბოლო თვეების განმავლობაში, ყაჩაღობის 13 შემთხვევა დაფიქსირდა: **„2003-2012 წლებში რეგიონში სულ, 9 ყაჩაღობა დაფიქსირდა და ისიც — პირველ წლებში. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, ყაჩაღობა საერთოდ, არ მომხდარა. ბოლო ოთხ თვეში კი, ეს უკვე მე-13 ყაჩაღობაა. ყოველ ყაჩაღობას თან ახლდა სასტიკი მოპყრობა ჩვენი მოქალაქეების მიმართ. ამასთან, ბოლო ორი თვის განმავლობაში, დაფიქსირდა 96 მძიმე კრიმინალური შემთხვევა, მათ შორის, — მაღაზიების ძარცვა“.**

შს სამინისტრომ, პრეზიდენტისა და მისი რწმუნებულის ამ განცხადებებს ოპერატიულად უპასუხა: **„პირველ რიგში, გვსურს აღვნიშნოთ, რომ ჯანდარაში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი რამდენიმე საათში გაიხსნა და ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი ხუთივე პირი პოლიციამ ოპერატიულად დააკავა. მძარცველების მიერ მიტაცებული ფულადი თანხა და ოქროს ნივთები ოჯახს უახლოესს დღეებში დაუბრუნდება. ამას გარდა, გვინდა, ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ნოემბერ-დეკემბერში, რეგიონში რეგისტრირებული ყაჩაღობის 10 ფაქტიდან, 6 გახსნილია. ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს მიერ, ასევე, გახსნილია სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში მომხდარი დანაშაულებიც.**

რაც შეეხება გასული წლების სტატისტიკას, 2003-2012 წლების განმავლობაში, ქვემო ქართლის რეგიონში ყაჩაღობის 471 ფაქტი იყო დაფიქსირებული. აქედან გახსნილი საქმეების რაოდენობა 251-ს შეადგენს.

შს სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობის მიერ დაგეგმილი და სამინისტროს ოპერატიული დანაყოფების მიერ ჩატარებული კომპლექსური, პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგად, მიმდინარე წლის დეკემბერში შეინიშნებოდა კრიმინოგენული ვითარების სტაბილიზება და დანაშაულებრივი ფაქტების მკვეთრი შემცირება არა მხოლოდ ქვემო ქართლის რეგიონში, არამედ, მთელი ქვეყნის მასშტაბით. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ბოლო თვის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც შსს-ს ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე შესაბამისი კადრები დაინიშნა, გაზრდილია დანაშაულის გახსნის ოპერატიულობის დონეც“.

მკვლელობა ალგეთში

ამ „კითხვა-პასუხიდან“ რამდენიმე დღეში, მარნეულის რაიონის სოფელ ალგეთში ცოლ-ქმარი, რამიზ და ჯავაჰირ დოვრუშოვები, ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს. რამიზ დოვრუშოვს გულმკერდის არეში ოთხი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. ჯავაჰირ დოვრუშოვას კი, სამი ტყვია თავში ესროლეს. დაჭრილია მათი ვაჟი, ვალი დოვრუშოვი.

კოჰაბიტაციური საბოტაჟი — დგანან თუ არა გახშირებული კრიმინალური ფაქტების უკან „ნაციონალები“

როგორც მეზობლები აცხადებენ, რამიზ დოვრუშოვი მოკლულია ქუჩაში, მისი მეუღლე კი — სახლში. რაც შეეხება ვაჟს, იგი ეზოში, საქონლის სადგომთან იმყოფებოდა. თავდამსხმელმა სადგომში ხელყუმბარა შეაგდო და ვალი დოვრუშოვი გულმკერდის არეში მოხვედრილი ნამსხვრევებით დაიჭრა. გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა და ამჟამად, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

დოვრუშოვების მეზობლების განცხადებით, მკვლელობაში ეჭვმიტანილი მათივე მეზობელი იყო, თუმცა ისინი არც დამნაშავის ვინაობას ასახელებდნენ და დანაშაულის მოტივზეც უჭირდათ საუბარიც.

შსს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, მარნეულის რაიონის სოფ. ალგეთის მცხოვრები, 1978 წელს დაბადებული რამიკ ა. თბილისში, იმ დროს დააკავეს, როცა დოვრუშოვების ოჯახის გადარჩენილი წევრის მოსაკლავად, „ვალტერის“ პისტოლეტითა და ხელყუმბარებით შეიარაღებული, მარნეულის საავადმყოფოში მიდიოდა. რამიკ ა-ს განმარტებით, კონფლიქტი ოჯახებს შორის ეჭვიანობის ნიადაგზე წარმოიქმნა.

საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში), მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით აღიძრა, რაც 16-დან 20 წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„დანაშაულის მომატებას ხელს პრეზიდენტი უწყობს!“

ქვემო ქართლში მომხდარ მძიმე კრიმინალურ შემთხვევებსა და პრეზიდენტის ზემოხსენებულ განცხადებებზე, „ვერსიამ“ კომენტარი „უფლებადამცველთა გაერთიანების“ ლიდერს, იურისტ **ნიკოლოზ მჟავანაძეს** სთხოვა:

„რასაც პრეზიდენტი და რუსთავის ადმინისტრაცია, რწმუნებული და გამგეობები ახორციელებენ, ჩემი აზრით, საბოტაჟია. ამბობენ, ხალხო, ადამიანებს ციხიდან გაუშვებენ, დანაშაულს ჩაიდენენ და მერე, ჩვენ რა ვქნათო. არაა გამორიცხული, ადამიანებს დანაშაულის ჩასადენად აქეზებდნენ კიდეც, რათა ამის გაპიარება მოხდეს. დანაშაული, შეიძლება, პატიმრობიდან გათავისუფლებულმა პირმაც ჩაიდინოს და მანაც, ვინც აქამდე გარეთ იყო. საერთოდ, დანაშაული ყოველთვის იარსებებს, ამას ვერსად გავექცევით. ისიც ფაქტია, რომ ამნისტიით გათავისუფლებული ყველა პატიმარი საქმიანობას „სუფთა ფურცლით“ არ დაიწყებს, მაგრამ ის, რასაც ახლა სააკაშვილი აკეთებს, დანაშაულია. ამიტომ, საზოგადოებისა და ხელისუფლების მიდგომა ადეკვატური უნდა იყოს.

დღეს ბევრი საუბრობს, რომ ყოფილი ხელისუფლების მხოლოდ მაღალი რანგის ჩინოვნიკები დაისაჯონ, დაბალი რგოლის მოხელეებზე კი, ამნისტია გავრცელდეს, მაგრამ ეს აბსურდია, რადგან ყველა დამნაშავემ სათანადოდ უნდა აგოს პასუხი. დანაშაულის მომატებას ხელს პრეზიდენტი უწყობს. ახალი ხელისუფლებისთვის მანდატი არავის მიუცია, რომ ვიღაც დასაჯოს და ვიღაც — არა. არ ვამბობ, რომ ყველა ციხეში უნდა გავუშვათ, მაგრამ მძიმე დანაშაულის ჩამდენი სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცეს...

რაც შეეხება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას, ამის აუცილებლობა არ არსებობს. სააკაშვილს სურს, ასეთი სურათი დახატოს, აი, ჩემ დროს ყველაფერი აწყობილი იყო, წავედი და ყველაფერი დაინგრა, ხომ ხედავთ, ქურდობა ქურდობაზე და ყაჩაღობა ყაჩაღობაზე ხდებაო. ამ დროს, მსგავსი სურათი ნამდვილად არაა. ისე, პოლიცია და პროკურატურა ადეკვატური რომ იყოს, აქცენტი ძველ კადრებზე ანუ იმ ხალხზე არ უნდა გაკეთდეს, ვინც დანაშაულის ჩადენაშია შემჩნეული. არ შეიძლება, კირკიტაძის თანაშემწეებს პროკურატურაში მაღალი პოზიციები ეკავოთ — მათ სააკაშვილის რეჟიმის განმტკიცებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. ასევე, დაუშვებელია, სააკაშვილის დროს მოქმედმა პროკურორებმა რაიონის პროკურორების ადგილები დაიკავონ. ასეთი პოლიტიკა ჩემთვის მიუღებელია. მართალია, რაღაც დოზით ცვლილებები განხორციელდა, მაგრამ, ძირითადად, ისევ ძველი კადრები მუშაობენ და არაა გამორიცხული, ამ ხალხმა მოქმედი ხელისუფლების წინააღმდეგ საბოტაჟი მოაწყოს. თავს ნუ მოვიტყუებთ — სააკაშვილს დასაყრდენი კიდევ ჰყავს და ის უნდა გამოვაცალოთ“.

***P.S.** დანაშაულს ეროვნება, პოლიტიკური ორიენტაცია და სხვა, მსგავსი ნიშნები ნაკლებად ახასიათებს. მისი შესაძლო მატება წალეკავს ყველასა და ყველაფერს. ამიტომ, დანაშაულებრივი ფაქტების პოლიტიკური მიზნებით გამოყენება კარგს არავის მოუტანს. საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი პიარწარმომადგენელი აცხადებს, ფართომასშტაბიანი ამნისტია დანაშაულს გაზრდის და ამით კოალიცია „ქართული ოცნების“ რეიტინგს გაანადგურებსო. ჩასაფრებული პოზიცია სახეზეა და ახალ ხელისუფლებას გაასმაგებული სიფხიზლით მოუწევს მუშაობა, რათა ქვეყნის სტაბილურობა პოლიტიკურ ორთაბრძოლებს არ გადაჰყვეს.*

ვერსიანიუსი

ვახტანგ მაისაია მისი საქმისთვის გრიფი „საიდუმლოს“ მოხსნას მოითხოვს

პოლიტიკური ნიშნით დევნილის სტატუსით გათავისუფლებული ვახტანგ მაისაია მოითხოვს, მის საქმეს გრიფი „საიდუმლო“ მოეხსნას. რუსთავის მე-17 საპყრობილედან გათავისუფლებულმა მაისაიამ განაცხადა, რომ მის საქმესთან დაკავშირებით, დარღვეულია კონსტიტუცია და ბევრ კითხვას პასუხი უნდა გაეცეს:

„მიშა და მაგისი ბანდა სისულელეებს რომ ლაპარაკობდა, ეს ყველაფერი გამოჩნდა. მე რუსეთის ჯაშუშობას არ მაბრალებდნენ, საქმეში წერია, რომ ნატო-ს სპეცსამსახურების ჯაშუში ვიყავი. გასცეს მიხეილ სააკაშვილმა პასუხი ნატო-ს გენერალურ მდივანს ამ ყველაფერზე. გავნაგრძობ ბრძოლას ამ რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენილია“.

„ჯი-ეიჩ-ენი“

მაია თეთრაძე

ფრთხილად, კანცეროგენები ღია ცის ქვეშ!

სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის სპეციალისტებმა საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ორი ამორტიზებული პესტიციდების საწყობი მეურნეობის სრული ინვენტარიზაცია ჩაატარეს. აღსანიშნავია, რომ ვადაგასული, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში პესტიციდები განთავსებული იყო ამორტიზებულ, ძველ სასაწყობე შენობებში, დასახლებული ტერიტორიის სიახლოვეს, სადაც არ იყო შეზღუდული უცხო პირთა და საქონლის მოხვედრა.

გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირების მიზნით, გაერო-ს სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სტანდარტების გათვალისწინებით, მათში დაახლოებით, 5 ტონა ვადაგასული და მოძველებული პესტიციდი შეიფუთა. სპეციალური გაუმტარი კონტეინერები იმავე ადგილზე დროებით, უსაფრთხოდ განთავსდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის ქვეშ. კონტეინერები უსაფრთხოების წესების დაცვით გატანილ იქნება საჩხერიდან ქვეყნის გარეთ, საბოლოო უტილიზაციის მიზნით.

„აღნიშნული ღონისძიება „პესტიციდების საერთაშორისო ასოციაციის“ (IHPA GEORGIA) პროექტის ფარგლებში განხორციელდა. მასში მონაწილეობდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლები. ერთ-ერთი მთავარი როლი კი ეკისრება შვეიცარულ ორგანიზაციას „მწვანე ჯვარი“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში იგეგმება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სხვა ვადაგასული პესტიციდებისა და მდგრადი ორგანული დამაბინძურებლის ამორტიზირებული საწყობების ინვენტარიზაცია“, – ამბობს IHPA-ს წარმომადგენელი საქართველოში, ოთარ ქირია.

1994 წელს ამერიკის, კანადის, იაპონიისა და ევროპის ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრისას, დაისვა საკითხი მდგრადი ორგანული დამბინძურებლების გავრცელების შესახებ და შეიქმნა სია, იმ თორმეტი ნივთიერების შემადგენლობით, რომლებზეც, პირველ რიგში, უნდა გამახვილდეს ყურადღება. სია მაშინვე მონათლეს „ბინძური დუჟინის“ სახელწოდებით. ძირითადად, ისინი ვადაგასული, ქლორორგანული პესტიციდებია:

ამ სიაშია: 1 — პოლიქროლბიფენილი (პქბ); პოლიქლორიდბენზოდიოქსინი (პქდდ); პოლიქლორიდიბენზოფურანი (პქდფ); ალდრინი; დიელდრინი; დიქლორ-დიფენილ-ტრიქლორეანატი (დდტ, ანუ იგივე „დუსტი“); ენდრინი; ქლორდანი; გეკსაქლორბენზოლი (გქბ); მირექსი; ტოკსაფენი; გეპტაქლორი; დღეისთვის სია გაიზარდა უკვე 19-მდე.

მოდ-ების ზოგიერთი სახეობის მცირე კონცენტრაციასაც კი შეუძლია, ცოცხალ არსებას ზიანი მიაყენოს. დააზიანოს იმუნური და რეპროდუქციული სისტემები. გამოიწვიოს კიბოს დაავადებები და ბავშვებში თანდაყოლილი დეფექტები. მაგალითად, პქდდ-მ(2) და პქდფ-მ(3), რომლებსაც ჩვეულებისამებრ, „დიოქსინებს“ უწოდებენ. მაღალ ტემპერატურასა და ქლორთან დაკავშირებული პროცესებისას, საშინლად ტოქსიკური და ძალიან საშიში ხდება.

„ამ ტიპის ნაერთი ზემოქმედებას ახდენს ადამიანებსა და სხვა ცოცხალ ორგანიზმებზე. ისინი ჩვეულებრივ სტაბილურები არიან და ხრწნას (შლას) წითელი ვარვარის ტემპერატურისას იწყებენ, დაახლოებით, მხოლოდ 700 გრადუსზე მაღალი ტემპერატურის ფარგლებში. შესაბამისად, ბუნებასაც მოდ-ები მრავალი წლის განმავლობაში ანგრევენ“, – ამბობს ჰოლანდიური ორგანიზაცია „მილიოკონტაქტის“ წარმომადგენელი საქართველოში, ექსპერტი ხათუნა ახალაია.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოდ-ების კატეგორიაში გადის ასევე „დიოქსინი“ – ანუ არასრული წვისგან წარმოშობილი აირი. „დიოქსინების“ ტოქსიკური საწყისობა „ნარინჯისფერი აგენტის“ სახელწოდებითაა ცნობილი, რომელიც ამერიკელებმა ვიეტნამში, თითქმის 30 წლის წინ გააფრქვიეს. მისი დიდი რაოდენობის კვალი იქ დღესაც შეიმჩნევა, როგორც ნიადაგში, ისე ადამიანებში.

ევროპაში დიოქსინებით დაბინძურება თითქმის ყველგან შეიმჩნევა, მაგრამ განსაკუთრებით „დიდი ქიმიის“ ქალაქებში აღინიშნება, სადაც წლების განმავლობაში ქლორორგანული ნაერთები მუშავდებოდა. მათ შორის დდტ, გქბ, პქბ და მრავალი სხვა.

ასეთი ფაქტების გამო, მდგრადი ორგანული დამბინძურებლების საშიშროებაზე დაფიქრდნენ არა მარტო ეკოლოგები, ექიმები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, არამედ პოლიტიკოსებიც. 1998 წლის დასაწყისში, გაერო-ს ინიციატივით (UNEP), დაფუძნდა საერთაშორისო მმართველი კომიტეტი, რომელმაც შეიმუშავა სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე საერთაშორისო დოკუმენტი.

დოკუმენტი ხელმოსაწერად შვედეთში (სტოკჰოლმში) იქნა გახსნილი 2001 წლის 23 მაისს და „სტოკჰოლმის კონვენციის“ სახელწოდებით არის ცნობილი. კონვენციის ძირითად აქტს, სადაც იქნა კონვენციის ტექსტი მიღებული, ხელი დაახლოებით, ორასმა სახელმწიფომ მოაწერა. მათ შორის **საქართველომ და დსთ-ს ქვეყანებმა** — სომხეთი, ყაზახეთი, მოლდოვა და უკრანა.

„ეს კონვენცია სხვა საერთაშორისო შეთანხმებებისაგან იმით განსხვავდება, რომ პირდაპირი მოქმედების ძალა აქვს, უფრო სწორედ, არ არის აუცილებელი, მისი რეგლამენტირება მოხდეს ადგილობრივ კანონებთან და დადგენილებებთან. ან უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, შეთანხმებაში მოვიდეს ადგილობრივ კანონებთან და დადგენილებებთან“, – ამბობს IHPA-ს პრეზიდენტი ჯონ ვიგენი.

საქართველოში კომუნისტური დროიდან შემორჩენილი ვადაგასული პესტიციების რამდენიმე საყრელია ნაპოვნი. მათ შორის ყველაზე ცხელ წერტილად კახეთი ითვლება. თუმცა ამ ჯერზე, სრულიად მოულოდნელად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათს ეროვნული სააგენტოსა და შვეიცარული ორგანიზაცია მწვანე ჯვრის (Green Cross) მიერ ნაპოვნი იქნა სრულიად ახალი წერტილი საჩხერის რაიონში, სადაც ხუთი ტონა ვადაგასული პესტიციდი ყრია დასახლებულ ტერიტორიასთან ძალიან ახლოს, კერძოდ კი საბავშვო ბაღის მიმდებარედ. აღსანიშნავია, რომ ხსენებული მასის გარდა, დაბინძურებულია დიდი დოზით ნიადაგიც. საშიში მასა მუშა-ჯგუფმა ღია ცის ქვეშ იპოვნა, რაც ერთიორად ამძაფრებს სიტუაციას, რადგან ასეთი ნაერთი, დამტკიცებულია, რომ იოლად გადაიტანება ჰაერითა და წყლით.

100 სატვირთო ავტომობილს რუსეთში შესვლის ნებართვა მისცეს

100-მა სატვირთო ავტომანქანამ საქართველოდან რუსეთში პროდუქციის შეტანის ნებართვა მოიპოვა. ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა და დასძინა, რომ დღის წესრიგში კვლავაც დგას ვიზების პრობლემა. ამის გამო გადამზიდავ კომპანიებს ისეთი მძღოლების დაქირავება უწევთ, რომლებსაც რუსეთის ვიზები აქვთ.

გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის საქმეში, მისი უწყება წამყვანი არ არის. ჯერჯერობით, საუბარია სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელ ზურაბ აბაშიძის აქტივობაზე.

„ჩვენი სამინისტროს მიმართულებით, ჯერჯერობით, ერთადერთი შედეგი ისაა, რომ სახმელეთო-სატრანსპორტო საშუალებებზე რუსეთში შესვლის ნებართვა გაიცა“, — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

„მედიანიუსი“

ემუქრება თუ არა საქართველოს გრიპის ვირუსის ეპიდემია

ნინო ხარშილაძე
საზოგადოება

ევროპაში „ღორის გრიპი“ მძვინვარებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი, გრიპის ვირუსმა 20-მდე ადამიანი იმსხვერპლა. საქართველოშიც ბევრი უჩივის გაციებას. გვემუქრება თუ არა გრიპის ეპიდემია? — ამ თემაზე „ვერსია“ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალურ დირექტორს, ეკა ქავთარაძეს ესაუბრა.

— ამ სეზონზე, ლაბორატორიულად, გრიპის ხუთი შემთხვევა დადასტურდა. აქედან, ორი ე.წ. ღორის გრიპისაა, სამი კი — „ბ“ ტიპის. „ღორის გრიპის“ ორივე შემთხვევა სამეგრელოში დაფიქსირდა, „ბ“ ტიპის ერთი შემთხვევა — ზუგდიდში, ორი კი — ბათუმში. წინა ორი სეზონი გრიპის ვირუსის ტოტალური გავრცელებით ხასიათდებოდა, ამ დროისთვის კი, მსგავსი შემთხვევების განსაკუთრებულ მატებასთან საქმე არ გვაქვს. ამ, შედარებით კარგი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის მიუხედავად, მოსახლეობა მაინც ფრთხილად უნდა იყოს — გრიპის სიმპტომების გამოვლენისთანავე, ექიმს უნდა მიმართოს და, ამასთან, პროფილაქტიკის მიზნით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რჩევებიც გაითვალისწინოს.

— კონკრეტულად, რას გვირჩევენ?

— პირველ რიგში, გრიპით დაავადებული საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამოჩენას უნდა მოერიდოს, რათა ვირუსი არ გაავრცელოს; ამასთან, ხშირად უნდა განიავდეს და სველი წესით დამუშავდეს ოთახი, სადაც დაავადებული იმყოფება; ვირუსის მატარებელმა ხელები ხშირად უნდა დაიბანოს. გრიპის ყველაზე ეფექტური პრევენცია, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, ვაქცინაციაა, განსაკუთრებით, იმ პირებისა, ვინც მაღალ რისკჯგუფს წარმოადგენს. ეს გახლავთ მოხუცები, ქრონიკული დაავადებით დაავადებულები, მცირეწლოვანი ბავშვები და ორსულები.

— გრიპის ეპიდემია, ევროპისა და ამერიკის მსგავსად, საქართველოსაც ემუქრება?

— ევროპასა და აშშ-ში გრიპის ეპიდემიის შესახებ, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციიდან ოფიციალური შეტყობინება არ მიგვიღია.

— ქალბატონო ეკა, ამბობთ, რომ ამ დროისთვის, ლაბორატორიულად დადასტურებული გრიპის მხოლოდ ხუთი შემთხვევაა. არადა, თითქმის ყოველი მესამე ადამიანი ავადაა...

— ადამიანები ავად გრიპისმაგვარი სიმპტომებით არიან, ანუ ყველა შემთხვევა გრიპი არაა და მას, შეიძლება, გაციება დავარქვათ.

— გრიპის საინკუბაციო პერიოდი რამდენი ხანია?

— ეს ინდივიდუალურია: ვიღაც შეიძლება, მალე გამოჯანმრთელდეს, ვიღაც კი — არა.

— საქართველოში გრიპის ვირუსით ავადობა პიკს როდის მიაღწევს?

— საერთოდ, გრიპის სეზონად ოქტომბრიდან მაისამდე პერიოდი ითვლება, თუმცა ჩვენს ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა შეშფოთების საფუძველს არ გვაძლევს.

— გასაგებია, რომ გრიპთან საბრძოლველად ყველაზე ეფექტური საშუალება ვაქცინაციაა, თუმცა როგორც ვიცი, ორგანიზმმა შესაბამისი იმუნიტეტი რომ გამოიმუშაოს, ადამიანმა ვაქცინაცია ე.წ. გრიპის სეზონის დაწყებამდე, 2 თვით ადრე უნდა ჩაიტაროს. ახლა ვაქცინაციას აზრი აქვს?

— ორგანიზმს გარკვეული პერიოდი სჭირდება, რათა გრიპთან საბრძოლველად იმუნიტეტი გამოიმუშაოს, ამიტომ უკეთესია, ვაქცინაცია ნოემბრამდე ჩატარდეს.

— ვაქცინაცია უფასოა?

— სამწუხაროდ, არ არსებობს სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, გრიპზე უფასო ვაქცინაცია ჩატარდება. შესაბამისად, აცრის მსურველებმა კერძო კლინიკებს უნდა მიმართონ.

— თქვით, რომ საქართველოში ორი ტიპის ვირუსი ფიქსირდება. გამოდის, ადამიანი ორი სხვადასხვა ვაქცინით უნდა აიცრას?

— დიახ, სხვადასხვა ტიპის ვაქცინა არსებობს და ადამიანი ვაქცინასთან დაკავშირებით სრულ ინფორმაციას სამედიცინო დაწესებულებაში მიიღებს.


თოკი
ნაისა
ჩუნჩხა
კვარშა
პრტენა
მურჯიკანი
ქილდა
დილისკა
ახალქალაქი
დახვანდა
კუმურდო
ზრეკაის ტბა
დანკალი
ბარამიანი
გოგაშენი
აფნია
აზმანა
ქარცეგი
ოლოდი
სულდა
ხავეთი
ბერეთის
ბოსელი
ბადრი
ბარამიანის
ბერეთის
ბადრის
ბოსელის
ბერეთის
ბადრის
ბოსელის
ბერეთის
ბადრის
ბოსელ

კავკასიური ფეხბურთის წრე

პოლიტიკური აქცენტები სპორტულ ქრონიკაში

2008 წლის აგვისტოს რუსეთის აგრესიამდე, ვლადიკავკაზის „ალანია“ ქართული ფეხბურთის აღზრდილებს ხშირად იწვევდა. კლუბმა, არსებობის განმავლობაში, რუსეთის ჩემპიონის ტიტული ერთადერთხელ — 1995 წელს მოიპოვა, რაც დიდწილად, ქართველი ფეხბურთელების დამსახურება გახლდათ. გუნდის ღირსებას იცავდნენ: მეკარე სოსო გრიშიკაშვილი, მცველები — მურთაზ შელია და ზაზა რევიშვილი, ნახევარმცველი ომარ თეთრაძე, თავდამსხმელი მიხეილ ყაველაშვილი, რომელიც რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

მაშინ გუნდის მთავარი მწვრთნელი ვალერი გაზაევი გახლდათ, გუნდის უფროსი — ვოვა გუცაევი. პირველმა მთელი კარიერა რუსეთში გაატარა. 1986 წელს ნოდარ ახალკაცმა თბილისის „დინამოში“ მიიწვია, თუმცა მალევე წავიდა. გუცაევს კი, წარდგენა არ სჭირდება — იგი ქართული ფეხბურთის ლეგენდაა.

დღეს სახალხო დიპლომატიის აუცილებლობაზე ბევრს ლაპარაკობენ. გაზაევისა და გუცაევის საკადრო პოლიტიკამ, ნებსით თუ უნებლიედ, სწორედ სახალხო დიპლომატიის უაღრესად დადებითი როლი შეასრულა და მეზობელ და მოძმე ერებს შორის ურთიერთობის აღდგენას ხელი შეუწყო. მაშინ ცხინვალის რეგიონში არანაკლები დაძაბულობა იყო — ჰაერში რუსეთის პროვოცირებული ომის სუნი ტრიალებდა, მაგრამ ქართველების დახმარებით მოპოვებულმა რუსეთის ჩემპიონობამ, ვლადიკავკაზელი ოსები საქართველოსკენ შემოატრიალა, ურთიერთობები ნელ-ნელა აღდგა, 1995 წელს თბილისს „ალანია“ ესტუმრა და თბილისის „დინამოს“ ეთამაშა. გუნდს ჩრდილოეთ ოსეთის იმჟამინდელი პრეზიდენტი ახსარბეკ გალაზოვიც ახლდა, რომელიც საქართველოს დედაქალაქში ედუარდ შევარდნაძეს შეხვდა.

ერგნეთის ბაზრობაზე გაჩაღებულმა ვაჭრობამ ქართველებისა და ოსების კავშირები აღადგინა. მართალია, ამ ბაზრობით ეკონომიკა ვერ სარგებლობდა, მაგრამ ქვეყანამ ბევრად მეტი სარგებელი მიიღო: ვაჭრობა ხელს უწყობდა ერებს შორის ურთიერთობების აღდგენას, რაც პოლიტიკურად მნიშვნელოვანი იყო — აგრესიული ტონი ნელ-ნელა დაცხრა. ამაში საფეხბურთო კავშირებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

მას შემდეგ „ალანია“ ჩვენს ორ სპეციალისტს — ვლადიმერ გუცაევსა და რევაზ ძოძუაშვილს ჩააბარეს, 1990 წლის შემდეგ კი იქ 25-მდე ქართველი ფეხბურთელი თამაშობდა — კახა ცხადაძე, გოჩა ჯამარაული, ლევან სილაგაძე, გია ჩხაიძე, ზურაბ მენთეშაშვილი, დავით ჩალაძე, მიხეილ ფოცხვერია, გიორგი დემეტრაძე, ლევან კობიაშვილი, გოგა გახოკიძე, ვიტალი დარასელია-უმცროსი, გიორგი შაშიაშვილი, დავით კვირკველია, ლევან გვაზავა, ჯაბა კანკავა, ლადო ბურდული...

სიტუაცია 2005 წლის ზაფხულში აირია: სატრანსფერო პერიოდის დახურვის ბოლო დღეს, ვლადიკავკაზის „ალანიამ“ ერთბაშად, ექვსი ქართველი ფეხბურთელი — გიორგი შაშიაშვილი, ვიტალი დარასელია, დავით კვირკველია, ლევან გვაზავა, ჯაბა კანკავა და ლადო ბურდული გაუშვა. მას შემდეგ ვლადიკავკაზელთა გუნდში ქართველებს აღარ იწვევდნენ. ისევ პოლიტიკამ იმოქმედა — ამ პერიოდში ქართულ-რუსული ურთიერთობები კვლავ იძაბებოდა, ჰაერში დენთის სუნი იდგა, 2008 წლის 8 აგვისტო ახლოვდებოდა.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ვლადიკავკაზის „ალანიაში“ ქართველების შეკრება ისევ დაიწყეს. კლუბში ძველი ტანდემი აღდგა: მთავარ მწვრთნელად კვლავ ვალერი გაზაევი დაინიშნა, რომელიც ამავე დროს, კლუბის პრეზიდენტიცაა. გაზაევმა სპორტულ დირექტორად კვლავ ვლადიმერ გუცაევი მიიწვია.

დაიწყო ნაცნობი პროცესი: 2012 წლის შემოდგომაზე კლუბში შოთა გრიგალაშვილი მიიწვიეს და, მართალია, სეზონის ბოლოს ტრანსფერზე დააყენეს, მაგრამ ამას პროცესისთვის ხელი არ შეუშლია. ვალერი გაზაევმა „დაუგავასა“ და „ვირსლიგის“ ბომბარდირი, ლატვიის ჩემპიონი და საუკეთესო ფეხბურთელი, 26 წლის მამუკა ღონღაძე მიიწვია. შემდეგ, გიორგი ჭანტურიას ტრანსფერი გადაწყდა — არნემის „ვიტესის“ 19 წლის ქართველი თავდამსხმელი „ალანიაში“ სეზონის ბოლომდე, იჯარის წესით ითამაშებს.

ბოლო დროს გავრცელებული ცნობით, „ალანია“ საქართველოს ნაკრების რამდენიმე სხვა წევრითაც დაინტერესდა, მათ შორის, ვარშავის „პოლონიას“ 26 წლის თავდამსხმელ ლადო დვალიშვილით, „კრასნოდარის“ ყოფილი კაპიტნით ალექსანდრე ამისულაშვილით. მოკლედ, ყინული გალღვა და ურთიერთობები მკვდარი წერტილიდან დაიძრა.

სწორედ ამის გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს თბილისში ვლადიკავკაზის საფეხბურთო გუნდის, „ავტოდორის“ სტუმრობა. 95 წელს დაბადებულთა გუნდს დავით დვალიშვილი ავარჯიშებს, რომელმაც გუნდის შეკრება თბილისში გადაწყვიტა. გუნდს 35-ე საფეხბურთო სკოლის დირექტორი გოჩა ავსაჯანიშვილი მასპინძლობდა, კომპანია „სალერმა“ კი, გუნდს სპორტული ეკიპირება აჩუქა.

ახალგაზრდა სპორტსმენები, მწვრთნელ დავით დვალიშვილთან ერთად, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა, ლევან ყიფიანმა მიიღო. ოსმა სტუმრებმა თბილისი უზომოდ კმაყოფილებმა დატოვეს და ერთობლივ ტურნირებში მონაწილეობისა და სამომავლო თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს.

სანამ ბოლოსკენ წავალთ, ერთი საინტერესო დეტალი: ჭანტურია „ალანიაში“ რომ ითამაშებდა, ამასთან დაკავშირებით რუსულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია: არნემის „ვიტესისა“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელს ჰოლანდიურ კლუბთან კონტრაქტი 2014 წლამდე აკავშირებს, მაგრამ სათამაშო პრაქტიკის უქონლობის გამო, გუნდის დატოვების სურვილი არაერთხელ გამოუთქვამს. აქამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ჭანტურიას შეძენა იტალიურ „ჯენოას“ უნდოდა, რომელიც საკმაოდ სოლიდურ თანხასაც იხდიდა, მაგრამ საბოლოოდ, გიორგი ვლადიკავკაზში იჯარით აღმოჩნდა. გარიგების შესახებ ისაუბრა ფიფა-ს აგენტმა რომან ორეშჩუკმაც: **„სამი კვირის წინ „ვიტესის“ ფეხბურთელი ჭანტურია ცსკა-ს შევთავაზე. ცსკა-ს ქართველი არ მოეწონა, სამაგიეროდ, მისი იჯარით აყვანა გაზაევმა ისურვა. ვნახოთ, რა გამოვა. ჩემი აზრით, ჭანტურია, მართლაც, კარგი მოთამაშეა და დიდი მომავალი აქვს. ჭანტურიას აყვანა უფასოდ, გამოსყიდვის უფლებით შეიძლებოდა, მაგრამ ცსკა ამანაც არ დაინტერესა“.**

„ალანიაში“ ქართველი ფეხბურთელების შესაძლო გადასვლაზე ოსეთის გარკვეულ წრეებში უკმაყოფილება ჯერ კიდევ შოთა გრიგალაშვილის ტრანსფერის შემდეგ გაისმა. „ოსრადიოს“ ინტერნეტ-გვერდზე სექტემბერში გამოქვეყნებულ წერილში საქართველოსადმი გამოვლენილ ზიზღსა და შეურაცხმყოფელ ტონზე არაფერს გეტყვით. გრიგალაშვილის ტრანსფერზე კი, შემდეგი ეწერა:

„აგვისტოს ომის შემდეგ, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საქართველოს ხელისუფლების ნებართვის გარეშე შესვლა კანონით ისჯება, მაგრამ შოთა გრიგალაშვილის „ალანიაში“ გადასვლა შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც ვლადიკავკაზური კლუბის პრეზიდენტი ვალერი გაზაევი თბილისს ესტუმრა.

ქართული კანონმდებლობით, გაზაევის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღძრულიყო, რადგან „ოკუპირებულ ტერიტორიებზე“ მიღებული კანონის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლების ნებართვის გარეშე, სამხრეთ ოსეთს რამდენჯერმე ესტუმრა. ამჯერად, საქართველოში სწორედ ცხინვალის მხრიდან შევიდა. ეს ქართველების ორმაგ სტანდარტებზე მიუთითებს. თავად გრიგალაშვილის „ალანიაში“ გადასვლამ სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის პატრიოტებში უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. ისინი ფიქრობენ, რომ ეს ტრანსფერი, შესაძლოა, კლუბში ქართველი მოთამაშეების შეკრების დასაწყისია. ოსეთის ორივე ნაწილში(?!), გუნდში ოსი ვარსკვლავების ხილვა სურთ, ამიტომაც გაჩნდა უკმაყოფილება და იმედგაცრუება, ვაითუ, გუნდში ქართველი მოთამაშეების მიწვევის ტრადიცია აღდგეს. ფაქტები უკვე დაფიქსირდა, როდესაც გულშემატკივრები „ალანიას“ შეხვედრებზე დასწრებასა და გულშემატკივრობაზე უარს ამბობენ მანამ, სანამ გუნდში ქართველი ფეხბურთელები იასპარეზებენ“.

რამდენიმე ოსური გამოცემის აგრესია მას შემდეგ გაძლიერდა, რაც ზემოთ დასახელებული ტრანსფერებიდან ნაწილი გამჟღავნდა.

„არ მოერგო ცსკა-ს, მოუხდა „ალანიას“

„ვლადიკავკაზის „ალანია“ ძველებურად, ქართველ ფეხბურთელებზეა ჩაციკლული, თუმცა შარშან დამატებულმა შოთა გრიგალაშვილმა მასზე გაცემული ავანსი ვერ გაამართლა და ტრანსფერზე დააყენეს. ახლა მის შემცვლელად ჩრდილოეთ ოსეთში გიორგი ჭანტურია მიდის, რომელსაც რეკლამას უკეთებენ, როგორც არნემის „ვიტესის“ თავდამსხმელს.

სინამდვილეში, ამ 19 წლის ფეხბურთელმა მიმდინარე სეზონში სულ სამჯერ ითამაშა: ერთხელ, ჰოლანდიის ჩემპიონატში და ორჯერ — ევროპის ლიგაზე. აქედან ორჯერ შეცვლაზე შევიდა. რა გასაკვირია, რომ მისი სამსახური არ ისურვა მოსკოვის ცსკა-მ, სადაც აგენტები დიდი მოწადინებით ცდილობდნენ ქართველის მოწყობას.

ამის შესახებ რომან ორეშჩუკის გულახდილი კომენტარიც მეტყველებს, ცსკა-ს მისი უფასო არენდაში წაყვანა შეეძლო, მაგრამ უარი თქვაო. ყველაფერი, რაც უფასოა, სუფრას უხდება. მით უფრო, როდესაც „სუფრის“ როლში აუტსაიდერი კლუბია, რომელსაც მოთამაშე სჭირდება არა პერსპექტივის გათვლით, არამედ, პრემიერლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად.

ადრე იუწყებოდნენ, რომ ვლადიკავკაზში, შესაძლოა, კიდევ ერთი ქართველი ფორვარდი, 26 წლის მამუკა ღონღაძე აღმოჩნდეს. ის ლატვიის არცთუ ძლიერი ჩემპიონატის ლიდერი გუნდის, „დაუგავას“ საუკეთესო ბომბარდირია.

მის გამოჩენას დამკვირვებლები „ალანიას“ ამჟამინდელი სპორტული დირექტორის, ვლადიმერ გუცაევის მოწადინებას უკავშირებენ. მისი 60 წლის იუბილე კლუბის ოფიციალურ ვებ-გვერდზე მოკრძალებულად, ერთი ფრაზით აღნიშნეს. ეტყობა, არ უნდოდათ, ყურადღება გაემახვილებინათ, რომ თბილისის „დინამოს“ ექსფორვარდი სააკაშვილის თანამებრძოლი იყო და საქართველოს პარლამენტში სამხრეთ ოსეთში აგრესიის შემდეგაც დარჩა“, — წერს გაზეთი „სპორტივნაია ოსეტია“.

ამ წერილში სამი ფაქტი გებელსისებური მეთოდით დაამახინჯეს: შოთა გრიგალაშვილი ტრანსფერზე არ დაუყენებიათ, კონტრაქტი დაუსრულდა და ხაბაროვსკის „სკა-ენერგიაში“ გადავიდა. მეორე: გიორგი ჭანტურია რეკლამირდება როგორც „ვიტესის“ თავდამსხმელიო. როგორ გავიგოთ, გიორგი არნემულ კლუბში არ ირიცხება?! მესამე: მამუკა ღონღაძის დასამცირებლად „გამოეპარათ“, რომ ის არა მხოლოდ მოკრძალებული „დაუგავას“, არამედ ლატვიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი და ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე გახდა. გარდა ამისა, „ალანიაში“ ამ ბალტიისპირული ქვეყნის ოქროს მედლის მფლობელის ტიტულითაც ჩადის. ვითომ, უმნიშვნელო ამბავი გამორჩათ?

ამ წერილებიდან რჩება შთაბეჭდილება, რომ ოსების გარკვეულ წრეებს ქართველების წინააღმდეგ ვიღაც აქეზებს. ეს პოლიტიკური გაკვეთილი მარტივი საფეხბურთო ამბებიდან ცხადად იკვეთება, ამიტომ იმსახურებს ვალერი გაზაევისა და ვოვა გუცაევის მცდელობები პატივისცემას – სახალხო დიპლომატია ადამიანური ურთიერთობების აღდგენით იწყება.

გვერდი მოამზადა გიორგი მაისურაძემ

ლაშა შავდათუაშვილი წლის სპორტსმენია

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2012 წლის საუკეთესოები გამოავლინა.

წლის სპორტსმენად ლონდონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ძიუდოისტი ლაშა შავდათუაშვილი დაასახელეს, რაც სავსებით ლოგიკური გახლდათ. ხოლო საუკეთესო მწვრთნელად მისი პირადი აღმზრდელი, ნიკოლოზ ბიბილაშვილი აღიარეს.

საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენის პრიზი წილად ხვდა სამბოში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონს, ამირან იანვარაშვილს.

2012 წლის საუკეთესო ნაკრებად სამინისტრომ საქართველოს 17-წლამდე ფეხბურთელთა ნაკრები მიიჩნია. ვასილ მაისურაძის განვრთნილებმა ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს, რაც ქართულ ფეხბურთის ისტორიაში არნახული წარმატება იყო. რაც შეეხება წლის საუკეთესო სპორტულ ფედერაციას, ეს პრიზი რაგბის კავშირს გადაეცა.

შეგახსენებთ, რომ შავდათუაშვილმა გაიმარჯვა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ დეკემბერში ჩატარებულ გამოკითხვაშიც.

ჰოროსკოპი

14 იანვარი

ვერძი — სერიოზული პროვოკაციებისა და გაუგებრობების დღეა. არ ღირს, ახალი საქმით დაკავდეთ, სჯობს, ძველ საბუთებში გაერკვეთ. ეს დღე სასიკეთოა სასამართლო საქმეების მოსაგვარებლად — შედეგი ნამდვილად გაგაკვირვებთ.

კურო — კუროებს ვარსკვლავები ურჩევენ, საქმიანი აქტივობა ცოტა შეანელონ, რათა ფინანსურ დანაკარგებს თავი აარიდონ. სამსახურში მოსალოდნელია პატარა უსიამოვნება, მაგრამ რაც ხდება, თქვენზე არ არის დამოკიდებული. დღის მეორე ნახევარში თქვენი კომუნიკაბელურობა იზრდება — შედეგად, წარმატებული იქნება საქმიანი შეხვედრები, მოლაპარაკებები. შედეგიანი აღმოჩნდება ნებისმიერი კონტაქტი.

ტყუპები — დღე არასასურველია საქმიანი მოლაპარაკებებისთვის, სიფრთხილე გამოიჩინეთ, რათა თავი აარიდოთ მატერიალურ დანაკარგს. დღის პირველ ნახევარში, შესაძლოა, უთანხმოება პარტნიორებთან ან უფროსობასთან. საღამოსკენ კი, სიტუაცია სასიკეთოდ შეიცვლება. კარგი დღეა მეგობრებთან შეხვედრისთვის, ახალი ნაცნობობისთვის, თუმცა საამისოდ ზედმეტი ძალისხმევა დაგჭირდებათ.

კირჩხიბი — ნიშნის წარმომადგენლებს დღეს მცირე უსიამოვნება ელის. საქმე, რომლითაც ხართ დაკავებული, უინტერესოდ გეჩვენებათ. მტკივნეული რეაქცია ნუ გექნებათ იმაზე, რაც ხდება, რადგან ბედს ვერ შეცვლით. დღეს სერიოზული მუშაობისთვის გახარჯეთ დრო, დღის მეორე ნახევარი კი ოჯახის წევრებსა და ახლობლებთან, მყუდრო გარემოში გაატარეთ.

ლომი — დღე არც ისე კარგია საკამათო საკითხების გადასაჭრელად, დიდია ალბათობა, რომ აქ წარმატებას ვერ მიაღწევთ. საყვარელ ადამიანთან პრეტენზიებმა, შესაძლოა, სკანდალამდე მიგიყვანოთ. ამ დღეს ურთიერთგაგება თითქმის შეუძლებელია. ვარსკვლავები გირჩევენ, ემოციების გამომჟღავნებისგან თავი შეიკავოთ, უსიამოვნება რომ აირიდოთ.

ქალწული — ქალწულებისთვის პროვოკაციების დღეა — ყველა თქვენს წინააღმდეგაა და იმას გაბრალებენ, რაც არ ჩაგიდენიათ. სხვადასხვა გაუგებრობის შედეგი მოულოდნელი და უსიამოვნო იქნება, ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეთ. არ არის გამორიცხული, მოგატყუონ იმ ადამიანებმა, ვისზეც ხართ დამოკიდებული.

სასწორი — დღის პირველ ნახევარში, შესაძლოა, თავი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში წარმატებულად წარმოაჩინოთ. ბედი შანსს გაძლევთ, გაიუმჯობესოთ ფინანსური მდგომარეობა. თქვენს გრძნობებსა და საქციელს შორის, ყველაფრის მიუხედავად, ბალანსი აღდგება. დღის მეორე ნახევარში შესაძლოა, კონფლიქტური სიტუაცია და ურთიერთგაგების სრული არარსებობა.

ღრიანკალი — ნიშნის წარმომადგენლებისთვის კარგი დღეა, მაგრამ საღამოს მაინც უკმაყოფილო იქნებით საკუთარი თავით. აუცილებელია, მძიმე ფიქრები თავიდან მოიშოროთ. შესაძლოა, ზედმეტად ფრთხილობთ. შეეცადეთ, თავი შეიკავოთ გაბრაზებისგან. ახლობელი ადამიანები ძალიან განიცდიან, თუ საკუთარ თავში ჩაიკეტებით, რადგან მათ იციან, სიკეთისა და სითბოს რა მარაგი იმალება თქვენს ცივ გამომეტყველებაში. ისინი აფასებენ იმას, რომ საყვარელი ადამიანებისთვის თავგანწირვა შეგიძლიათ.

მშვილდოსანი — ამ დღეს ვარსკვლავები გაძლევენ შანსს, ფინანსური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. თქვენი თავდაჯერებულობა, საქმიანი აქტიურობა და დინამიზმი სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში დაგეხმარებათ. ახალი სიმაღლეების დაპყრობის სურვილი ურთიერთგამომრიცხავი ნაბიჯების გადადგმისკენ გიბიძგებთ. ნუ შეეცდებით ყველა პრობლემის ერთბაშად გადაწყვეტას, ცხოვრება თავად გიჩვენებთ საჭირო დროს.

თხის რქა — სერიოზული წინააღმდეგობების დღეა, ნებისმიერი კამათი სკანდალამდე მივა, რადგან დათმობას არცერთი მხარე არ მოისურვებს. ვარსკვლავები გაფრთხილებენ, უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად, გარკვეულ კომპრომისზე წახვიდეთ, საღამო კი მეგობრებთან ერთად, სასიამოვნოდ გაატაროთ.

მერწყული — მერწყულებისთვის დაძაბული დღეა. პრობლემების გადაჭრას მარტო ნუ შეეცდებით. თქვენი ფინანსური მდგომარეობა განაპირობებს სამომავლო გეგმების განხორციელებასა და ოჯახურ იდილიას. ბავშვების პრობლემებიც თქვენგან მნიშვნელოვან ხარჯებს მოითხოვს.

თევზები — დღეს თქვენი სასიცოცხლო ძალები სუსტია, დასუსტებულია აურა და ძლიერდება გარემოს ნეგატიური ზემოქმედება. დაბნეულობის გამო, ძნელად აუწყობთ ფეხს სამუშაო რიტმს. დღე წარუმატებელია საქმიანი გარიგებების, შენაძენებისა და ურთიერთობების გარკვევისთვის. მნიშვნელოვან საკითხებზე ნუ მიიღებთ გადაწყვეტილებას, სჯობს, გადადოთ და საკუთარ ჯანმრთელობას მიხედოთ.

ამინდის პროგნოზი

ქალაქი	ორშაბათი	სამშაბათი
თბილისი	+9	+5
ქუთაისი	+6	+7
ბათუმი	+8	+11
სოხუმი	+7	+8
თელავი	+6	+4
გუდაური	-5	-6
ბაკურიანი	-7	-6
მესტია	-2	0

შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატოპედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

მდინარე საქართველოში

სქონლის საკვები

საეკლესიო სამოსი

სოფელი ქართლში

ფუტკრის სახლი

მცენარეული სამყარო

ესპანური მუნდი

უმცროსი შვილი

ქართული მულტ სერიალი

კვამლი ანუ..

მდინარე რუსეთში

შუშის ჭურჭელი

ღორის ცხვირი

სტალინის დედის სახელი

ხორბლის კერძი

ქალის სახელი

არქიმედეს ტერმინი

სოფელი ქარელის რაიონში

სითხის ჭურჭელი

სააღდგომო ნამცხვარი

ქალის სახელი

ბოროტი

სოფელი ზუგდიდის რაიონში

ქალაქი უკრაინაში

ყანა

შენობის დეტალი

ნარკოტიკი

სავაჭრო ადგილი

კურორტი თურქეთში

მტაცებელი ფრინველი

ლუდის მარკა

ქრისტეს მოწაფე

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

7	8	9	6	5	4	3	2	1
2	3	6	1	9	8	5	7	4
1	4	5	3	7	2	9	8	6
6	9	2	8	1	5	7	4	3
8	1	4	7	6	3	2	5	9
5	7	3	4	2	9	6	1	8
3	6	1	2	4	7	8	9	5
9	2	8	5	3	1	4	6	7
4	5	7	9	8	6	1	3	2

სტანდარტი

2	1	7	9	5	8	6	4	3
6	9	8	7	4	3	5	2	1
5	4	3	6	2	1	9	8	7
4	3	5	8	1	2	7	9	6
1	7	6	4	3	9	8	5	2
9	8	2	5	7	6	1	3	4
8	6	4	3	9	7	2	1	5
7	5	1	2	8	4	3	6	9
3	2	9	1	6	5	4	7	8

რთული

8	6	7	5	4	3	2	1	9
1	5	3	9	2	8	7	4	6
9	4	2	6	1	7	8	5	3
7	3	1	4	9	6	5	2	8
2	9	4	1	8	5	3	6	7
6	8	5	3	7	2	1	9	4
5	7	6	2	3	4	9	8	1
3	2	9	8	6	1	4	7	5
4	1	8	7	5	9	6	3	2

ექსპერტი

5	4	2	3	1	9	8	7	6
8	1	7	6	5	4	3	2	9
3	9	6	2	8	7	5	4	1
2	3	5	7	6	1	9	8	4
1	8	9	5	4	3	7	6	2
7	6	4	9	2	8	1	5	3
4	5	3	8	9	2	6	1	7
6	7	1	4	3	5	2	9	8
9	2	8	1	7	6	4	3	5





ჰოროსკოპი
14 იანვარი

ვერძი — დღეს შესაძლებლობა მოგეცემათ, გარშემომყოფები საკუთარი დამოუკიდებლობითა და ხასიათის სიმტკიცით გააოცოთ. მართალია, თქვენი ნატურიდან გამომდინარე, გუნდური პრინციპი გირჩევნიათ, მაგრამ დღეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა ინდივიდუალიზმი უნდა გამოამჟღავნოთ. კარგი დღეა საქმიან პარტნიორებთან კონტაქტების დასამყარებლად.

კურო — მთელ დღეს საკუთარ ბედზე წუწუნსა და საქმიან პარტნიორებზე ლაპარაკში გაატარებთ. შესაძლოა, თქვენმა არასწორმა ნაბიჯებმა გააფუჭოს წამოწყებული საქმე. დიდია ალბათობა, სასაცილო სიტუაციაში აღმოჩნდეთ — ეს განსაკუთრებით, სუსტი სქესის წარმომადგენლებს ეხება. აუცილებელია, სერიოზულად მიუდგეთ თქვენს სამსახურეობრივ მოვალეობას. დღის მეორე ნახევარი, სჯობს, ახლობლების წრეში გაატაროთ.

ტყუპები — ოჯახში სიმყუდროვესა და სითბოს შეიქმნით. დღის მეორე ნახევარში, შეიძლება, უსიამოვნო ცვლილებებიც გაჩნდეს. პირად ცხოვრებაში ერთგვარი სიფრთხილე გმართებთ. წარმატების მიღწევას ძალის გამოყენებით ნუ შეეცდებით. დღეს გარკვეული სიურპრიზები და სასიხარულო მოვლენებიც გელით.

კირჩხიბი — დღე კარგია საქმიანი მოგზაურობისა და შეხვედრებისთვის. შეეცადეთ, უფრო მიზანდასახული გახდეთ. ვარსკვლავები გაფრთხილებენ, საკუთარ ჯანმრთელობას მიხედოთ, რადგან მოსალოდნელია, ქრონიკულმა დაავადებებმა იჩინოს თავი. დღეს თქვენი ენერგეტიკული, შემოქმედებითი და სექსუალური პოტენციალი ზემოთ მიიწევს, შეეცადეთ, ეს სასიკეთოდ გამოიყენოთ.

ლომი — ახალ ნაცნობებთან კონტაქტი სერიოზულ პერსპექტივებს დაგისახავთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მოგზაურობისას და საოჯახო ტექნიკასთან ურთიერთობისას. უმჯობესია, ყურადღება გაამახვილოთ საქმიან შეხვედრებზე, რადგან შესაძლოა, თქვენთვის მნიშვნელოვანი საკითხი სწორედ აქ გადაწყდეს. ცვლილებებისა და ახალი კონტაქტების დღეა. ფინანსური მდგომარეობაც ცოტა გაუმჯობესდება. დღის მეორე ნახევარში შეეცადეთ, ტემპი დააგდოთ და მშვიდად, მყუდრო გარემოში, მეგობრებთან ან საყვარელ ადამიანთან ერთად დაისვენოთ.

ქალწული — თქვენი ბიუჯეტი ნელ-ნელა, მაგრამ უმჯობესდება. დღეს არ გირჩევთ, რაიმე ახალი საქმე წამოიწყოთ, სჯობს, ძველ პრობლემებს მიუბრუნდეთ, მათი მოგვარების შანსი დღეს დიდია.

სასწორი — ნიშნის წარმომადგენლებს დღეს უამრავი საქმიანი შეხვედრა გელით, რაც თქვენს პროფესიასთან იქნება დაკავშირებული. შეეცადეთ, სოლიდურად გამოიყურებოდეთ. დღის მეორე ნახევარში, შესაძლოა, კონფლიქტი ოჯახის წევრებთან, თუმცა სჯობს, ემოციები მოთოკოთ. საღამოს ყველა საქმე დაივიწყეთ და კარგად გამოიძინეთ.

ღრიანკალი — დღეს სათანადო ყურადღება დაუთმეთ ახლობლების რჩევებსა და მითითებებს. სწორედ მათ დარიგებებსა და თქვენს ინტუიციაზე დაყრდნობით შეძლებთ, გამოხვიდეთ შექმნილი რთული ვითარებიდან და უსიამოვნებებს თავს აარიდებთ. საღამოს მოსალოდნელია რომანტიკული შეხვედრა ან ახალი ნაცნობობა, რაც სერიოზულ ურთიერთობაში შეიძლება გადაიზარდოს.

მშვილდოსანი — მშვილდოსნებს წინ ცვლილებების დღე გელით. შეეცადეთ, ორგანიზებული იყოთ სამსახურში და რაც შეიძლება მეტი შეხვედრა დაგეგმოთ. დღეს დაწყებული ახალი ნაცნობობა, შესაძლოა, საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდეს. მშვენიერი სქესის წარმომადგენლებმა ყურადღება მიაქციეთ საკუთარ ჯანმრთელობას: დაიცავით კვების რეჟიმი, დაისვენეთ და გამოიძინეთ. დღის მეორე ნახევარი, უმჯობესია, მეგობრების წრეში გაატაროთ.

თხის რქა — დღის ბოლოს, შესაძლოა, საკუთარ თავსაც ვერ აუხსნათ, სად ან რაში დახარჯეთ ამდენი ფული. მაგრამ ფინანსური საკითხები დღეს თქვენთვის არც ისე მტკივნეული თემაა. მთავარია, ზომიერების გრძნობამ არ გიღალატოთ და მანამდე მოასწროთ შეჩერება, ვიდრე თვის მთელ დანაზოგს ქარს გაატანდეთ.

მერწყული — მერწყულებისთვის ემოციურად დაძაბული დღეა. სამსახურში საქმეს თავს ვერ აბამთ, არც პარტნიორის არჩევაში გაგიმართლათ, ინტუიციაც გღალატობთ. მოგიწევთ, არჩევანი სასიამოვნოსა და აუცილებელს შორის გააკეთოთ. სურვილი გაგიჩნდებათ, ყოველდღიურ ერთფეროვნებას თავი დააღწიოთ. ნუ დაემორჩილებით ნეგატიურ აზრებსა და გრძნობებს, არავითარ შემთხვევაში არ დაკარგოთ ოპტიმიზმის გრძნობა.

თევზები — დღეს ყველაფერში იღბალი თან გდევთ. ეს იმის ბრალია, რომ გადაწყვეტთ, თამამად და ღიად იმოქმედოთ. ფიქრზე დიდ დროს ნუ დაკარგავთ, თამამად შეუდექით საქმეს — ეს საკმაოდ კარგად გამოგივათ. დღეს თქვენი სასიცოცხლო ენერგია იზრდება. სურვილი გიჩნდებათ, რამდენიმე საქმეს ერთად შეეჭიდოთ, თუმცა სჯობს, ყველა პრობლემის ერთდროულად მოგვარებისგან თავი შეიკავოთ. დღის მეორე ნახევარი შეგიძლიათ ხმაურიან წვეულებაზე გაატაროთ, მოგვიანებით კი, ენერგია იმისთვისაც გეყოფათ, შინ, ოჯახის წევრებს გარკვეული დრო დაუთმოთ.

ყინვაში კარგად უნდა ვიკვებოთ

ყინვიანი ამინდების ადვილად გადასატანად, მედიკოსები გვირჩევენ, კარგად ვიკვებოთ. საკვებთან ერთად მიღებული ენერგიის ნაწილი, სითბოდ გადაიქცევა და ამიტომ, ცივ ამინდებში დიეტის დაცვა არაფრით შეიძლება, — აცხადებენ ექიმები. სხვადასხვა პროდუქტს განსხვავებული თერმული ეფექტი აქვს. ყველაზე კარგი „გამათბობელი“ ცილების შემცველი საკვებია — თევზეული, ხორცეული, რძის პროდუქტები, ფაფები და პური. სასმელებიდან კი — რძიანი ჩაი. სწავლულების თქმით, ნერვული ადამიანები უფრო სწრაფად იყინებიან, ამიტომ, კარგი იქნება, თუ ისეთ პროდუქტს მიიღებენ, რაც ენდორფინების გამომუშავებას უწყობს ხელს, მაგალითად, შოკოლადს. უმი ბოსტნეული, ზამთარში, ჩაშუშულით უნდა შეცვალოთ, ასე, ორგანიზმის ენერგოხარჯსაც შეამცირებთ და გათბებით კიდეც.

რაც შეეხება ალკოჰოლს, ყინვიან ამინდში თუ გარეთ გადიხართ, მისი მიღება არ შეიძლება, რადგან პერიფერიულ სისხლძარღვებს აფართოებს და სითბოს მოზღვავების შეგრძნებას აჩენს, თუმცა სინამდვილეში, ასე არ არის. სპირტიანი სასმელით გახურებული ადამიანი თბილად აღარ იცვამს, ეს კი სხეულის გადაციებასა და კიდურების მოყინვას იწვევს. ყინვიდან შინ დაბრუნებულებს კი, თამამად შეგიძლიათ, კონიაკი ან სხვა ალკოჰოლური სასმელი მიიღოთ.

ახალი პრინტერი მშენებლებს სამსახურის გარეშე დატოვებს

სამგანზომილებიანი პრინტერის მზარდი პოპულარობა სერიოზულ კონკურენციას უწევს ბიზნესს. ახლახან ისეთი მოწყობილობა შექმნეს, რომელიც მშენებლებს, უფუნქციოდ დატოვებით ემუქრება. კომპანია **Monolith UK**-ის დამფუძნებელი და სამგანზომილებიანი ერთადერთი აგრეგატის **D-Shape** გამომგონებელი ენრიკო დინი ამტკიცებს, რომ მის ქმნილებას შეუძლია, ორსართულიანი შენობა „დაბეჭდოს“, თავისი საყრდენი კედლებით, კიბეებით, სვეტებითა და ბუხრით, მასალად კი ქვიშა და მინერალური ნივთიერებები გამოიყენოს, მასალა კი, ვიზუალურად და ფიზიკური თვისებებით, პრაქტიკულად, არაფრით განსხვავდება მარმარილოსგან. სამშენებლო პროცესი, **D-Shape**-ის გამოყენებით, ისეთივეა, როგორც მცირე ზომის ობიექტების ბეჭდვისას პრინტერზე. სასურველი სტრუქტურის დამზადება ერთი სესიის განმავლობაში შეიძლება, პროცესს კომპიუტერი მართავს და ამიტომ, მომხმარებელს არ სჭირდება სპეციალური უნარ-ჩვევები ამ მოწყობილობის გამოსაყენებლად.

ჩანგალი კალორიებს დაითვლის



იაპონელი სწავლულების ახალი გამოგონება ჭარბი წონის დაკლებაში დაგეხმარებათ. სპეციალისტებმა ამომავალი მზის ქვეყნიდან დანა-ჩანგლის მოდერნიზება გადაწყვიტეს და მათში ახალი ტექნოლოგიები ჩაამონტაჟეს. ახლა საკვების მიღებისას, ეს საგნები ყურადღებით დააკვირდება მფლობელს და სხვადასხვა ხმებს გამოსცემს, იმისდა მიხედვით, რა ტიპის პროდუქტს მიირთმევს დაკვირვების ობიექტი. ახალი ჩანგლის შემქმნელების თქმით, მოწყობილობა, რომელსაც **Es Theremine** უწოდეს, უსიამოვნო სიგნალს (სირენის მსგავსს) გამოსცემს ან ადამიანის ხმით ლაპარაკობს (მაგალითად, „გეყოფა ჭამა, სქელო“). ელექტრონული ჩანგალი ჩვეულებრივისგან უფრო სქელი ტარით განსხვავდება, რომელშიც გადამცემი, ელემენტი და ხმის გამაძლიერებელია ჩამონტაჟებული. ჩანგალში არსებული პროგრამა მოხმარებული საკვების ტიპსა და რაოდენობას აკონტროლებს და მფლობელს „საშიში ზღვრის მოახლოებას“ ხმოვანი სიგნალით ატყობინებს.

შავი ჩაი ინსულტისგან გვიცავს

დაავადების რისკი რომ შეამციროთ, დღეში არანაკლებ 4 ფინჯანი შავი ჩაი უნდა მიირთვათ. ყველაზე საშიშ დაავადებებს შორის, ინსულტს მესამე ადგილი (გულის დაავადებებისა და ონკოლოგიის შემდეგ) უკავია, რომელსაც ლეტალურ შედეგამდე მივყავართ. განსაკუთრებით გავრცელებულია იშემიური ინსულტი, რომელსაც ტვინის ინფარქტსაც უწოდებენ და სისხლძარღვების თრომბოზის შედეგად ვითარდება. სტოკჰოლმის კაროლინის ინსტიტუტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ყოველდღიურად, ოთხი ფინჯანი შავი ჩაის მიღება 21%-ით ამცირებს თრომბის წარმოქმნის რისკს. ჩაის ეს სასწაულმოქმედი თვისება სწავლულებმა მოხალისეებზე გამოსცადეს — ექსპერიმენტში მონაწილეობა 75 ათასმა ქალმა და მამაკაცმა მიიღო. ყველა მათგანს თავიდან კარგი ჯანმრთელობა ჰქონდა. მომდევნო 10 წლის განმავლობაში კი მათ შორის ინსულტის 4 ათასზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა. მკვლევარები აკვირდებოდნენ, რამდენად ხშირად სვამდნენ მოხალისეები ჩაის. შედეგად, დაადგინეს, რომ დღეში ოთხი ჭიქა ჩაი ინსულტის ალბათობას ამცირებს. საიდუმლო კი დიდი რაოდენობით ფლავონიდებშია, რომელსაც ჩაი შეიცავს.

სუდოკუ

ადვილი

3			9			4		
					5	7		
	6			2			8	
8			2			6		
6			8		7			9
		7			4			8
	7			9			2	
		3	4					
		9			2			3

სტანდარტი

			4			6	8	
		6	2					1
8	5							9
6					8			7
		7		9		4		
3			1					5
7							5	4
5					3	9		
	6	9			5			

რთული

			3	2	5		4	
						6		
	3	2		1				
6		1	7					4
		5				1		
9					1	5		7
				7		4	6	
		4						
	1		6	3	4			

ექსპერტი

		4	8				1	
6			9			8		4
				4	2			5
4		2						
9	6			3			5	2
						1		6
3			2	8				
7		6			5			3
	4				6	9		

მაკმაკაცებს მეგინსებს ჩაცმევენ

მეგინსები — ქალის ლეგინსების ანალოგიური შარვალია, რომელიც ძირითადად, ბალეტისთვის და მამაკაცის ტანსაცმლის მოდის ჩვენებებზე გამოიყენება. მეგინსებმა ნიუ-იორკი უკვე დაიპყრო და შესაძლოა, მალე, ევროპაში, კერძოდ ლონდონში გამოჩნდეს. ბევრი ვარსკვლავი, მათ შორის ჯასტინ ბიბერი, რასელ ბრენდი და ლენი კრავიცი, უკვე იწონებს თავს ამ სიახლით, მამაკაცებისთვის განკუთვნილ ზოგიერთ მაღაზიაშიც იყიდება ეს უჩვეულო დეტალი. ყოველწლიურად მამაკაცები სულ უფრო ვიწრო შარვლებს იცვამენ, ასე რომ, მეგინსების პოპულარობა გასაკვირი არაა, — აცხადებს ერთ-ერთი მოდური ბრენდის წარმომადგენელი. თავიდან ეს შარვალი დათბილული კალსონების რანგში გამოვიდა, რომელიც მამაკაცმა შარვლის შიგნიდან უნდა ჩაიცვას, მაგრამ ინსტრუქციას ბევრმა მყიდველმა ყურადღება არ მიაქცია — ჯერ იაპონიისა და კორეის, მერე კი ამერიკის ქუჩებში გამოჩნდნენ მამაკაცები, რომელთაც მეგინსები შორტის ქვეშ აცვიათ და ამტკიცებენ, რომ გარდერობის ეს ახალი ელემენტი მოჭერილ ჯინსებზე მეტად მოხერხებულია და მამაკაცების ფეხების სილამაზის წარმოჩინების საშუალებას იძლევა.

ღამის გათევას ღუღის კასრში სთავაზობენ

გერმანული სასტუმრო **AirBnB**, ყველა მსურველს, ღამის კომფორტულად გატარებას ლუდის კასრში სთავაზობს. სტუმრების განკარგულებაშია საწოლი, რომელიც შუაზე გაპობილი ხის ძველი მორისგანაა დამზადებული, კასრს კი XIX საუკუნიდან 1995 წლამდე, ლუდსახარში **Potts Naturpark** იყენებდა. კასრის ხის პლატფორმა ორადგილიან საწოლს ამაგრებს. სასტუმროს კლიენტებს შეუძლიათ, ძილის წინ ორიოდე კათხა ლუდი მიირთვან და ორთქლის აბაზანა მიიღონ. საუნად გადაკეთებული კასრიც XIX საუკუნეშია დამზადებული.

ნივრის კონტრაბანდისტებზე ძებნა გამოცხადდა

შვედეთის მთავრობამ საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა დიდი ბრიტანეთის ორ მაცხოვრებელზე, რომელიც ჩინური წარმოების ერთ ტონაზე მეტი ნივრის კონტრაბანდაშია ეჭვმიტანილი. გამომძიებლები აცხადებენ, რომ 2009-2010 წლებში, ამ პირებმა ნორვეგიაში ჩინური ნივრის რამდენიმე მსხვილი პარტია შეიტანეს და ასე იმპორტისთვის დაწესებულ გადასახადს აარიდეს თავი. პროკურატურის ცნობით, თანხა, დაახლოებით, 10 მილიონ ევროს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ეს ჩინური ნივრის კონტრაბანდის პირველი შემთხვევა არ არის. 2010 წელს პოლონეთის ხელისუფლებამ 144 ტონა პროდუქტი ამოიღო, რომელიც უკანონო გზით, ჰოლანდიის საზღვრის გავლით, გაედინებოდა ევროპის სხვა ქვეყნებში. ცოტა ხნის წინ კი, რუმინელებს ჩამოართვეს დიდი რაოდენობით ჩინური ნიორი.

ეკონომიური ჯანმრთელობისთვის საშიშია

ეკონომიური ნათურები ადამიანის ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის, — ასეთია წინასწარი დასკვნები ამერიკელი მეცნიერებისა, რომელთაც შესაბამისი გამოკვლევები ჩაატარეს. სტოუნ-ბრუკის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ერთმანეთს შეადარეს ჩვეულებრივი და ეკონომიური ნათურის გამოსხივების ზემოქმედება ადამიანის კანზე. ექსპერიმენტის შედეგებმა აჩვენა, რომ ენერგომზოგავი ნათურის გამოსხივება, გაცილებით მეტ ულტრაიისფერ სხივს შეიცავს, რაც მავნე ზემოქმედებას ახდენს კანზე და შესაძლოა, მელანომაც (კანის კიბო) განავითაროს, რადგან დასხივებული უჯრედები ძალიან ზიანდება. ეკონათურების მწარმოებელი კომპანიებიც აღიარებენ, რომ ულტრაიისფერი გამოსხივება მართლაც, აქვს მათ პროდუქტს, მაგრამ დონე დაშვებულ ზღვარს არ აჭარბებსო, ირწმუნებიან.

უძილობას წინდა შველის

უკრაინელმა სწავლულმა ზაპოროჟიეს უნივერსიტეტიდან, ახალი გამოგონება — ვიბროტაქტილური წინდა „მორფეოსი“ წარადგინა, რომელიც ადამიანს უძილობისგან იხსნის. გამომგონებლის მტკიცებით, შემუშავებული მეთოდის პრაქტიკული რეალიზებისთვის, მცირე ჯიბეებით აღჭურვილი, ჩვეულებრივი წინდა გამოიყენება. ჯიბეში მინიატურული, ბრტყელი მიკროვიბრატორები თავსდება, რომლებიც დროდადრო, მომხმარებლის სუნთქვის რიტმის სინქრონულად ირთვება. მიუხედავად გამოგონების სიმარტივისა, ის ეფექტურად ახდენს უძილობასთან ბრძოლის თანამედროვე ფსიქოტექნიკის სრული კომპლექსის რეალიზებას და როგორც კი ადამიანი დაიძინებს, წინდებში ჩამონტაჟებული მიკროვიბრატორები ავტომატურად ითიშება. ავტორის განცხადებით, ეს ფსიქოტექნოლოგია ყველასთვის ხელმისაწვდომი და ადვილად მოსახმარია. უძილობის საწინააღმდეგო წინდის ღირებულება, დაახლოებით, ხუთი დოლარია.

გილოცავთ შობა-ახალი წელს

იპოვეთ თქვენი www.versia.ge

ვერსია

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – ნათია მზექალაშვილი, გიორგი ლომსაძე

ISSN 1987-8699

მისამართი: ქ.თბილისი,
სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net;
dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com